სსრ კავშირის იუსტიციის
სამინისტრო
სამსახურებრივი სარგებლობისათვის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ინსტრუქცია
## სასაზართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების წესის შესახებ

1975 წელი

ს ს რ კავშირის იუსტიციის
ს ა მ ი ნ ი ს ტ რ ო
სამსახურეობრივი სარგებლობისათვის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ინ ს ტ რ უ ქ ც ი ა
# სასამართლო გადაწყვეტილებათა
# აღსრულების წესის შესახებ

1975 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანება

## სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრისა

№7 1973 წლის 24 აპრილი

**შინაარსი:**

სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების წესის თაობაზე ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების საქმეში სასამართლოთა საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით

**ვბრძანებ:**

1. თანდართული ინსტრუქცია სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების წესის შესახებ დამტკიცდეს და სამოქმედოდ შემოღებულ იქნას 1973 წლის 1 სექტემბრიდან.

სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების წესის შესახებ მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოებში ადრემოქმედი ინს-

2. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის მი-

ტრუქცია ჩაითვალოს ძალადაკარგულად.

ნისტრებმა, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო საბჭოების აღმასკომების იუსტიციის განყოფილებათა უფროსებმა მოაწყონ ინსტრუქციის შესწავლა ყველა მოსამართლის, სასამართლო აღმასრულებლის, სასამართლოს მდივნების, იუსტიციის ორგანოების მუშაკთა მიერ და უზრუნველყონ სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების გამო პრაქტიკულ საქმიანობაში მისი სწორად გამოყენება.

მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეებმა მოაწყონ ინსტრუქციის შესწავლა უმაღლესი სასამართლოების აპარატის მუშაკებისა და წევრების მიერ,

**სსრ კავშირის იუსტიციის**
**მინისტრი** **ვ. ტერებილოვი**

დამტკიცებულია
სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის
1973 წლის 24 აპრილის №7 ბრძანებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინსტრუქცია

## სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების წესის შესახებ

სააღსრულებო წარმოება სასამართლოებში ხდება მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებით დადგენილ და ამ ინსტრუქციაში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად.

## თავი I

## ძირითადი დებულებანი

### სასამართლო აღმასრულებლის საქმიანობის საერთო პირობები

1. ამ ინსტრუქციაში ჩამოყალიბებული წესებით უნდა აღსრულდეს.

1) სამოქალაქო საქმეებზე სასამართლოთა გადაწყვეტილებები, განჩინებები და დადგენილებები (გარდა გადაწყვეტილებებისა მოქალაქეთაგან სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადთა და გამოსაღებთა, სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევისა და თვითდაბეგვრის ნარჩენების გადახდევინების შესახებ)*;

2) სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოთა განაჩენები, განჩინებები და დადგენილებები ქონებრივი გადახდევინების ნაწილში;

3) მოსამართლის ან სასამართლოს დადგენილებანი და საზოგადოებრივი განაჩენები ადმინისტრაციული გადაცდომის ჩადენისათვის ქონებრივი გადახდევინების ნაწილში;

---

* მოქალაქეთაგან სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადთა და გამოსაღებთა, სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევისა და თვითდაბეგვრის ნარჩენების გადახდევინების გამო სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებათა აღსრულება გადახდევინების შესაბამისი ორგანოს მიერ ხდება სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4) სასამართლოს მიერ დამტკიცებული მორიგებანი;

5) სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერები;

6) არბიტრაჟის ორგანოების გადაწყვეტილებანი კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

7) საკავშირო სავაჭრო პალატასთან არსებული საზღვაო და საგარეო ვაჭრობის საარბიტრაჟო კომისიების, ცალკეული საქმეების განსახილველად სპეციალურად შექმნილი არბიტრაჟების გადაწყვეტილებანი;

8) ვადაზე გაუნაღდებელი საგადასახადო მოთხოვნები, რომლებიც აქცეპტირებულია გადამხდელის მიერ;

9) ამხანაგური სასამართლოების გადაწყვეტილებანი ქონებრივი გადასახადების გამო;

10 სამედიატორო სასამართლოთა გადაწყვეტილებანი;

11) შრომის დავის განმხილველი კომისიების გააწყვეტილებანი;

12) პროფესიული კავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტების დადგენილებანი შრომის დავებისა და დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე დავების გამო;

13) არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის დადგენილებანი ფულადი გადასახდელების გამო კანონით დადგენილ შემთხვევებში;

14) დადგენილებანი ადმინისტრაციული ორგანოებისა და თანამდებობის პირებისა, რომელთაც კანონით აქვთ მინიჭებული უფლება მოქალაქეებს უდავო წესით დააკისრონ გადასახდელი;

15) მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებანი მოქალაქის პირადი საკუთრების უფლებით კუთვნილი მეორე სახლის იძულებით გაყიდვის შესახებ;

16) მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოს აღმასკომების გადაწყვეტილებანი სახელმწიფო დაწესებულებებისაგან, საწარმოებისაგან, კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან ზარალის გადახდევინების შესახებ ნათესების წანახედისა და ნარგავთა დაზიანების გამო;

17) უცხო ქვეყნების სასამართლოთა გადაწყვეტილებანი — კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. პირველ მუხლში ჩამოთვლილი აქტების აღსრულებას აწარმოებენ სასამართლო აღმასრულებლები, რომლებიც რაიონულ (ქალაქის) სახალხო სასამართლოებში ითვლებიან.

სასამართლო აღმასრულებლები სამუშაოზე ინიშნებიან და თავისუფლდებიან მშრომელთა დეპუტატების საოლქო, სამხარეო, საქალაქო საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილების უფროსების, ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის მინისტრების მიერ, ხოლო იმ მოკავშირე რესპუბლიკებში, რომლებსაც საოლქო დაყოფა არა აქვთ, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრების მიერ. იმ სასამართლოებში, სადაც რამოდენიმე სასამართლო აღმასრულებელია, ერთ-ერთი შეიძლება დაინიშნოს უფროს აღმასრულებლად.

3. სასამართლო აღმასრულებელთა საქმიანობისადმი ხელმძღვანელობა ეკისრებათ რაიონული (ქალაქის) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეებს, უფროს სახალხო მოსამართლეებსა და სახალხო მოსამართლეებს.

აღნიშნული თანამდებობის პირები ვალდებული არიან განახორციელონ ყოველდღიური კონტროლი სასამართლო გადაწყვეტილებათა სწორი და დროული აღსრულებისადმი, სასამართლო აღმასრულებელთა მიერ აღსრულებისათვის დადგენილი წესების დაცვისადმი და აღმოუჩინონ მათ აუცილებელი დახმარება.

4. საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენლები, რომლებიც საქმეში მხარეებს არ წარმოადგენენ, გადაწყვეტილების აღსრულებაში მონაწილეობისათვის შეიძლება მოსამართლის ან სასამართლო აღმასრულებლის მიერ მიწვეულ იქნან, თუ ამას მოითხოვს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესები და შეუძლია ხელი შეუწყოს სასამართლო გადაწყვეტილების უფრო სწრაფად და სწორად აღსრულებას.

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაში მონაწილეობის მისაღებად საზოგადოებრიობის წარმომადგენლები დაიშვებიან თუ მათ აქვთ სათანადო უფლებამოსილება—ამონაწერი კოლექტივის საერთო კრების გადაწყვეტილებიდან, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებიდან და ა. შ.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს უფლება აქვთ გაეცნონ სააღსრულებო წარმოების მასალებს და დაესწრონ სასამართლო აღმასრულებლის სააღსრულებო მოქმედებას. საზოგადოებრიობის წარმომადგენლები თავის საქმიანობას ახორციელებენ სასამართლო აღმასრულებლის კონტროლით. მათ არა აქვთ იძულებითი აღსრულების ღონისძიებათა დამოუკიდებლად განხორციელების უფლება.

**5.** სასამართლო აღმასრულებელს არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილების აღსრულებაში:

1) თუ იგი მხარეების, საქმეში მონაწილე სხვა პირების ან მათი წარმომადგენლების ნათესავია;

2) თუ პირადად პირდაპირ ან არაპირდაპირაა დაინტერესებული საქმის შედეგით ანდა თუ არსებობს სხვა გარემოებანი, რომლებიც ეჭვს ბადებენ მის მიუდგომლობაში.

აღნიშნულ გარემოებათა არსებობისას სასამართლო აღმასრულებელი ვალდებულია მოსამართლეს განუცხადოს აღსრულებისაგან თვითაცილების შესახებ.

სასამართლო აღმასრულებლის აცილება ამავე საფუძვლების გამო შეიძლება მოითხოვონ მოსარჩელემ, მოვალემ ან მათმა წარმომადგენლებმა, აგრეთვე პროკურორმა.

სასამართლო აღმასრულებლის აცილების საკითხი მოსამართლემ ან იმ სახალხო სასამართლომ, სადაც იგი მუშაობს, უნდა გადაწყვიტოს მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლებით დადგენილი წესით.

**6.** სასამართლო აღმასრულებლის აცილების შემთხვევაში სააღსრულებო საბუთი მოსამართლის განჩინებით უნდა გადაეცეს ამავე სასამართლოს სხვა აღმასრულებელს ან აღსრულებისათვის უნდა გადაეგზავნოს სხვა სახალხო სასამართლოს.

**7.** განჩინება სასამართლო აღმასრულებლის აცილებაზე უარის თქმის შესახებ დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს ან გაპროტესტეს ზემდგომ სასამართლოში. საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს სააღსრულებო მოქმედებათა წარმოებას.

სასამართლო აღმასრულებლის აცილების საკითხთან დაკავშირებული ყველა საბუთი უნდა დაერთოს შესაბამის სააღსრულებო წარმოებას.

8. გადაწყვეტილების აღსრულებას აწარმოებს სასამართლო აღმასრულებელი მოვალის საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის, ანდა მისი ქონების სამყოფელი ადგილის მიხედვით იმ ქალაქის ან რაიონის ფარგლებში, რომელსაც ემსახურება ის რაიონული (ქალაქის) სახალხო სასამართლო, რომელშიც აღმასრულებელი ითვლება. თუ მოვალე იურიდიული პირია, მაშინ აღსრულება მოხდება მისი ორგანოს ან ქონების სამყოფელი ადგილის მიხედვით.

აუცილებელ შემთხვევაში სასამართლო აღმასრულებელი განაგრძობს სააღსრულებო მოქმედებას მისი მომსახურების უბნის გარეთაც იმ ფარგლებში, რაც დადგენილია მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით, ყოველ ცალკე შემთხვევაში მოსამართლის განსაკუთრებული მითითებით ან განჩინებით.

თუ აღსრულების პროცესში მოვალე გადავიდა სხვა სასამართლოს სამოქმედო რაიონში და მოვალეს ძველ საცხოვრებელ ადგილზე არ დარჩა ისეთი ქონება, რაზედაც შეიძლება გადახდევინება, სასამართლო აღმასრულებელი ამის შესახებ ადგენს აქტს და სააღსრულებო საბუთებს დადგენილი წესით გადაუგზავნის სასამართლოს მოვალის ახალი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რის შესახებ აცნობებს გადამხდევინებელს.

9. მშრომელთა დეპუტატების საოლქო, სამხარეო, საქალქო საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილების უფროსის, ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის, იმ რესპუბლიკებში კი, რომლებსაც საოლქო დაყოფა არა აქვთ, მოკავშირე რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის მითითებით, სასამართლო აღმასრულებელი აღსრულებას აწარმოებს ოლქის, მხარის, რესპუბლიკის ფარგლებში.

10. არასამუშაო დღეებში გადაწყვეტილებათა აღსრულება დაიშვება მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევებში, და იმ სასამართლოს მოსამართლის ნებართვით, რომელშიც ითვლება სასამართლო აღმასრულებელი.

აღსრულება ღამით შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ რესპუბლიკებში, რომელთა სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია ასეთი შესაძლებლობა, ამასთან ყველა შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხვევაში ღამით აღსრულებისათვის აუცილებელია სახალხო მოსამართლის ნებართვა.

ღამის ხანგრძლივობა განისაზღვრება მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების შესაბამისი მუხლებით.

**11.** სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსასრულებლად სააღსრულებო მოქმედების შესრულებისათვის გაწეული ხარჯების გადახდა არ ხდება. გადაწყვეტილების აღსრულებისას მოვალის ქონების შენახვისა და გადაზიდვის, ქონების საჯარო ვაჭრობით გაყიდვის გამოცხადების, ექსპერტების გასამრჯელოს, აღსრულების ადგილამდე სასამართლო აღმასრულებლის მიმოსვლისათვის აუცილებელი ხარჯები გაიღება იმ სასამართლოს ხარჯთაღრიცხვით, რომელშიც სასამართლო აღმასრულებელი ითვლება.

ეს ხარჯები მოვალეს გადახდება სახალხო მოსამართლის განჩინებით იმის მიუხედავად მას აღსასრულებელი გადაწყვეტილებით ქონებისა თუ ფულადი თანხის გადახდევინება ეკისრება. ამ განჩინების გამო შეიძლება კერძო საჩივრის ან პროტესტის შეტანა.

**12.** მოვალის ხარჯზე ხდება იმ თანხების მიღება და გადამხდევინებლისათვის ფოსტით გადაგზავნა, რაც ამოღებულია სამუშაოსთან დაკავშირებით მუშებისა და მოსამსახურეებისათვის დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით მიყენებული ზიანით.

ყველა სხვა შემთხვევაში სააღსრულებო საბუთებით ამოღებული თანხების ფოსტით გადაგზავნა ხდება გადამხდევინებლის ხარჯზე.

**13.** სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართალწარმოების საფუძვლის 55-ე მუხლის[1] შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების გამო სასამართლო აღმასრულებლის მოთხოვნები სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე სავალდებულოა ყველა სახელმწიფო დაწესებულებისათვის, საწარმოსათვის, კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული ან საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებისათვის.

**14.** სააღსრულებო მოქმედებათა შესრულებისას სასამართლო აღმასრულებელს, თუ ეს აუცილებელია აღსრულებისათვის, უფლება აქვს შევიდეს მოვალის ბინაში და მოახდინოს ყველა საცავის

---

[1] საქართველოს სსრ სამოქალაქო სასამართლის საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლი.

(სკივრის, კომოდის, კარადისა. და ა. შ.) დათვალიერება. ბინისა. და საცავების გახსნა და დათვალიერება უნდა მოხდეს მოწმეთა. თან-დასწრებით, აგრეთვე, თუ ამას ითვალისწინებს მოკავშირე რეს-პუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი, სახლ-მმართველობის ან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელთა თანდასწრებით.

**15.** მოვალის მიერ სასამართლო აღმასრულებლის ბინაში ან ქონების ადგილსამყოფელში დაუშვებლობის ან საცავის გაუხსნე-ლობის შემთხვევაში, სასამართლო აღმასრულებელი, მილიციის ან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი (სასოფლო) საბ-ჭოს წარმომადგენლის მონაწილეობით, აგრეთვე მოწმეთა თანდას-წრებით, გახსნის სადგომს ან საცავს და დაათვალიერებს. სასამარ-თლო აღმასრულებელს არა აქვს მოვალის გაჩხრეკის, ან მისი თავი-სუფლებისა და ღირსების რაიმე ფორმით ხელყოფის მცდელობის უფლება.

**16.** იძულებითი აღსრულების ღონისძიებებია:

1) გადახდევინება მოვალის ქონების დაყადაღებისა და გაყიდვის გზით;

2) გადახდევინება მოვალის ხელფასიდან, პენსიიდან, სტიპენდი-იდან და სხვა შემოსავლიდან;

3) გადახდევინება სხვა პირებთან მყოფი მოვალის ფულადი თან-ხებიდან და სხვა ქონებიდან;

4) სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნული გარკვეული საგნების მოვალისათვის ჩამორთმევა და გადამხდევინებლისათვის გადაცემა;

5) გადაწყვეტილებაში კანონის შესაბამისად მითითებული სხვა ღონისძიებანი.

აღსრულებისას სასამართლო აღმასრულებელს უფლება აქვს სააღსრულებო დოკუმენტის გასაცნობად სასამართლოში გამოიძა-ხოს მოვალეები, აგრეთვე მხარეებისა და იმ პირებისაგან, რომ-ლებიც პროცესში არ მონაწილეობდნენ, მიიღოს სიტყვიერი ან წერი-ლობითი განმარტებანი და ინფორმაცია, თუ ეს აუცილებელია აღს-რულებისათვის.

**17.** გადაწყვეტილების აღსრულების დროს სასამართლო აღმას-

რულებლისათვის წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში სასამართლო აღმასრულებელი ამის შესახებ მოწმეთა თანდასწრებით შეადგენს აქტს და დაბრკოლებათა ასაცილებლად დახმარებისათვის მიმართავს ხელისუფლების ორგანოებს და მათი დახმარებით განაგრძობს სააღსრულებო მოქმედებას.

სასამართლო აღმასრულებლისა და მოწმეების მიერ ხელმოწერილი აქტი წარედგინება მოსამართლეს იმ პირთა პასუხისგებაში მიცემის საკითხის გადასაწყვეტად, ვინც სასამართლო აღმასრულებელს გაუწია წინააღმდეგობა.

**18.** სასამართლო აღმასრულებელი აღსრულებას შეუდგება მოსამართლის წინადადებით, გადამხდევინებლის ან მისი წარმომადგენლის ზეპირი ან წერილობითი განცხადებით, პროკურორის განცხადებით, აგრეთვე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს, პროფკავშირების, სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოების, კოლმეურნეობების და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ანდა ცალკეული მოქალაქეების განცხადებით იმ შემთხვევებში, თუ სამოქალაქო საქმე დაწყებული იყო მათი ინიციატივით სხვა პირთა ინტერესების სასარგებლოდ.

**19.** გადაწყვეტილების სწრაფად და რეალური აღსრულებისათვის სასამართლო აღმასრულებელი ვალდებულია საკუთარი ინიციატივით განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებანი და მხარეებს მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში გაუწიოს აქტიური დახმარება.

გადამხდევინებელსა და მოვალეს უფლება აქვთ დაესწრონ აღმასრულებლის მიერ გადაწყვეტილების აღსრულებას, გაეცნონ სააღსრულებო წარმოების მასალებს და მიიღონ გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საჭირო ცნობები.

**20.** გადაწყვეტილების აღსრულების დროს გადამხდევინებელი და მოვალე შეიძლება მორიგდნენ. ასეთი მორიგება წერილობით გადაეცემა სასამართლო აღმასრულებელს, რომელიც მორიგების დამტკიცების საკითხის გადასაწყვეტად სამი დღის ვადაში გადასცემს მას მოსამართლეს.

**21.** სასამართლო აღმასრულებელს არ შეუძლია გადაწყვეტილების აღსრულების დამოუკიდებლად გადავადება ან განწილვადება. ისეთ გარემოებათა არსებობისას, რომლებიც აძნელებენ ან

შეუძლებელს ხდიან გადაწყვეტილების აღსრულებას (სტიქიური უბედურება, მიკუთვნებული ქონების ნატურაში არ არსებობა, მოვალის ან მისი ოჯახის წევრის ავადმყოფობა და ა. შ.), სასამართლოს აღმასრულებელი ადგენს აქტს, რის შესახებაც მოახსენებს სახალხო მოსამართლეს, რათა შესაბამისი სახალხო სასამართლოს წინაშე დაყენებულ იქნას საკითხი მოვალისათვის აღსრულების გადავადებისა ან განწილვადების, ანდა აღსრულების საშუალებებისა და წესების შესაცვლელად განჩინების დადგენის შესახებ.

### სააღსრულებო საბუთები

**22.** სასამართლო აღმასრულებელი სააღსრულებო მოქმედებას იწყებს დადგენილი სააღსრულებო საბუთის საფუძველზე.

სააღსრულებო საბუთის გარეშე სააღსრულებო მოქმედება არ დაიშვება.

**23.** სააღსრულებო საბუთებია:

1. სააღსრულებო ფურცლები, რომლებიც გაცემულია სასამართლოს გადაწყვეტილებების, განაჩენების, განჩინებებისა და დადგენილებების, სასამართლოს მიერ დამტკიცებულ მორიგებათა, ამხანაგური სასამართლოების გადაწყვეტილებების, მოქალაქეთა შორის დავის გამო სამედიატორო სასამართლოების გადაწყვეტილებების, საზოგადოებრივი განაჩენების, საგარეო ვაჭრობის საარბიტრაჟო კომისიისა და ცალკე საქმეების განსახილველად სპეციალურად შექმნილი არბიტრაჟების გადაწყვეტილებების, უცხო ქვეყნის სასამართლოების გადაწყვეტილებების საფუძველზე;

2) სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერები;

3) არბიტრაჟის ორგანოების ბრძანებები, რომლებიც გაცემულია კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში არბიტრაჟისა და სამედიატორო სასამართლოების გადაწყვეტილებათა საფუძველზე სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოების, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის დავის გამო;

4) საზღვაო საარბიტრაჟო კომისიის თავმჯდომარის წარწერები გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შესახებ;

5) ვადაზე გაუნაღდებელი საგადასახადო მოთხოვნები, რომლებიც აქცეპტირებულია გადამხდელის მიერ;

6) პროფესიული კავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტების მოწმობები, რომლებიც გაცემულია შრომის დავის განმხილველი კომისიების გადაწყვეტილებათა ან პროფესიული კავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტების დადგენილებათა საფუძველზე და პროფესიული კავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტების მოწმობები დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების გამო დავების შესახებ;

7) არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების მიერ გაცემული დადგენილებანი ფულადი გადახდევინების შესახებ;

8) ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გაცემული დადგენილებანი მოქალაქეებისაგან გადასახდელის უდავო წესით გადახდევინების შესახებ;

9) მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებანი მოქალაქეთა პირადი საკუთრების უფლებით კუთვნილი მეორე სახლის იძულებითი წესით გაყიდვის შესახებ;

10) მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებანი სახელმწიფო დაწესებულების, საწარმოების, კოლმეურნეობების და სხვა კოოპერაციული ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ზარალის ანაზღაურების შესახებ ნათესების წინახედისა და ნარგავების დაზიანების გამო.

**24.** სააღსრულებო ფურცელში უნდა აღინიშნოს:

ა) სააღსრულებო ფურცლის გამცემი სასამართლოს დასახელება;

ბ) საქმე, რომლის გამოც გაცემულია სააღსრულებო ფურცელი;

გ) გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი;

დ) გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი (სიტყვასიტყვით);

ე) გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის თარიღი;

ვ) სააღსრულებო ფურცლის გაცემის თარიღი;

ზ) გადამხდევინებლისა და მოვალის დასახელება და მათი მისამართი.

გარდა ამისა, სახელმწიფო საწარმოებისათვის, დაწესებულებებისათვის, კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული ან საზოგა-

დოებრივი ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის შესახებ საქმეთა გამო სააღსრულებო ფურცელში უნდა აღინიშნოს მოვალის დაბადების წელი და ადგილი, ხოლო თუ ზიანი დანაშაულითაა მიყენებული, — სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლიც, რომლითაც მას მსჯავრი დაედო.

ალიმენტის გამო საქმეებზე სააღსრულებო ფურცელში აღინიშნება მოვალის დაბადების წელი და ადგილი, აგრეთვე იმ ბავშვის სახელი და დაბადების თარიღი, რომლის შესანახადაცაა დაკისრებული ალიმენტი. სააღსრულებო ფურცელს ხელს აწერს მოსამართლე და დამოწმდება სახალხო სასამართლოს ბეჭდით.

**25.** აღსასრულებელი გადაწყვეტილების ბუნდოვნობის შემთხვევაში სასამართლო აღმასრულებელს უფლება აქვს სთხოვოს სასამართლოს, რომელმაც საქმე გადაწყვიტა, განმარტოს გადაწყვეტილება. სასამართლო აღმასრულებელს უფლება აქვს ითხოვოს სხვა სააღსრულებო საბუთების განმარტებაც ამ საბუთების გამცემი ორგანოს მიერ.

## სააღსრულებო საბუთების მიღება და აღსრულებისათვის მათი წარდგენის ვადები

**26.** აღსრულებისათვის სააღსრულებო საბუთების გადამხდევინებლისაგან მიღება წარმოებს სახალხო სასმართლოს მიერ, რომელთანაც არის აღმასრულებელი. სასამართლოს კანცელარიაში რეგისტრაციის შემდეგ, სააღსრულებო საბუთები აღრიცხვის წიგნში ხელმოწერით გადაეცემა სასამართლო აღმასრულებელს.

**27.** გადამხდევინებლისაგან სააღსრულებო საბუთების მიღება პირადად სასამართლო აღმასრულებლის მიერ დაიშვება მხოლოდ აღსრულებლის მიზნით რაიონში გასვლის შემთხვევაში, როდესაც იქმნება გასვლის ადგილზე აღსრულებისა და სახსრების გაცემის შესაძლებლობა.

ამგვარ შემთხვევებში მიღებული სააღსრულებო საბუთების შესახებ სასამართლო აღმასრულებელი მივლინებიდან დაბრუნებისთანავე მოახსენებს მოსამართლეს, რომლის მითითებების შესაბამისად ისინი აღირიცხება სააღსრულებო საბუთების აღრიცხვის წიგნში.

**28.** სააღსრულებო საბუთები ქონების კონფისკაციის, სახელმწიფო შემოსავალში ფულადი თანხების გადახდევინების, სახელმწიფო, კოოპერაციული ან საზოგადოებრივი ქონებისათვის დანაშაულით მიყენებული ზიანის გადახდევინების, ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის გადახდევინების, მუშაკის არასწორად დათხოვნის ან გადაყვანის ანდა სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობაში დამნაშავე თანამდებობის პირებისაგან ფულადი თანხების გადახდევინების შემთხვევაში, სასამართლო აღმასრულებელს გადაეცემა სასამართლოს თავმჯდომარის ან სახალხო მოსამართლის მითითებით, რის შესახებ უნდა ეცნობოს შესაბამის საფინანსო ორგანოს ან გადამხდევინებელს.

**29.** სააღსრულებო საბუთები შეიძლება წარდგენილ იქნას იძულებითი აღსრულებისათვის შემდეგ ვადებში:

ა) სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, რომელშიც ერთერთ მხარედ მოქალაქეა, — სამი წლის განმავლობაში კანონიერ ძალაში მისი შესვლის მომენტიდან, ყველა სხვა დანარჩენ საქმეზე კი — ერთი წლის განმავლობაში, თუ კანონმდებლობით სხვა ვადები არ არის დადგენილი. ამ წესების დაცვით აღსრულებისათვის შეიძლება წარდგენილი იქნას აგრეთვე სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერები;

ბ) არბიტრაჟის გადაწყვეტილებები — ექვსი თვის განმავლობაში;

გ) შრომის დავის კომისიის გადაწყვეტილებანი და პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტების დადგენილებანი შრომის დაცვის გამო—სამი თვის განმავლობაში;

დ) ადმინისტრაციული კომისიების, სხვა ორგანოების ან თანამდებობის პირთა დადგენილებები ჯარიმის დაკისრების შესახებ — სამი თვის განმავლობაში.

**30.** 29-ე მუხლში მითითებული ვადები გამოიანგარიშება:

სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და ქონებრივი გადასახდელების ნაწილში სასამართლოს განაჩენების აღსრულებისას—გადაწყვეტილების ან განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მეორე დღიდან, ხოლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შემთხვევაში—მისი გამოტანის მეორე დღიდანვე.

არბიტრაჟის ორგანოების გადაწყვეტილების აღსრულებისას— არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტილების აღსრულებისათვის დადგენილი ვადის დამთავრების მომდევნო დღიდან, ხოლო გადაწყვეტილების დადგენისთანავე ბრძანების გაცემისას—გადაწყვეტილების დადგენის მეორე დღიდან.

ჯარიმის დაკისრების გამო გადაწყვეტილების აღსრულებისას — გადაწყვეტილების დადგენის მეორე დღიდან;

ყველა სხვა სააღსრულებო საბუთის გამო—მათი გაცემის მეორე დღიდან.

**31.** პერიოდული გადასახადების (ალიმენტი, ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება და სხვა) გადახდევინების შესახებ სააღსრულებო საბუთები ძალას ინარჩუნებენ გადახდევინების მთელი ვადის განმავლობაში. ასეთ შემთხვევებში თვითეული გადასახდელის ვადა ცალკე გამოიანგარიშება.

**32.** სააღსრულებო საბუთის წარდგენისათვის ხანდაზმულობის ვადა შეწყდება:

ა) სააღსრულებო საბუთის აღსასრულებლად წარდგენით, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი;

ბ) თუ საქმეში ერთ-ერთ ან ორივე მხარეს მოქალაქენი წარმოადგენენ — გადაწყვეტილების ნაწილობრივი აღსრულებით, და თუ მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობით სხვა საფუძვლებიცაა გათვალისწინებული, მაშინ—ამ საფუძვლებით.

შეწყვეტის შემდეგ ხანდაზმულობის ვადა განახლდება, ამასთან გასული დრო არ ჩაითვლება ახალ ვადაში.

შეწყვეტის შემდეგ ხანდაზმულობის ახალი ვადა გამოიანგარიშება იმ დღიდან, როდესაც სააღსრულებო საბუთი, რომლითაც მთლიანად ან ნაწილობრივ არ მომხდარა აღსრულება, გადამხდევინებელს დაუბრუნა სასამართლომ ან დაწესებულებამ, საწარმომ, ორგანიზაციამ, სადაც მოპასუხის ხელფასიდან ხდებოდა დაკავება.

**33.** ჯარიმის გადახდევინებაზე ადმინისტრაციული კომისის, სხვა ორგანოს ან თანამდებობის პირის დადგენილების აღსასრულებლად წარდგენით არ წყდება ამგვარი აღსრულებისათვის დადგენილი სამთვიანი ვადა.

**34.** სააღსრულებო საბუთები, რომლებზედაც გასულია ხანდაზმულობის ვადა, სასამართლოს მიერ აღსრულებისათვის არ მიიღება.

**35.** სააღსრულებო ფურცლის ან ნოტარიუსის სააღსრულებო წარწერის აღსასრულებლად წარდგენისათვის გადაცილებული ვადა, რაც სასამართლოს მიერ საპატიოდაა მიჩნეული, შეიძლება აღდგენილ იქნას, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

## სააღსრულებო მოქმედებათა გადადება, შეჩერება შეწყვეტა და გადამხდევინებლისათვის სააღსრულებო საგუთის დაბრუნება

**36.** სასამართლო აღმასრულებელს უფლება არა აქვს დამოუკიდებლად შეაჩეროს აღსრულება, გადამხდევინებელს დაუბრუნოს სააღსრულებო საბუთები, გადამხდევინებლის წერილობითი განცხადების უქონლად სხვა დროისათვის გადადოს სააღსრულებო მოქმედება, აღწერილობის სიიდან ამორიცხოს დაყადაღებული ქონება, აგრეთვე თავისი შეხედულებისამებრ დააწესოს მოვალის ხელფასიდან დასაკავებელი თანხის კანონით გაუთვალისწინებელი ოდენობა.

სასამართლო აღმასრულებელმა ამგვარი მოქმედებანი შეიძლება შეასრულოს მხოლოდ სასამართლოს ან მოსამართლის განჩინების საფუძველზე.

**37.** სააღსრულებო წარმოება აუცილებლად უნდა შეჩერდეს:

1) მოვალის გარდაცვალებისას, თუ სასამართლოს მიერ დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობით დაიშვება უფლებამონაცვლეობა;

2) მოვალის მიერ ქმედუნარიანობის დაკარგვისას;

3) სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მოქმედ ნაწილში მოვალის ყოფნისას და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მოქმედ ნაწილში მყოფი გადამხდევინებლის თხოვნისას;

4) მოვალის მიერ სააღსრულებო საბუთის გამო სასარჩელო წესით დავის აღძვრისას, თუ კანონმდებლობით ასეთი დავა დაიშვება;

5) ადმინისტრაციული ორგანოების მოქმედებაზე სასამართლოში საჩივრის შეტანისას;

6) თანამდებობის იმ პირის მიერ დადგენილების გამოტანისას, რომელთაც მინიჭებული აქვთ გადაწყვეტილების შეჩერების უფლება;



F102.333
3
საქართველოს პარლამენტის

7) სხვა საფუძვლებით, თუ მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობა ითვალისწინებს ასეთ საფუძვლებს.

**38.** სასამართლოში იმ ქონების გამო დავის აღძვრისას, რაზედაც აღსრულებაა მიქცეული, აღსრულება უნდა შეჩერდეს სადავო ქონებაზე, თუ მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს აღსრულებას ასეთი დავის არსებობის დროსაც.

**39.** სააღსრულებო წარმოება აგრეთვე შეიძლება შეჩერდეს:

— სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ნამდვილ სამხედრო სამსახურში მყოფი ან რაიმე სახელმწიფო მოვალეობის შესასრულებლად გაწვეული მოვალის თხოვნისას;

— ხანგრძლივ სამსახურებრივ მივლინებაში მოვალის ყოფნისას;

— სამკურნალო დაწესებულებაში მოვალის ყოფნისას;

— სასამართლო აღმასრულებლის მოქმედებაზე საჩივრის შეტანისას;

— მილიციის ორგანოების მეშვეობით მოვალის ძებნისას, როდესაც ასეთი ძებნა შეიძლება სასამართლოს ან მოსამართლის განჩინებით;

— სხვა გარემოებათა გამო, თუ მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობა მათ ითვალისწინებს.

სასამართლო აღმასრულებელი, აღსრულების პროცესში ისეთ გარემოებათა დადგენაზე, რომელთა გამო შეიძლება აღსრულების შეჩერება, დაუყოვნებლივ მოახსენებს სახალხო მოსამართლეს, რათა მიიღოს მითითებანი შემდგომი აღსრულების შესახებ.

**40.** აღსრულების შეჩერების გამომწვევი მიზეზების აღკვეთისას სააღსრულებო წარმოება უნდა განახლდეს გადამხდევინებლის განცხადებით ან მოსამართლის ინიციატივით.

**41.** სააღსრულებო წარმოება შეწყდება:

1) თუ გადამხდევინებელმა უარი თქვა გადახდევინებაზე;

2) თუ გადამხდევინებელი და მოვალე მორიგდნენ;

3) თუ გადამხდევინებლის ან მოვალის სიკვდილის შემდეგ გადაწყვეტილებით დადგენილი მოთხოვნები ან მოვალეობანი ვერ გადავა გარდაცვლილი პირის უფლებამონაცვლეზე;

4) თუ ამ სახის გადახდევინებისათვის გავიდა კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა;

5) თუ გაუქმდა გადაწყვეტილება ან დადგენილება, რომლის საფუძველზეც გაცემულია სააღსრულებო საბუთი;

**42.** სააღსრულებო წარმოების შეწყვეტისას სააღსრულებო საბუთი სასამართლო აღმასრულებლის შესაბამისი აღნიშვნით იგზავნება მოკავშირე რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით ამ დოკუმენტის გამცემ სასამართლოში ან სხვა ორგანოში, ან უბრუნდება გადამხდევინებელს.

სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო აღმასრულებლის მიერ აღსრულებისათვის მიღებული ყველა ღონისძიება უქმდება. შეწყვეტილი სააღსრულებო წარმოება არ შეიძლება ხელახლა იქნეს დაწყებული.

**43.** სააღსრულებო საბუთი, რომლითაც გადახდევინება არ მოხდა, ან მოხდა ნაწილობრივ, გადამხდევინებელს დაუბრუნდება:

1) გადამხდევინებლის განცხადებით;

2) თუ მოვალეს არ გააჩნია ქონება ან შემოსავალი, რომლიდანაც შეიძლება გადახდევინება;

3) თუ გადამხდევინებელმა უარი თქვა მოვალის იმ ქონების მისთვის დატოვებაზე, რომელიც გადაწყვეტილების აღსრულების დროს არ გაიყიდა, ან მოვალისაგან ჩამორთმეული ისეთი საგნების მიღებაზე, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილებაშია აღნიშნული;

4) თუ გადამხდევინებლის მიერ მითითებულ მისამართზე მოვალე არ ცხოვრობს ან არ მუშაობს, ან იქ არ მოიპოვება მისი ქონება, გარდა შემთხვევებისა, როდესაც კანონი ითვალისწინებს მოვალის ძებნას მილიციის ორგანოთა მეშვეობით.

ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებში აღნიშნულ შემთხვევებში სასამართლო აღმასრულებელი ადგენს შესაბამის აქტს, რაც დასტურდება სახალხო მოსამართლის განჩინებით.

**44.** როდესაც მოვალის სამყოფელი ადგილი ცნობილი არ არის, მილიციის ორგანოების მეშვეობით მისი ძებნა ხდება სახალხო სასამართლოს ან მოსამართლის განჩინებით.

ასეთი განჩინება მითითებულ შემთხვევაში მოსამართლემ უნდა გამოიტანოს ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილებათა აღსრულებისას.

მილიციის ორგანოების მეშვეობით მოვალის ძებნის შესახებ განჩინება სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს აგრეთვე ,,ოქალაქეთაგან სახელმწიფო დაწესებულების, საწარმოების, კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების სასარგებლოდ გადახდევინების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულებისას.

განჩინება მოვალის ძებნის შესახებ შეიძლება გამოიტანოს გადაწყვეტილების დამდგენმა სასამართლომ, ან გადაწყვეტილების აღსრულების ადგილის სასამართლომ, ანდა გადამხდევინებლის სამყოფელი ადგილის სასამართლომ.

**45.** გადახდევინების შეუძლებლობის შესახებ აქტის დამტკიცების დროს სახალხო მოსამართლემ უნდა შეამოწმოს მასში მითითებული მონაცემების სისწორე, მიიღო თუ არა სასამართლო აღმასრულებელმა მოვალის ქონების მოსაძებნად საჭირო ყველა ზომა, ქონების აღწერის დროს იყო თუ არა მიწვეული გადამხდევინებელი ან მისი წარმომადგენელი, სრულადაა თუ არა დაცული აღწერილი ქონება და ა. შ. საჭირო შემთხვევაში სახალხო მოსამართლე გამოიძახებს და დაკითხავს გადამხდევინებელს, ხომ არ აქვს ცნობები მოვალის ისეთ ქონებაზე, რაც არ გამოვლენილა აღწერის დროს.

თუ შემოწმების შედეგად მოსამართლე ჩასთვლის, რომ არ არის გამოყენებული მოვალის ქონების გამოვლენის ყველა შესაძლებლობა, იგი სასამართლო აღმასრულებელს აძლევს მითითებას მოვალის ქონების დაძებნისა და მასზე აღსრულების მოქცევის შესახებ.

**46.** გადახდევინების შეუძლებლობაზე აქტის დამტკიცების შემდეგ სასამართლო აღმასრულებელი აქტის ასლთან ერთად სააღსრულებო ფურცელს უბრუნებს გადამხდევინებელს და განუმარტავს უფლებას ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში აღსასრულებლად ხელახლა წარადგინოს სააღსრულებო საბუთი.

თუ გადამხდევინებელი კვლავ მიმართავს სასამართლოს განცხადებით იმის შესახებ, რომ მოვალეს აქვს ქონება, რომელზედაც შეიძლება გადამხდევინების მიქცევა, ან მიუთითებს მის საცხოვრებელსა თუ სამუშაო ადგილს, სასამართლო აღმასრულებელი ვალდებულია გულმოდგინედ შეამოწმოს გადამხდევინებლის ასეთი განცხადება და დადასტურების შემთხვევაში გადახდევინება მიაქციოს მოვალის გამოვლინებულ ქონებაზე ან შემოსავალზე.

**47.** საკითხები სააღსრულებო მოქმედების შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ, გადამხდევინებლისათვის სააღსრულებო საბუთის დაბრუნების შესახებ განიხილება იმ სასამართლოს სახალხო მოსამართლის მიერ, რომელშიაც ითვლება სასამართლო აღმასრულებელი, საქმეში მონაწილე პირების შეტყობინებით, ამასთან ამ პირთა სასამართლოში გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას საკითხების გადაწყვეტაში.

სააღსრულებო წარმოების შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ, გადამხდევინებლისათვის სააღსრულებო საბუთის დაბრუნების შესახებ მოსამართლის განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის ან პროტესტის შეტანა.

## წინადადება გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ

**48.** შეუდგება რა გადაწყვეტილების აღსრულებას, სასამართლო აღმასრულებელი მოვალეს უგზავნის წინადადებას დადგენილ ვადაში სასამართლოს გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი შესრულების შესახებ.

ნებაყოფლობითი შესრულების ვადა წესდება ხუთი დღეღამის ფარგლებში, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობით უფრო ხანგრძლივი ვადის გათვალისწინების ანდა თვით გადაწყვეტილებაში აღსრულების ვადის მითითების შემთხვევაში,—ამ ვადების ფარგლებში.

**49.** ისეთ შემთხვევაში. როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს, მოვალეს ეგზავნება წინადადება იმის მოთხოვნით, რომ გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ შეასრულოს ნებაყოფლობით. ამ შემთხვევაში ნებაყოფლობით შესრულებისათვის ვადა მხოლოდ იმ რესპუბლიკებში დაწესდება, რომელთა სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსები ითვალისწინებენ ასეთი ვადების დაწესების შესაძლებლობას.

**50.** სასამართლო აღმასრულებელი, წინადადების ჩაბარებასთან ერთად, მოვალეს აფრთხილებს, რომ დადგენილ ვადაში სასამართ-

ლოს გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შეუსრულებლობა გამოიწვევს იძულებით აღსრულებას — შესაბამისი ხარჯების მისთვის დაკისრებით.

**51.** ისეთ პირობებში, როდესაც არსებობს საფუძველი ვარაუდისათვის, რომ მოვალე გაფლანგავს ან გადამალავს ქონებას, სასამართლო აღმასრულებელს უფლება აქვს, ნებაყოფლობით აღსრულების წინადადების ჩაბარებასთან ერთად, მოვალეს აუწეროს და დაუყადაღოს ქონება.

**52.** წინადადება გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების, შესახებ მოვალეს ჩაბარდება ხელწერილქვეშ ჩაბარების დროის აღნიშვნით.

მოვალის არყოფნის შემთხვევაში წინადადება ჩაბარდება მისი ოჯახის მასთან ერთად მცხოვრებ რომელიმე სრულწლოვან წევრს, მათი არყოფნისას კი — სახლმმართველობას, მშრომელთა დეპუტატების სასოფლო ან სადაბო საბჭოს აღმასკომს ან სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას. ასეთ შემთხვევებში პირმა, რომელმაც წინადადება ჩაიბარა, წინადადების მიღების შესახებ ხელწერილში უნდა მიუთითოს თავისი გვარი, სახელი, მამის სახელი, მოვალესთან დამოკიდებულება ან დაკავებული თანამდებობა (მაგალითად: ქმარი, მამა და ა. შ. ან დაწესებულების ხელმძღვანელი და ა. შ.).

**53.** თუ მოვალემ უარი თქვა წინადადების ჩაბარებაზე ან ჩაბარების გამო ხელწერილის გაცემაზე მიმტანი პირი აღნიშნავს ამის შესახებ და წინადადებას სასამართლოში დააბრუნებს. აღნიშვნა მოვალის მიერ წინადადების მიღებაზე უარის თქმის შესახებ დასტურდება სახლმმართველობის, მშრომელთა დეპუტატების სასოფლო ან სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, ან მოვალის სამუშაო ადგილის ადმინისტრაციის მიერ. წინადადების მიღებაზე უარის თქმა არ დააბრკოლებს გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებას.

**54.** სასამართლო გადაწყვეტილებათა იძულებითი აღსრულება წარმოებს ნებაყოფლობითი შესრულების ვადის გასვლის შემდეგ.

**55** დაუყოვნებლივ აღსრულდება გადაწყვეტილებანი:

1) ალიმენტის გადახდევინების, მუშის ან მოსამსახურისათვის ხელფასის მიკუთვნების შესახებ, კოლმეურნესათვის ერთი თვის ფარგლებში გაანგარიშებული შრომის საზღაურის მიკუთვნების შე-

სახებ, ხოლო თუ მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობა ითვალისწინებს დავალიანების მთელი თანხის დაუყოვნებლივ გადახდევინებას, — დაკისრებული თანხის მთლიანად გადახდევინების შესახებ;

2) არასწორად დათხოვნილი ან გადაყვანილი მუშაკის წინანდელ სამუშაოზე ან თანამდებობაზე აღდგენის შესახებ;

3) სხვა საქმეთა შესახებ, თუ გადაწყვეტილებებში მითითებულია მათი დაუყოვნებლივ აღსრულება.

**56.** იმ გადაწყვეტილებათა იძულებითი აღსრულება, რომლებიც არ არის დაკავშირებული მოვალის ქონების გაყიდვასთან, სასამართლო აღმასრულებელმა უნდა დაამთავროს ოცი დღის ვადაში, ამ ვადაში შედის ის დროც, რაც მოვალეს მიეცა გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულებისათვის.

## თავი II

## გადაწყვეტილებათა აღსრულება მოქალაქეთა მიმართ

### მოვალის ქონებიდან გადახდევინება

**57.** მოქალაქეთაგან გადახდევინება წარმოებს მოვალის პირადი ქონებიდან, აგრეთვე საერთო საკუთრებაში, მეუღლეთა თანაზიარ საკუთრებაში და საკოლმეურნეო კომლის ან ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობაში მისი წილიდან და წარმოებს ამ ქონების დაყადაღების, ამოღებისა და გაყიდვის გზით.

**58.** მოვალის ქონებიდან გადახდევინება არ მოხდება თუ იგი მუშაობს ან ღებულობს პენსიას ან სტიპენდიას და გადასახდევინებლის ოდენობა არ აღემატება თვიური ხელფასის ან სხვა გასამრჯელოს, პენსიისა თუ სტიპენდიის იმ ნაწილს, რომლიდანაც კანონით შეიძლება გადახდევინება. ასეთ შემთხვევაში საღსრულებო საბუთი დავალიანების თანხის დაკავებისათვის იგზავნება შესაბამის საწარმოში, დაწესებულებაში ან ორგანიზაციაში. მოვალის სამუშაო ადგილის მიხედვით ანდა პენსიის ან სტიპენდიის მიღების ადგილზე.

**59.** დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურება შეიძლება

მოხდეს აგრეთვე მეუღლეთა თანაზიარი საკუთრების ქონებიდან და საკოლმეურნეო კომლის ან ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის ქონებიდან, თუ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო განაჩენით დადგენილია, რომ ეს ქონება შეძენილი იყო დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სახსრებით.

**60.** საკოლმეურნეო კომლის ან ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის ვალდებულებათა გამო დავალიანების გადახდევინება ხდება კომლის ან მეურნეობის ქონებიდან.

**61.** მოქალაქეთა მიმართ გადაწყვეტილების აღსრულებისას გადახდევინება არ შეიძლება მოვალისა და მის კმაყოფაზე მყოფ პირთათვის აუცილებელი კვების პროდუქტებიდან, ტანსაცმლიდან, საოჯახო მოწყობილობიდან და მოხმარების საგნებიდან, საჭირო რაოდენობის პირუტყვიდან და ფრინველიდან, აგრეთვე სხვა ქონებიდან თანახმად ნუსხისა, რაც ჩამოთვლილია მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების დანართებში.

**62.** მოვალის ქონების დაყადაღება არის ამ ქონების აღწერა და მისი განკარგვის აკრძალვის მოვალისათვის გამოცხადება.

ქონების აღწერა წარმოებს მოვალის ან მისი წარმომადგენლისა და ორი მოწმის დასწრებით. მოწმეებად არ შეიძლება იყვნენ სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის მუშაკები. ქონების აღწერას შეიძლება დაესწროს გადამხდევინებელი ან მისი წარმომადგენელი.

მოვალისა და მისი წარმომადგენლის არყოფნის შემთხვევაში აღწერას დაესწრება მოვალის ოჯახის რომელიმე სრულწლოვანი წევრი, ამ პირების არყოფნისას კი—სახლმმართველობის ან მშრომელთა დეპუტატების სასოფლო ან სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი.

**63.** მოვალის ქონება იმ ოდენობით უნდა აღიწეროს, რაც საჭიროა გადამხდევინებლისათვის მიკუთვნებული თანხისა და აღსრულების ხარჯების დასაფარავად, მათ შორის — იძულებითი აღსრულებისათვის სასამართლო აღმასრულებლის მგზავრობასთან დაკავშირებული ხარჯებისა.

64. თუ მოვალის ქონების დაყადაღების დროს სხვა პირები განაცხადებენ თავიანთ უფლებას ამ ქონებაზე, აღეწრილობაში მაინც შედის ეს ქონება, მაგრამ პრეტენზიის გამო კეთდება შესაბამისი აღ-

ნიშვნა. ამასთან სასამართლო აღმასრულებელი დაინტერესებულ პირს განუმარტავს მის უფლებას მიმართოს სასამართლოს აღწერილობის სიიდან ქონების ამორიცხვის შესახებ.

**65.** ქონების აღწერისას მოვალეს უფლება აქვს განუცხადოს სასამართლო აღმასრულებელს, პირველ რიგში რა საგნებიდან უნდა მოხდეს გადახდევინება. სასამართლო აღმასრულებელი მოვალეს დააკმაყოფილოს ასეთი განცხადება, თუ ეს არ აბრკოლებს გადაწყვეტილების აღსრულებას.

**66.** ქონების დაყადაღების აქტი უნდა შედგეს დადგენილი ფორმით, მასში უნდა აღინიშნოს:

ა) აქტის შედგენის დრო და ადგილი;

ბ) დასახელება სასამართლოსი, რომელშიაც ითვლება აღმასრულებელი, აგრეთვე სასამართლო აღმასრულებლისა და აქტის შედგენის დამსწრე პირთა გვარი, სახელი, მამის სახელი.

გ) სასამართლოსი და იმ გადაწყვეტილების დასახელება, რომელიც სისრულეშია მოსაყვანი ან დასახელება სხვა სააღსრულებო საბუთისა და ორგანოსი, რომელმაც იგი გასცა;

დ) გადამხდევინებლისა და მოვალის დასახელება;

ე) აქტში შეტანილი თვითეული საგნის დასახელება და მისი განმასხვავებელი ნიშნები (წონა, ზომები, ფერი, გაცვეთილობის ხარისხი და ა. შ.)

ვ) აქტში შეტანილი თვითეული საგნის ცალკე შეფასება და მთელი ქონების ღირებულება;

ზ) თუ საგნები დაილუქა — რა საგნები ან სადგომები დაილუქა და ლუქის ბეჭდების ოდენობა;

თ) იმ პირის დასახელება, რომელსაც ქონება გადაეცა შესანახად და მისამართი, თუ შენახვა თვით მოვალეს არ დაევალა;

ი) ვადა, რომლის შემდეგ ქონება გასაყიდად გადაეცემა;

კ) იმის აღნიშვნა, რომ მოვალესა და სხვა პირებს განემარტათ სასამართლო აღმასრულებლის მოქმედების გასაჩივრების წესი და ვადა, და აგრეთვე, რომ მოვალეს ან ქონების შემნახველს განემარტა მისი მოვალეობანი ქონების შენახვისათვის და პასუხისმგებლობა შესანახად გადაცემული ქონების გაფლანგვის, გასხვისების ან გადამალვისათვის;

დ) გადამხდევინებლის, მოვალის, აღწერის დამსწრე პირების შენიშვნები და განცხადებანი და ამ შენიშვნებისა და განცხადებების გამო სასამართლო აღმასრულებლის განკარგულებანი.

**67.** ქონების დაყადაღებასთან ერთად აღწერილობის აქტში ჩამოთვლილი უნდა იქნას ნივთები, რაც დაეტოვა მოვალეს ამ ინსტრუქციის 61-ე მუხლის შესაბამისად, აგრეთვე სხვა ქონება, მათ შორის სხვა პირებთან მოვალის საერთო საკუთრებაში მყოფი, რაც დაყადაღებული არ ყოფილა.

ქონების დაყადაღების აქტს ხელს აწერენ სასამართლო აღმასრულებელი, მოწმეები, ქონების შემნახველი, აგრეთვე გადამხდევინებელი, მოვალე და ქონების დაყადაღებაზე დამსწრე სხვა პირები.

**68.** აქტი ქონების დაყადაღების შესახებ უნდა შედგეს ორ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი რჩება სასამართლო აღმასრულებლის სააღსრულებო წარმოებაში, მეორე ბარდება მოვალეს აქტის პირველ ეგზემპლარზე ხელწერილის ქვეშ.

იმ შემთხვევაში, თუ აღწერილი ქონება შესანახად სხვა პირს ჩაბარდა, აღწერილობის აქტი შედგება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ჩაბარდება ქონების შემნახველს, მეორე—მოვალეს, მესამე რჩება სასამართლო აღმასრულებლის სააღსრულებო წარმოებაში. ქონების კონსფიკაციის ან სახელმწიფოსათვის ქონების გადაცემაზე გადაწყვეტილების აღსრულებისას, აქტი ქონების დაყადაღებაზე შედგება ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ჩაბარდება მოვალეს, მეორე იგზავნება საფინანსო ორგანოში, მესამე რჩება სასამართლო აღმასრულებლის წარმოებაში, მეოთხე კი იგზავნება განაჩენის ან გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში.

**69.** ქონების შეფასებას აწარმოებს სასამართლო აღმასრულებელი სახელმწიფო ან კოოპერაციული ვაჭრობის საცალო ფასებით ცვეთის გათვალისწინებით, ხოლო ასეთი ფასების უქონლობისას—ამ ადგილის საშუალო საბაზრო ფასების მიხედვით. თუ ცალკეული საგნების შეფასება ძნელია, ან თუ მოვალე ან გადამხდევინებელი არ ეთანხმება სასამართლო აღმასრულებლის მიერ მოხდენილ შეფასებას, ქონების ღირებულების განსაზღვრისათვის სასამართლო აღმასრულებელი მოიწვევს ექსპერტს.

**70.** მოვალისაგან ჩამორთმეულ ოქროს, ვერცხლს, პლატინას და

პლატინის ჯგუფის ლითონებს ნაკეთობების, ჯართის, ზოდების და მონეტების სახით, ძვირფას თვლებს, მარგალიტს, უცხოეთის ვალუტას აღწერილობის სიაში შეტანის შემდეგ სასამართლო აღმასრულებელი ამოიღებს და შესანახად ჩააბარებს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ დაწესებულებას.

სახელმწიფო სესხის ობლიგაციებს სასამართლო აღმასრულებელი ჩამოართმევს მოვალეს და შესანახად ჩააბარებს უახლოეს შემნახველ სალაროს.

მოვალესთან აღმოჩენილი ფულადი თანხები, რაც აუცილებელია დავალიანებისა და აღსრულებასთან დაკავშირებული თანხის დასაფარავად, ჩამოერთმევა მოვალეს და შეიტანება სახალხო სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე.

აღნიშნული ფასეულობა და ფულადი თანხები სასამართლო აღმასრულებელმა შესანახად უნდა ჩააბაროს მათი ამოღებიდან არაუგვიანეს 24 საათისა.

71. ვალის დასაფარავად მოვალის პირადი ქონების უკმარისობის შემთხვევაში სასამართლო აღმასრულებელს ქონების აღწერილობაში შეაქვს სხვა პირებთან საერთო საკუთრებაში არსებული მოვალის ქონება (საკოლმეურნეო კომლის ან ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის ქონება, მეუღლეთა თანაზიარი საკუთრების ქონება) და სახალხო სასამართლოს მიმართავს წარდგინებით ამ ქონებაში მოვალის წილის განსაზღვრისათვის.

## აღწერილი ქონების შემნახველის დანიშვნა

72. აღწერილი და აღწერის დროს ამოღებული ქონება შესანახად ბარდება მოვალეს ან მისი ოჯახის წევრს.

ქონების შესანახად ჩაბარებაზე მოვალის მიერ უარის თქმის, ან მისი ადგილზე არყოფნის ან სხვა შემთხვევაში, რაც არ ქმნის მოვალისათვის ან მისი ოჯახის წევრებისათვის შესანახად ქონების ჩაბარების შესაძლებლობას, სასამართლო აღმასრულებელი ქონების შემნახველად ნიშნავს სხვა პირს.

სასამართლო აღმასრულებელს შეუძლია შემნახველად სხვა

პირი დანიშნოს გადამხდევინებლის თხოვნითაც, ამ თხოვნას საპატიოდ მიიჩნევს

შემნახველი ქონების ჩაბარებაზე ხელს აწერს თვით აღწერილობის სიაზე, რომლის ასლი მას ხელზე მიეცემა, ამასთან გაფრთხილება ეძლევა შესანახად ჩაბარებული ქონების გაფლანგვის, გასხვისების, შეცვლის ან გადამალვისათვის სისხლის სამართლისა და ქონებრივი პასუხისმგებლობის შესახებ.

**73.** შემნახველმა შეიძლება ისარგებლოს მისთვის შესანახად ჩაბარებული ქონებით, თუ ქონების თვისებების მიხედვით მისი გამოყენება არ გამოიწვევს მისი ღირებულების შემცირებას ან მოსპობას. წინაღმდეგ შემთხვევაში სასამართლო აღმასრულებელმა უნდა აკრძალოს აღწერილი ქონების გამოყენება, რის ეშსახებ მიუთითებს აღწერილობის აქტში.

ტანსაცმლით სარგებლობა აკრძალულია.

**74.** თუ ქონება შესანახად ჩაბარდა არა მოვალეს ან მის ოჯახის წევრს, არამედ სხვა პირს, მას აქვს შენახვისათვის გასამრჯელოს მიღების უფლება.

გასამრჯელოს ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო აღმასრულებელი შემნახველთან შეთანხმებით, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს შესანახად ჩაბარებული ქონების ღირებულების 1,5 პროცენტს. ცხოვალების შენახვისას გასამრჯელოს ოდენობა იზრდება ქონების შესანახად დადგენილი ფასის 50 პროცენტით. შემნახველს აგრეთვე აუნაზღაურდება შენახვისათვის აუცილებელი ხარჯები, თუ კი ასეთი ხარჯები იყო გაწეული. სასამართლო აღმასრულებლის მიერ განსაზღვრულ გასამრჯელოს ოდენობას ამტკიცებს სახალხო მოსამართლე.

**75.** სასამართლო აღმასრულებელი, დაადგენს რა შესანახად ჩაბარებული ქონების გაფლანგვის, გასხვისების ან გადამალვის ფაქტს, ამის შესახებ ადგენს აქტს და აღსრულების ადგილის მიხედვით მიმართავს სახალხო მოსამართლეს შემნახველის პასუხისმგებლობის საკითხის გადასაწყვეტად.

## გადახდევინება საცხოვრებელი შენობის ღირებულებიდან

**76.** გადახდევინება საცხოვრებელი შენობის ღირებულებიდან ხდება უკანასკნელ რიგში, როდესაც მოვალეს არა აქვს სხვა ქონება, ან ვალის სრულად დაფარვისათვის მისი უკმარისობის შემთხვევაში, ამასთან თუ მისთვის მინიჭებული უფლების შესაბამისად მოვალე მოითხოვს, რომ გადახდევინება პირველ რიგში მოხდეს საცხოვრებელი შენობის ღირებულებიდან, სასამართლო აღმასრულებელი ვალდებულია დააკმაყოფილოს ასეთი მოთხოვნა, თუ ეს არ აბრკოლებს გადაწყვეტილების აღსრულებას.

**77.** საცხოვრებელი შენობის ღირებულებიდან გადახდევინებისას, სასამართლო აღმასრულებელი, მოვალისათვის გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულების შესახებ წინადადების გაგზავნასთან ერთად, მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალურ განყოფილებაში ანდა მშრომელთა დეპუტატების სასოფლო (სადაბო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში არკვევს ეკუთვნის თუ არა შენობა მოვალეს, შენობის ნამდვილ ღირებულებას, არის თუ არა ეს შენობა დაყადაღებული და რა დავალიანება არსებობს მასზე.

**78.** სასამართლოს აღმასრულებელი იმაში დარწმუნების შემდეგ, რომ შენობა მოვალეს ეკუთვნის, გადახდევინების ოდენობის მიხედვით აღწერაში შეიტანს მთელ შენობას ან მის ნაწილს, დააყადაღებს მას და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოს გაუგზავნის წინადადებას ყადაღის რეგისტრაციის შესახებ, ამის შესახებ აგრეთვე აცნობებს სანოტარო კანტორას შენობის სამყოფელი ადგილის მიხედვით.

დაგირავებული შენობის დაყადაღების შესახებ სასამართლო აღმასრულებელი დაუყოვნებლივ აცნობებს მოგირავნეს.

**79.** დაყადაღების შესახებ შეტყობინებაში უნდა აღინიშნოს:

1) მოვალის გვარი, სახელი, მამის სახელი;

2) დაყადაღებული შენობის ან მისი იმ ნაწილის აღწერა, რომელიც დაყადაღებულია და მისი ადგილმდებარეობა (დასახლებული პუნქტი, ქუჩა, სახლის ნომერი);

3) სააღსრულებო საბუთი, რომლის საფუძველზედაც ხდება აღსრულება;

4) სააღსრულებო საბუთის გამცემი ორგანოს დასახელება;

5) გადასახდელი თანხა.

80. შენობის აღწერის აქტში უნდა აღინიშნოს:

1) შენობის აღგილსამყოფელი;

2) მოვალეს მთლიანად ეკუთვნის შენობა, თუ ეკუთვნის მისი განსაზღვრული წილი;

3) საცხოვრებელ შენობაზე მოვალის საკუთრების უფლების დამადასტურებელი საბუთის დასახელება და ძირითადი რეკვიზიტები;

4) თანამფლობელის დასახელება, თუ შენობა საერთო საკუთრებაა;

5) მოვალის სარგებლობაში მყოფი მიწის ნაკვეთის ზომა და საზღვრები;

6) შენობის ღირებულება სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის მიხედვით;

7) სახლმფლობელობაში შემავალ დამხმარე ნაგებობათა აღწერილობა;

8) შენობის ნამდვილი ღირებულება (გასაყიდი ფასი).

**81).** შენობის ნამდვილი ღირებულება განისაზღვრება მოცემულ ადგილას ანალოგიურ შენობათა გასაყიდი ფასებით, შენობის ზომების, ასაგებად გამოყენებული სამშენებლო მასალებისა და ცვეთის ხარისხის გათვალისწინებით.

თუ ამ მონაცემთა განსაზღვრა ძნელდება, შენობის ღირებულების დადგენისათვის ექსპერტის სახით შეიძლება მცოდნე პირის მიწვევა.

**82.** საცხოვრებელი შენობის ღირებულებიდან გადახდევინებისას, გადასახდევინებელი თანხის მიხედვით, აღწერაში შეტანილი უნდა იქნას სახლმფლობელობა მთლიანად, ე. ი, მასში შემავალი ყველა ნაგებობით, ანდა მისი ზუსტად განსაზღვრული წილი (მაგალითად, უფლება სახლმფლობელობის ნახევარზე, ერთ მესამედზე და ა. შ.). აღწერაში არ შეიძლება შეტანა ნაგებობის ნაწილისა, ერთი სართულისა ან მიწის ერთ ნაკვეთზე განლაგებული ცალ-ცალკე ნაგებობისა, თუ ეს ნაგებობანი დასანგრევად არ იყიდება.

**83.** დავის შემთხვევაში გასაყიდი სახლის რეალურ წილს სასამართლო აღმასრულებლის წარდგინებით განსაზღვრავს სასამართლო.

## დაყადაღებული ქონების რეალიზაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

**84.** მოვალის დაყადაღებული ქონების რეალიზაციას აწარმოებს სასამართლო აღმასრულებელი, გარდა იმ ქონებისა, რომელიც კონფისკაციას ექვემდებარება და მოვალისაგან ამოღებული ფასეულობისა. აღწერილი ქონების რეალიზაცია, გარდა ნაგებობისა, ხდება მათი სამყოფელი ადგილის მიხედვით საკომისიო საწყისებზე სახელმწიფო ან კოოპერაციული სავაჭრო ორგანიზაციების მეშვეობით გაყიდვის გზით. გაყიდვის მიზნით სხვა ქალაქში ან რაიონში ქონების გადაზიდვა დაიშვება მხოლოდ გადამხდევინებლისა და მოვალის თანხმობით და მათ ხარჯზე.

დაყადაღებული ქონება გასაყიდად გადაიცემა სასამართლო აღმასრულებლის მიერ დადგენილ ვადაში, მაგრამ არაუადრეს ხუთი დღისა და არა უგვიანეს ერთი თვისა დაყადაღების შემდეგ. ამ ვადის დადგომამდე მოვალეს უფლება აქვს სასამართლო აღმასრულებელის კონტროლით თვითონ მოახდინოს ქონების რეალიზაცია არანაკლებ იმ ფასისა, რაც აღნიშნულია დაყადაღების აქტში.

პროდუქტები და სხვა მალფუჭებადი ნივთები უნდა ჩამოერთვას და დაუყოვნებლივ გადაეცეს გასაყიდად.

**85.** მოვალის თხოვნით სასამართლო აღმასრულებელს შეუძლია განსაზღვროს ქონების გაყიდვის რიგითობა, თუ ეს არ დააბრკოლებს აღსრულებას ან მას არ გახდის შეუძლებელს. თუ ქონება დაგირავებულია, მისი გაყიდვის შესახებ საჭიროა ეცნობოს მოგირავნეს. ქონების ნაწილის გაყიდვით ამოღებული თანხა თუ საკმაოა ვალისა და აღსრულების ყველა ხარჯის დასაფარავად, შემდგომი გაყიდვა აღარ მოხდება. ამოღებული თანხა გადამხდევინებელთა მოთხოვნების დარი თქვა თავისთვის დატოვებაზე, გადამხდევინებლის, მოვალის ან საკმაოფილებლად გაიცემა დადგენილი რიგის მიხედვით.

**86.** სავაჭრო ორგანიზაციების მიერ მოვალის ქონების გაყიდვით მიღებული თანხები სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე შეიტანება გაყიდვიდან სამი დღის ვადაში.

ამ თანხებიდან სავაჭრო ორგანიზაციები თავის სასარგებლოდ იტოვებენ საკომისიო გასამრჯელოს.

**87.** მოვალის ის ქონება, რაც არ გაიყიდება სავაჭრო ორგანიზაციისათვის გადაცემიდან ერთ თვეში, თუ გადამხდევინებელმაც უა-

რი თქვა თავისთვის ამ ქონების დატოვებაზე, გადამხდევინებლის, მოვალის ან სავაჭრო ორგანიზაციის მოთხოვნით შეიძლება ჩამოფასდეს. ჩამოფასებას აწარმოებს სასამართლო აღმასრულებელი სავაჭრო ორგანიზაციის რწმუნებულის მონაწილეობით. ჩამოფასების დრო და ადგილი ეუწყება გადამხდევინებელსა და მოვალეს, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ დააბრკოლებს ჩამოფასების საკითხის გადაწყვეტას. ასეთ შემთხვევაში გადამხდევინებელსა და მოვალეს ეცნობებათ ქონების მომხდარი ჩამოფასების შესახებ.

თუ ქონება არ გაიყიდა მისი ჩამოფასებიდან ორი თვის განმავლობაში, სასამართლო აღმასრულებელი ამის შესახებ აცნობებს გადამხდევინებელს, რომელსაც ენიჭება უფლება თავისთვის დაიტოვოს ეს ქონება ჩამოფასების თანხაში. თუ გადამხდევინებელი ხუთი დღის ვადაში არ განაცხადებს სურვილს ქონების თავისთვის დატოვების შესახებ, მაშინ ქონებას ყადაღა ეხსნება და უბრუნდება მოვალეს, ხოლო სააღსრულებო საბუთი, თუ მოვალეს ისეთი სხვა ქონება ან შემოსავალი არა აქვს, რომელზედაც შეიძლება გადახდევინების მიქცევა, აღსრულების გარეშე დაუბრუნდება გადამხდევინებელს.

**88.** სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და სხვა მალფუჭებადი საგნების, აგრეთვე პირუტყვისა და ფრინველის გაყიდვა წარმოებს საკომისიო საწყისებზე სახელმწიფო ან კოოპერაციული სავაჭრო ორგანოების მეშვეობით, აგრეთვე საკოლმეურნეო წერტების საშუალებით ამ ადგილზე არსებული ფასების მიხედვით.

**89.** სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, აღწერაში შეტანილი ფასების მიხედვით, აღწერილი ქონების სამყოფელ ადგილზე გადაეცემათ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, ან სხვა სამეურნეო ორგანიზაციებს მათი თანხმობით. ერთი თვის განმავლობაში გაუყიდავი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, თუ გადამხდევინებელმა უარი თქვა თავისთვის დატოვებაზე, უნდა ჩამოფასდეს, ამ ინსტრუქციის 87-ე მუხლით დადგენილი წესების მიხედვით მისი შემდგომი გაყიდვით.

**90.** მოვალისაგან ჩამორთმეულსა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებისათვის შესანახად გადაცემულ ოქროს, ვერცხლს, პლატინას და პლატინის ჯგუფის ლითონებს ნაკეთობათა, ჯართის, ზოდების, მონეტებისა და ნედლეულის სახით, ძვირფას

თვლებს, მარგალიტს ანაღდებს ფასეულობათა მიღებისა და გაცემის სალარო. სახელმწიფო სამპროცენტიანი სესხის ობლიგაციებს ანაღდებენ სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროები, ხოლო უცხოეთის ვალუტას, უცხოეთის ვალუტით გამოწერილ ჩეკებს და ფასიან ქაღალდებს—სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებები.

**91.** სისხლის სამართლის საქმის გამო ქონების კონფისკაციის ნაწილში სასამართლოს განაჩენის საფუძველზე დაყადაღებული ანდა გადაწყვეტილების საფუძველზე სახელმწიფოსათვის გადასაცემი ქონების რეალიზაციას ახდენენ საფინანსო ორგანოები.

## საცხოვრებელი შენობის რეალიზაცია

**92.** მოვალეს კუთვნილი საცხოვრებელი შენობის რეალიზაცია, რომლიდანაც უნდა მოხდეს გადახდევინება. წარმოებს საჯარო ვაჭრობით ნაგებობის სამყოფელი ადგილის მიხედვით იმ ვადაში, რასაც აწესებს სასამართლო აღმასრულებელი, მაგრამ არა უადრეს ხუთი დღისა და არაუგვიანეს ერთი თვისა სასამართლო აღმასრულებლის მიერ დაყადაღების შემდეგ.

ამ ვადის დადგომამდე მოვალეს უფლება აქვს სასამართლო აღმასრულებლის კონტროლქვეშ თვითონ მოახდინოს შენობის რეალიზაცია არანაკლებ იმ ფასისა, რაც აღნიშნულია დაყადაღების აქტში.

**93.** საჯარო ვაჭრობის ჩატარების დღისა და ადგილის შესახებ სასამართლო აღმასრულებელი მოქალაქეებს ატყობინებს ადგილობრივ გაზეთში გამოცხადებით, სახალხო სასამართლოში, შენობის სამყოფელ ადგილას და თავისი შეხედულებისამებრ სხვა ადგილებში განცხადებების გამოკვრით. საჯარო ვაჭრობის შესახებ განცხადება უნდა გამოქვეყნდეს დროულად, არაუგვიანეს მოკავშირე რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი ვადისა.

დაგირავებული შენობის საჯარო ვაჭრობის დღის შესახებ სასამართლო აღმასრულებელმა უნდა აცნობოს მოგირავნეს.

**94.** საჯარო ვაჭრობის შესახებ განცხადებაში უნდა აღინიშნოს:

ა) დახასიათება და შეფასება შენობისა ან მისი იმ ნაწილისა, რო-

მელიც დაყადაღებულია (მაგალითად, ხის ორსართულიანი სახლი და ა. შ.), იმის მითითებით თუ ვის ეკუთვნის და სად მდებარეობს შენობა;

ბ) საჯარო ვაჭრობის ჩატარების ადგილი და დრო.

საჯარო ვაჭრობის შესახებ გამოცხადების ხარჯები გადახდება მოვალეს იმ წესით, რაც გათვალისწინებულია ამ ინსტრუქციის მე-11 მუხლით.

**95.** საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველი პირები სასამართლო აღმასრულებელმა უნდა გააფრთხილოს იმის შესახებ, რომ მოქალაქეთა პირად საკუთრებაში შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი საცხოვრებელი სახლი ან მისი ნაწილი. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველმა პირებმა სასამართლო აღმასრულებელს უნდა მისცენ ხელწერილი იმის შესახებ, რომ არ არსებობს დაბრკოლება მათ მიერ საჯარო ვაჭრობით შენობის შეძენისათვის და სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე შეიტანონ თანხა შენობის შეფასების 10 %-ის ოდენობით.

**96.** საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიათ:

ა) სახელმწიფო დაწესებულებებს, საწარმოებს, კოოპერაციულ (გარდა კოლმეურნეობებისა) და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს;

ბ) ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, სასამართლოს, პროკურატურის, მილიციის თანამდებობის პირებსა და მათი ოჯახის წევრებს, აგრეთვე პირებს, რომლებიც აღნიშნულია მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში.

**97.** საჯარო ვაჭრობით შენობის გაყიდვა იწყება სასამართლო აღმასრულებლის მიერ იმ შეფასებითი ღირებულების გამოცხადებით, რაც აღნიშნულია შენობის დაყადაღების აქტში. შენობა ითვლება იმ პირისათვის მიყიდულად, რომელმაც ვაჭრობაში ყველაზე მეტი ფასი შეაძლია.

**98.** ჩატარებული საჯარო ვაჭრობის შესახებ სსამართლო აღმასრულებელი ადგენს ყიდვა-გაყიდვის აქტს, რომელშიც უნდა აღინიშნოს: ვის მიერ, როდის და სად ჩატარდა ვაჭრობა, გასაყიდი შენობის დასახელება, ვაჭრობაში დასახელებული ყველა ფასი, მათ შორის უმაღლესი შეძლეული ფასი, რომლითაც შენობა გაიყიდა, მყიდველის ზუსტი დასახელება და მისამართი, თანხის ოდენობა, რაც მან შენობის შესყიდვისათვის შეიტანა.

**99.** საჯარო ვაჭრობით შეძენილი შენობის ღირებულება მყიდველმა სრულად უნდა გადაიხადოს არა უგვიანეს ხუთი დღისა, ხოლო იმ მოკავშირე რესპუბლიკებში, სადაც უფრო დიდი ვადაა დადგენილი, ამ ვადის განმავლობაში.

იმ პირის მიერ შეტანილი თანხა, რომელმაც შენობა ვაჭრობით იყიდა, ჩაითვლება შესყიდვის ფასის ანგარიშში. ვაჭრობის დანარჩენ მონაწილეებს მათ მიერ შეტანილი თანხები დაუბრუნდებათ დაუყოვნებლივ ვაჭრობის დამთავრებისთანავე.

**100.** დადგენილ ვადაში შენობის მყიდველის მიერ კუთვნილი მთელი თანხის შეუტანლობის შემთხვევაში ვაჭრობა არშემდგარად ცხადდება, ხოლო ვაჭრობის დაწყებამდე შეტანილი თანხა მას არ დაუბრუნდება და ჩაირიცხება სახელმწიფოს შემოსავალში. ეს თანხა სახელმწიფოს შემოსავალში შეიტანება იმ შემთხვევაშიც, თუ დადგინდა, რომ მყიდველს არ ჰქონდა ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების უფლება.

**101.** მყიდველის მიერ დადგენილ ვადაში შენობის ღირებულების მთელი თანხის გადახდის შემდეგ სასამართლო აღმასრულებელი მას გადასცემს სახალხო მოსამართლის მიერ დამტკიცებულ საჯარო ვაჭრობის აქტის ასლს. მყიდველმა აქტის ასლი შენობის მის სახელზე რეგისტრაციისათვის უნდა წარუდგინოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, ხოლო იმ მოკავშირე რესპუბლიკებში, სადაც მყიდველთა სახელზე შენობათა აღრიცხვა წარმოებს სანოტარო კანტორის მოწმობის საფუძველზე, აქტის ასლი წარედგინება სანოტარო კანტორას.

**102.** სასამართლო აღმასრულებელი ვაჭრობას არ შემდგარად აცხადებს:

ა) თუ ვაჭრობაზე გამოცხადდა ორზე ნაკლები მყიდველი;

ბ) თუ გამოცხადებულთაგან არავინ დაუმატა შენობის იმ პირვანდელ შეფასებას, რაც შეტანილია შენობის დაყადაღების შესახებ შედგენილ აქტში;

გ) თუ მყიდველმა კანონით დადგენილი ვადის განმავლობაში მთლიანად არ შეიტანა თანხა, რომლითაც მან იყიდა შენობა.

**103.** ვაჭრობის არ შემდგარად გამოცხადების შემთხვევაში სასამართლო აღმასრულებელი ამის შესახებ აცნობებს გადამხდევინე-

ბელს, რომელსაც შეუძლია შეტყობინების მიღებიდან სამი დღის განმავლობაში განაცხადოს შენობის თავისთვის დატოვებაზე. პირველადი შეფასების თანხაში.

გადამხდევინებელმა, რომელმაც შენობა თავისთვის დაიტოვა, ხუთი დღის განმავლობაში სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე უნდა შეიტანოს შენობის შეფასებისა და მისთვის კუთვნილ წილს შორის განსხვავების თანხა იმ ანგარიშის მიხედვით, რაც თვითეულ გადამხდევინებელს მიეკუთვნება პრეტენზიის დაკმაყოფილების დადგენილი რიგითობის დაცვით.

**104.** თუ გადამხდევინებელს არ სურს შენობის თავისთვის დატოვება, სასამართლო აღმასრულებელი ნიშნავს მეორე ვაჭრობას არა უგვიანეს, ვიდრე ვაჭრობის არ შემდგარად გამოცხადებიდან ათი დღისა. მეორე ვაჭრობა ტარდება იმავე წესით, როგორც პირველი ვაჭრობისას, მაგრამ დაიწყება საინვენტარიზაციო, სადაზღვევო ან მყიდველის მიერ პირველად შემოძლეული ფასიდან მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით.

მეორე ვაჭრობის არშემდგარად გამოცხადებისა და გასაყიდი შენობის თავისთვის დატოვებაზე გადამხდევინებლის უარის თქმის შემთხვევაში, შენობაზე დადებული ყადაღა მოიხსნება და იგი დაუბრუნდება მოვალეს, მაგრამ თუ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულია საჯარო ვაჭრობით გაუყიდავი საცხოვრებელი შენობის რეალიზაცია, მაშინ შენობა გაიყიდება ამ წესების მიხედვით.

**105.** დადგენილი წესების დარღვევით ჩატარებული საჯარო ვაჭრობა შეიძლება სასამართლოს მიერ ბათილად იქნას ცნობილი.

ვაჭრობის ბათილად ცნობის შესახებ განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეები უბრუნდებიან პირვანდელ მდგომარეობას.

ვაჭრობის ბათილად ცნობის შესახებ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის ან პროტესტის შეტანა.

**106.** სააღსრულებო საბუთებით გადახდევინება შეიძლება მოხდეს მოვალის ხელფასიდან და შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მუდმივ მისაღები გასამრჯელოდან, კოლმეურნეობაში ნამუშევრიდან ფულადი და ნატურალური საზღაურის ჩათვლით, იმის მიხედვით, თუ შრომის ანაზღაურების რომელი სისტემით (ძირითადი თუ დამატებითი) ხდება გადახდა, პენსიიდან, მოსწავლეთა სტიპენდიიდან, ავტორის მიერ მისი საავტორო უფლების, აღმოჩენის, გამოგონების უფლების, რაციონალიზატორული წინადადების გამოქვეყნებისათვის საავტორო გასამრჯელოდან, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით და აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების თანხებიდან:

1) პერიოდული გადასახდელების (ალიმენტი, დასახიჩრებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება და ა. შ.) გადახდევინების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებისას, აგრეთვე სხვა შემთხვევებში, თუ გადასახდელის ოდენობა არ აღემატება ყოველთვიური ხელფასის ან სხვა გასამრჯელოს, პენსიისა თუ სტიპენდიის იმ წილს, რომლიდანაც კანონის მიხედვით შეიძლება გადახდევინება;

2) როდესაც მოვალეს არა აქვს ქონება ან იგი საკმარისი არ არის ვალის სრულად დაფარვისათვის.

**107.** სახელმწიფო დაწესებულებები, საწარმოები, კოლმეურნეობები და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აგრეთვე მოქალაქენი მოვალენი არიან სასამართლო აღმასრულებლის მოთხოვნით და მის მიერ დანიშნულ ვადაში უპასუხონ,—მუშაობს თუ არა მათთან მოვალე და მისი ყოველთვიური ხელფასი, ერთდროულად გასაცემი ყველა სახის გასამრჯელოს ჩათვლით. ასეთივე წესით სასამართლო აღმასრულებელი გამოითხოვს ცნობებს მოვალის კუთვნილი პენსიის, სტიპენდიის, საავტორო უფლების აღმოჩენის, გამოგონებისა და რაციონალური წინადადების გამოყენებისათვის კუთვნილი გასამრჯელოს შესახებ.

**108.** ხელფასიდან და მასთან გათანაბრებული სხვა შემოსავლიდან გადასახდელები და გასაცემები გამოიანგარიშება მოვალეზე გასაცემად განკუთვნილი თანხებიდან.

მოვალის ხელფასიდან და მასთან გათანაბრებული გადასახდელი-და გასაცემი თანხებიდან სააღსრულებო საბუთებით შეიძლება და-კავებული იქნას ასანაზღაურებელი თანხების სრულ დაფარვამდე:

1) ორმოცდაათი პროცენტი — ალიმენტის, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამო-წვეული ზარალის, სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან პირადი ქონებისათვის ყაჩაღობით ან გატაცებით მიყენებული ზარალის ანაზღა-ურების გადახდევინებისას, ხოლო იმ რესპუბლიკებში, რომლებშიც კანონმდებლობით გათვალისწინებულია 50 პროცენტით დაკავების მოხდენა სხვა სახის გადასახდელებზეც, — ამგვარი გადასახდელების გადახდევინების დროსაც;

2) ოცი პროცენტი — ყველა დანარჩენი სახის გადახდევინებისას, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, მიუხედავად ამგვარი სა-ალსრულებო საბუთების რაოდენობისა.

შრომის ხელფასიდან როგორც პირველი, ისე მეორე ჯგუფის რამ-დენიმე სააღსრულებო საბუთით გადახდევინებისას, მუშებს და მო-სამსახურეებს ყველა შემთხვევაში უნდა შეენახოთ ხელფასის ორმო-ცდაათი პროცენტი.

**109.** გადახდევინება იმ მოვალის ხელფასიდან, რომელიც სასამარ-თლოს განაჩენით ან მოსამართლის დადგენილებით გამასწორებელ სამუშაოებს იხდის, გადახდევინება წარმოებს ამ ინსტრუქციის 108-ე მუხლით დადგენილი წესით, განაჩენის ან დადგენილების მი-ხედვით დასაკავებელი თანხის მხედველობაში მიუღებლად.

**110.** პენსიიდან გადახდევინებისას დასაკავებელი თანხის ოდენო-ბა გამოიანგარიშება პენსიონერზე გასაცემად განკუთვნილი თანხე-ბიდან.

სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის შესახებ დებუ-ლების 178-ე მუხლი შესაბამისად დაკავება არ უნდა აღემატებო-დეს პენსიის ორმოცდაათ პროცენტს: ოჯახის წევრთა შესანახის (ალიმენტის) გადახდევინებისას, სახელმწიფო დაწესებულებებისა და საწარმოებისათვის, კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურებისას, დასახიჩრებით ან ჯამრთელობის სხვა დაზიანებით ანდა მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზარალის

ანაზღაურებისას, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ხელ-
ფასის ზედმეტად მიღებული თანხების დაბრუნებისას.

ყველა სხვა სახის გადახდევინებისას დაკავებული თანხა არ უნ-
და აღემატებოდეს პენსიის ოც პროცენტს.

პენსიიდან გადახდევინების ყველა შემთხვევაში პენსიონერს უნ-
და შეენახოს არა ნაკლებ პენსიის ორმოცდაათი პროცენტისა. ამას-
თან უმუშევარ პენსიონერს ენახება პენსია თვეში არანაკლებ 10 მა-
ნეთისა.

**111.** ამავე წესით ხდება გადახდევინება კოლმეურნეთა პენსიიდან, ამასთან დანაშაულით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად კოლმეურნეს პენსიის 50 პროცენტი უნდა დაუკავდეს იმ შემთხვევაში, თუ ზარალი მიყენებულია სახელმწიფო დაწესებულებებისა და საწარმოების, კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების ქონების გატაცებით.

**112.** დროებითი შრომისუუნარობისას სოციალური დაზღვევის წესით გაცემული დახმარებიდან და კოლმეურნეობათა ურთიერთდამხმარე სალაროს მიერ გაცემული დახმარებიდან გადახდევინება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ალიმენტების გადახდევინებისას და დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებისას.

**113.** საალსრულებო საბუთის მიხედვით გადახდევინება არ შეიძლება მოხდეს:

1) მუშაკის სამუშაოდან დათხოვნისას მიცემული გასასვლელი დახმარებიდან და გამოუყენებელი შვებულების კომპენსაციიდან;

2) მუშაკის კუთვნილი ინსტრუმენტის გაცვეთასთან დაკავშირებული კომპენსაციიდან, ნატურით მიღებული სპეცტანსაცმელიდან და შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა კომპენსაციებიდან;

3) სამხედრო მოსამსახურეების, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის, გასამხედროებული დაცვის, ტრანსპორტის და სახანძრო უშიშროების საწარმოთა მუშაკებისათვის ტანსაცმელისა და ნატურალური კვების სანაცვლოდ გადახდილი ფულადი თანხებიდან;

4) სამსახურებრივ მივლინებასთან, გადაყვანასთან, სხვა ადგი-

ლზე სამუშაოდ მიღებისა და გაგზავნასთან დაკავშირებით (დღიური და საგზაო გადაყვანისა და მივლინების შემთხვევაში) მიღებული თანხებიდან, სისტემატურ მიმოსვლასთან დაკავშირებულ დამატებითი გასამრჯელოდან (მაგალითად, გეოდეზიის, კარტოგრაფიისა და ა. შ. მუშაკებზე დღიურის ნაცვლად გაცემული საველე საზრდოს დანამატები);

5) მრავალშვილიან და მარტოხელა დედებზე გასაცემი სახელმწიფო დახმარებიდან;

6) ერთდროული პრემიებიდან, რომლებზედაც არ დაირიცხება სადაზღვევო შენატანები;

7) ბავშვის დაბადების გამო გაცემული დახმარებიდან, აგრეთვე დასაფლავებისათვის სოციალური დაზღვევის წესით გაცემული დახმარებიდან.

**114.** სამუშაო ხელფასიდან, პენსიიდან, სტიპენდიიდან და მათთან გათანაბრებული სხვა გასამრჯელოდან გადახდევინებისას სასამართლო აღმასრულებელმა, აგზავნის რა აღმასრულებელ საბუთს დაწესებულებაში, საწარმოში, მოვალის სამუშაო ადგილზე ან მის მიერ პენსიის, სტიპენდიის, კოლმეურნეობაში მუშაობისათვის საზღაურის და ა. შ. მიღების ადგილზე, წერილობით უნდა მიუთითოს დაკისრებული თანხის სრულად ანაზღაურებამდე ყოველთვიურად რა ოდენობით უნდა მოხდეს დაკავება იმ მოთხოვნათა გათვალისწინებით, რაც მოცემულია ამ ინსტრუქციის 109-ე პუნქტში. სასამართლო აღმასრულებელი წინადადებას იძლევა დაკავებული თანხების გადამხდევინებლისათვის გადაგზავნის ან სახალხო სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე ჩარიცხვის შესახებ.

წერილობით მითითებაზე ხელს აწერს სახალხო მოსამართლე და სასამართლო აღმასრულებელი.*

დაწესებულებისათვის, საწარმოსათვის, ორგანიზაციისათვის სააღსრულებო საბუთის გადაგზავნისთანავე სასამართლო აღმასრულებელი ამის შესახებ აცნობებს გადამხდევინებელს.

**115.** სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ ან საზოგადოებრივ ორგანიზაციათა

---

* იხ. დანართი ფორმა № 4.

სასარგებლოდ მოქალაქეების მიერ იმ ფულადი თანხების გადახდევინების შესახებ, რომლებიც არ აღემატება ყოველთვიური ხელფასის ან სხვა გასამრჯელოს, პენსიისა თუ სტიპენდიის იმ წილს, რომლის დანაც კანონის მიხედვით შეიძლება გადახდევინება, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებშიც, სააღსრულებო საბუთები გადამხდევინებლის მიერ გაიგზავნება უშუალოდ იმ დაწესებულებაში, საწარმოში ან ორგანიზაციაში, სადაც მოვალე მუშაობს ან ღებულობს გასამრჯელოს, პენსიას ან სტიპენდიას.

**116.** სასამართლო აღმასრულებელი ვალდებულია პერიოდულად, არაუგვიანეს კვარტალში ერთხელ, პირადად ან სახალხო მსაჯულთა დახმარებით, უშუალოდ დაწესებულებაში, საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში და სხვა ორგანიზაციებში შეამოწმოს მოვალის ხელფასიდან და სხვა სახის შემოსავლიდან დაკავების სისწორე და დროულობა, აგრეთვე დაკავებული თანხის გადამხდევინებლისათვის გადაგზავნა.

ჩატარებული შემოწმების შესახებ სასამართლო აღმასრულებელი ადგენს აქტს.

**117.** მოვალის სამუშაოდან დათხოვნისას დაწესებულება, საწარმო ან ორგანიზაცია სასამართლო აღმასრულებელს უბრუნებს სააღსრულებო საბუთს, რომელზედაც აღნიშნავს შესრულებულ დაკავებას და მოვალის ახალ სამუშაო ადგილს, თუ ეს ადგილი ცნობილია.

**118.** სააღსრულებო საბუთის მიღებისას სასამართლო აღმასრულებელი ვალდებულია შეამოწმოს გადახდევინებათა შესახებ ჩანაწერების სისწორე და შემოწმების შედეგები დაამოწმოს თავისი ხელმოწერითა და სასამართლოს ბეჭდით. შემოწმების შემდეგ აღმასრულებელი ფურცელი შემდგომი აღსრულებისათვის იგზავნება მოვალის ახალ სამუშაო ადგილზე.

**119.** სააღსრულებო საბუთი, რომლითაც გადახდევინება დამთავრებულია, გადახდევინების მომხდენმა დაწესებულებამ, საწარმომ, ორგანიზაციამ უნდა დაუბრუნოს სასამართლოს სრული გადახდევინების შესახებ აღნიშვნით, რაც დამოწმდება დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელის ან მთავარი (უფროსი) ბუ-

ღალტერის ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით. სასამართლო აღმასრულებელი სააღსრულებო ფურცელს გზავნის იმ სასამართლოში, რომელმაც გადაწყვიტა საქმე. სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერები ამ შემთხვევაში უბრუნდება გადამხდევინებელს დადგენილება ჯარიმის გადახდაზე — დადგენილების გამომტან ორგანოს.

## გადახდევინება მოვალის ფულადი თანხებიდან და მისი სხვა ქონებიდან, რომლებიც არის სხვა პირებთან

**120.** სასამართლო აღმასრულებელს შეუძლია გადახდევინების მოხდენა მოვალის ფულადი თანხებიდან და სხვა ქონებიდან, რომლებიც სხვა პირებთანაა, აგრეთვე იმ ფულადი თანხებიდან და სხვა ქონებიდან, რაც მოვალეს სხვა პირებისაგან ერგება და რაზედაც კანონის შესაბამისად შეიძლება გადახდევინების მიქცევა.

**121.** ამავე წესით მოხდება აღსრულება იმ ფულადი თანხებიდან და სხვა ქონებიდან, რაც მოვალემ, როგორც გადამხდევინებელმა, უნდა მიიღოს სააღსრულებო საბუთით.

**122.** მოვალის იმ ფულადი თანხებიდან და ქონებიდან გადახდევინებისას, რომლებიც სხვა პირებთანაა, სასამართლოს აღმასრულებელი შესაბამის დაწესებულებებს, საწარმოებს, კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, აგრეთვე მოქალაქეებს, რომლებთანაც შეიძლება იყოს მოვალის ქონება ან რომლებიც ვალდებული არიან მას გადასცენ ქონება და ფულადი თანხები, უგზავნის შეკითხვას, არის თუ არა მათთან მოვალის რაიმე ქონება და არიან თუ არა ვალდებული გადაუხადონ მოვალეს რაიმე თანხა, რის საფუძველზე და რა ვადაში.

**123.** შეკითხვასთან ერთად აღნიშნულ ორგანიზაციებსა და პირებს ეუწყებათ იმის შესახებ, რომ სასამართლო აღმასრულებლის შეკითხვის მიღების მომენტიდან მოვალის მათთან არსებული ქონება და ფულადი თანხები დაყადაღებულია გადასახდევინებელი თანხის ოდენობით, და რომ ვალდებული არიან გადასახდელი თანხის სრულ დაფარვამდე გადასცენ გადამხდევინებელს ან შეიტანონ სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე ყველა ის თანხა, რაც მოვალეს ეკუთვნის.

**124.** სხვა პირებთან მოვალის ქონების ყოფნის შესახებ პასუხის მიღების შემდეგ სასამართლო აღმასრულებელი აღწერს ამ ქონებას და შეადგენს აქტს ქონების დაყადაღების შესახებ. ამ ქონების ჩამორთმევის საკითხი გადაწყდება იმ პირობების გათვალისწინებით, რომლებითაც ეს ქონება იმყოფება სხვა პირებთან. თუ სხვა პირებთან მოვალის ქონების ყოფნა განპირობებულია მათ შორის დადებული ხელშეკრულებით, მაშინ ქონების ჩამორთმევის საკითხი გადაწყდება სასამართლოს მიერ.

**125.** მოვალის იმ ქონებას, რომელიც იმყოფება სახელმწიფო ორგანიზაციებსა და საწარმოებში, სასამართლო აღმასრულებელი არ აყადაღებს, ამ შემთხვევაში ქონების ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ იმ დროს, როდესაც იგი უნდა გადაიცეს მოვალის განკარგულებაში.

**126.** მოვალის ქონებიდან, რაც დაგირავებულია საკრედიტო დაწესებულებებში, შეიძლება გადახდევინება იმ პრეტენზიებითაც, რომლებიც უზრუნველყოფილი არ არის გირაოთი. ამ შემთხვევაში პრეტენზიები დაკმაყოფილდება რიგითობის წესით.

**127.** იმ ფულადი თანხებიდან გადახდევინებისას, რომლებიც მოვალეს სხვა პირებისაგან ერგება და ბანკის მეშვეობით უნდა გადაირიცხოს საანგარიშგებო ოპერაციების წესებით, სასამართლო აღმასრულებელი ატყობინებს ამ პირებსა და ბანკის შესაბამის განყოფილებას იმის შესახებ, რომ მოვალის ანგარიში დაყადაღებულია და შემოსული გადასახდელები, დავალიანების თანხის სრულ დაფარვამდე, უნდა გადაერიცხოს გადამხდევინებელს ან ჩაირიცხოს სახალხო სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე.

128. სახელმწიფო შრომით შემნახველ სალაროებში და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში მოქალაქეთა ანაბრებიდან გადახდევინება შეიძლება სასამართლოს განაჩენის ან გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლითაც დაკმაყოფილებულია სისხლის სამართლის საქმიდან გამომდინარე სამოქალაქო სარჩელი ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ალიმენტის გადახდევინების შესახებ (ხელფასის ან სხვა ქონების უქონლობისას, რომლიდანაც შეიძლება გადახდევინება), ანდა იმ ანაბრის გაყოფის შესახებ, რომელიც მეუღლეთა საერთო საკუთრებას წარმოადგენს.

**129.** სასამართლო აღმასრულებლის მოთხოვნათა შეუსრულებლობის, — გადაწყვეტილების აღუსრულებლობის, სააღსრულებო

ფურცლის დაკარგვის, დაკავებული თანხების სხვა საჭიროებისათვის გახარჯვის შემთხვევაში, აგრეთვე სასამართლო აღმასრულებლისათვის მოვალის ხელფასის, ფულადი თანხებისა და ქონების, მის მიერ საბუშაო ადგილის შეცვლის შესახებ შეუტყობინებლობის, სამუშაოდან მოვალის დათხოვნისას სააღსრულებო ფურცლის დაგვიანებით დაბრუნების და ა. შ. შემთხვევებში, სასამართლო აღმასრულებელი სასამართლოს წინაშე აყენებს საკითხს დამნაშავე თანამდებობის პირების 10 მანეთამდე დაჯარიმების შესახებ.

გადამხდევინებელს აგრეთვე უფლება აქვს შესაბამის დაწესებულებას, საწარმოს ან ორგანიზაციას წარუდგინოს სარჩელი მოვალისაგან ასანაზღაურებელი იმ თანხების გადახდევინებაზე, რაც მას ეკუთვნოდა, მაგრამ მოვალეს არ დაკავებია ამ დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის ბრალით.

სასამართლო აღმასრულებელმა უნდა შეამოწმოს გადამხდევინებლის ან მოვალის საჩივარი სააღსრულებო საბუთებთან დაკავშირებით დაწესებულებების, საწარმოს ან ორგანიზაციის ადმინისტრაციის უსწორო მოქმედებათა შესახებ და მიიღოს ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ გადახდევინების სისწორეს.

## თავი III

## გადაწყვეტილებათა აღსრულება სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოების, კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ

**130.** სააღსრულებო საბუთებით სახელმწიფო დაწესებულებებისაგან, საწარმოებისაგან, კოლმეურნეობებისაგან და სხვა კოოპერაციული ან საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან გადახდევინება უნდა მოხდეს პირველ რიგში მოვალის იმ ფულადი სახსრებიდან, რომლებიც ბანკში ან სხვა საკრედიტო დაწესებულებაშია.

სასამართლო აღმასრულებელმა უნდა შეამოწმოს გადამხდევინებრიგითობის და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ანგარიშებიდან უდავო ჩამო-

წერის წესის შესახებ“ სახბანკის 1971 წლის 8 იანვარს №35 ინსტრუქციისა, აღმასრულებელ საბუთს აღსრულებისათვის გზავნის სახბანკის დაწესებულებაში ფორმა № 883 საინკასო დავალების თანდართვით მოვალის სახსრებიდან ჩამოწერისა და სახალხო სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე გადარიცხვისათვის. სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე შესული თანხები გადამხდევინებელზე გაიცემა ჩეკის მეშვეობით ან გადაეგზავნება ფოსტით.

**131.** თუ გადამხდევინებელი სახელმწიფო დაწესებულება, საწარმო, კოლმეურნეობა ან სხვა კოოპერაციული ანდა საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელსაც საკრედიტო დაწესებულებაში გახსნილი აქვს ანგარიში, მაშინ გადამხდევინებლის მიერ აღმასრულებელი ფურცელი გაიგზავნება უშუალოდ შესაბამის საკრედიტო დაწესებულებაში მოვალის ანგარიშიდან გადამხდევინებლის ანგარიშზე დავალიანების თანხის გადარიცხვისათვის იმგვარად, როგორც ეს გათვალისწინებულია საკრედიტო დაწესებულების წესებით.

**132.** თუ სამეურნეო ანგარიშზე მყოფ სახელმწიფო დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს არა აქვთ დავალიანების დასაფარავად საკმარისი ფულადი სახსრები, გადახდევინება შეიძლება მოვალის კუთვნილი ქონებიდან, გარდა საწარმოების, შენობებისა, ნაგებობებისა, მოწყობილობისა და სხვა ქონებისა, რაც ძირითად საშუალებებს განეკუთვნება, სათესლე და საფურაჟე ფონდებისა, აგრეთვე საბრუნავი ფონდებისა იმ ფარგლებში, რომლებიც აუცილებელია სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ნორმალური საქმიანობისათვის.

სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების, საწარმოების და ორგანიზაციების ქონებიდან გადახდევინება არ დაიშვება.

**133.** თუ კოლმეურნეობებს, სხვა კოოპერაციულ ორგანიზაციებსა და მათ გაერთიანებებს არა აქვთ დავალიანების დასაფარავად საკმარისი ფულადი სახსრები, გადახდევინება შეიძლება მათი კუთვნილი ქონებიდან, გარდა საწარმოებისა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებებისა, შენობებისა, ნაგებობისა, ტრაქტორებისა, კომბაინებისა, სხვა მანქანებისა, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა ქონებისა, რაც ძირითად საშუალებებს განეკუთვნება, სათესლე და საფურაჟე ფონდებისა, აგრეთვე საწვავის, სასუქის და სხვა საბრუნა-

ვი ფონდებისა, რომლებიც აუცილებელია კოლმეურნეობების, კოოპერაციული ორგანიზაციისა და მათ გაერთიანებათა ნორმალური საქმიანობისათვის.

**134.** თუ პროფკავშირულ ან სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს არა აქვთ დავალიანების დასაფარავად საკმარისი ფულადი სახსრები, გადახდევინება შეიძლება მათი კუთვნილი ქონებიდან, გარდა საწარმოებისა, შენობებისა, ნაგებობებისა, მოწყობილობისა და სხვა ქონებისა, რაც საწარმოების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, კულტურის სასახლეების, კლუბების, სტადიონებისა და პიონერთა ბანაკების, კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდების ძირითად საშუალებებს განეკუთვნება, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების სხვა ქონებისა, რომლიდანაც კანონით არ შეიძლება გადახდევინება.

**135.** თუ იურიდიული პირი მოისპო რეორგანიზაციის (შერწყმა, გაყოფა, შეერთება) შედეგად, სააღსრულებო საბუთის მიხედვით გადახდევინება მოხდება იმ ორგანიზაციის საანგარიშსწორებო ან მიმდინარე ანგარიშიდან, რომელსაც დაკისრებული აქვს პასუხისმგებლობა პირველადი მოვალის ვალდებულებათა გამო. ეს პასუხისმგებლობა წესდება რეორგანიზაციის მომხდენი შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილებით ან გადამცემი და მიმღები ორგანიზაციების მიერ დამტკიცებული გადაცემითი ბალანსით.

**136.** თუ იურიდიული პირი მოისპო სალიკვიდაციო კომისიის შექმნით, სალიკვიდაციო კომისიას (ლიკვიდკომს) შეუძლია იმ საკრედიტო დაწესებულებაში, სადაც სალიკვიდაციო იურიდიულ პირს აქვს ანგარიში, წარუდგინოს განცხადება ანგარიშიდან თანხების ჩამოწერის შეწყვეტის შესახებ. ამ განცხადების მიხედვით სააღსრულებო საბუთები, რომლებიც შესულია როგორც საკრედიტო დაწესებულებაში, ისე სასამართლო აღმასრულებელთან, გარდა ხელფასისა და მასთან გათანაბრებული გადასახდელებისა და გასაცემების გადახდევინების გამო სააღსრულებო საბუთისა, რიგითობის მიხედვით აღსრულებისათვის გადაეცემა ლიკვიდკომს. სააღსრულებო საბუთების ლიკვიდკომისათვის გადაცემის შესახებ უნდა ეცნობოს გადამხდევინებელს.

**137.** სააღსრულებო საბუთები ხელფასისა და მასთან გათანაბრებული გადასახდელებისა და გასაცემების გადასახდევინებლად (ამ ინ-

სტრუქციის 106-ე მუხლი) ლიკვიდკომს არ გადაეცემა; ისინი უნდა გაიგზავნოს საკრედიტო დაწესებულებაში, მიუხედავად ლიკვიდკომიდან მიღებული განცხადებებისა, სალიკვიდაციო ორგანიზაციის ანგარიშიდან ჩამოწერისათვის.

საკრედიტო დაწესებულებაში ასეთივე წესით გაიგზავნება სააღსრულებო საბუთები იმ შემთხვევაშიც, თუ ლიკვიდკომი არ განაცხადებს სალიკვიდაციო ორგანიზაციის ანგარიშიდან სახსრების ჩამოწერის შეწყვეტის შესახებ.

**138.** სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სახელმწიფო დასებულებათაგან ყველა სააღსრულებო საბუთით გადახდევინება ხდება ამ დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სახსრების ანგარიშზე სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ინსტრუქციით დადგენილი წესით.*

## თავი IV

## აღსრულება გადაწყვეტილებებისა, რომლებითაც მოვალეს დაკისრებული აქვს გარკვეული მოქმედების შესრულება, და სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული საგნების გადამხდევინებლისათვის გადაცემა

**139.** გადაწყვეტილებათა აღსრულებისას, რომლებითაც მოვალეს დაკისრებული აქვს გარკვეული მოქმედების შესრულება, რაც არ არის დაკავშირებული ქონების ან ფულადი თანხის გადაცემასთან, სასამართლო აღმასრულებელი მოვალეს აძლევს წინადადებას სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულების შესახებ. ამ ვადის გასვლის შემდეგ სასამართლო აღმასრულებელი მოვალეა შეამოწმოს მოვალისათვის წარდგენილი მოთხოვნის შესრულება.

დადგენილი ვადისათვის გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში. სასამართლო აღმასრულებელი ამის შესახებ ადგენს აქტს, რა ცეგზავნება აღსრულების ადგილის მიხედვით სახალხო მოსამართლეს, გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შედეგების გა-

* იხ. სსრკ სახბანკის 1971 წლის 8 იანვრის № 35 ინსტრუქცია.

მოყენების თაობაზე განჩინების დასადგენად, თუ სასამართლოს გადაწყვეტილება ასეთ შედეგებს ითვალისწინებდა, ანდა შემდგომი აღსრულების საკითხის გადასაწყვეტად, თუ გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული შეუსრულებლობის შედეგები.

**140.** თუ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში არ შესრულდა მოვალეზე დაკისრებული ისეთი მოქმედებანი, რომელთა შესრულება მხოლოდ მას თვითონ შეუძლია, შედგენილი აქტი სასამართლო აღმასრულებელმა უნდა გაუგზავნოს აღსრულების ადგილის სასამართლოს მოვალის იმ ოდენობის თანხით დაჯარიმების საკითხის გადასაწყვეტად, რაც მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებელობითაა გათვალისწინებული და გადაწყვეტილების შესრულებისათვის ახალი ვადის დასადგენად.

ჯარიმის გადახდა მოვალეს არ ათავისუფლებს იმ მოქმედებათა შესრულებისაგან, რომლებიც გადაწყვეტილებითაა გათვალისწინებული.

მოვალის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი ვადების განმეორებით და შემდგომი დარღვევისას სასამართლო აღმასრულებელი კვლავ ადგენს აქტს და აგზავნის მას სასამართლოში დარღვევის ყოველი შემთხვევის გამო დასაჯარიმებლად.

**141.** თუ საწარმოს, დაწესებულების, ან ორგანიზაციის ადმინისტრაციამ არ შეასრულა სასამართლოს გადაწყვეტილება არასწორად დათხოვნილი ან გადაყვანილი მუშაკის სამუშაოზე ამ უწინდელ თანამდებობაზე აღდგენის შესახებ, სასამართლო აღმასრულებელი ადგენს აქტს გადაწყვეტილების შეუსრულებლობაზე და აღსრულების ადგილის მიხედვით უგზავნის სასამართლოს, რათა აღძრულ იქნას საკითხი არასწორად დათხოვნილი ან გადაყვანილი მუშაკისათვის საშუალო ხელფასის ან ხელფასის სხვაობის ანაზღაურების შესახებ.

**142.** ბავშვების გადაცემის გამო გადაწყვეტილების აღსრულებას სასამართლო აღმასრულებელი აწარმოებს იმ პირის მონაწილეობით, რომელსაც ბავშვი უნდა გადაეცეს აღსაზრდელად, აგრეთვე სამეურვეო ორგანოს ან განათლების განყოფილების წარმომადგენელთა მონაწილეობით იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალე წინააღმდეგობას უწევს აღსრულებას, მიღებულ უნდა იქნას ზომები, რაც გათვალისწინებულია ამ ინსტრუქციის 140 პუნქტით.

საჭირო შემთხვევაში სასამართლო აღმასრულებელს შეუძლია სასამართლოს წინაშე დააყენოს საკითხი საბავშვო დაწესებულებაში ბავშვის დროებით მოთავსებაზე განჩინების დადგენის შესახებ.

**143.** გადამხდევინებლისათვის ისეთი საგნების გადაცემისას, რომლებიც აღნიშნულია სასამართლო გადაწყვეტილებაში, სასამართლოს აღმასრულებელი მოვალეს მოწმეთა თანდასწრებით ჩამოართმევს ამ საგნებს და გადასცემს გადამხდევინებელს.

მოვალისათვის საგნების ჩამორთმევა და გადამხდევინებლისათვის გადაცემა ხდება აქტით, რაც შედგება სამ პირად,* რომელთაგან ერთი ჩაბარდება მოვალეს, მეორე—გადამხდევინებელს, მესამე კი რჩება სასამართლო აღმასრულებლის წარმოებაში. ნივთების მიღება და გადაცემა დადასტურდება აქტის პირებზე სასამართლო აღმასრულებლისა და გადამხდევინებლის ხელის მოწერით.

მიკუთვნებული საგნების დაკარგვის გამო გადაწყვეტილების აღსრულებლის შეუძლებლობისას, აგრეთვე მათი გაუფასურების ან დაზიანების გამო მიღებაზე გადამხდევინებლის უარის თქმის შემთხვევაში, სასამართლო აღმასრულებელი ადგენს აქტს, რასაც შესრულების ადგილის მიხედვით უგზავნის სახალხო სასამართლოს შემდგომი აღსრულების საშუალებისა და წესის საკითხის გადასაწყვეტად.

## თავი V

## ცალკეული კატეგორიის საქმეთა გამო აღსრულების თავისებურებანი

### გადაწყვეტილებათა აღსრულება ალიმენტის გადახდევინების გამო

**144.** ალიმენტის გადახდევინების გამო გადაწყვეტილებათა აღსრულება ხდება გადახდევინების მიქცევით ხელფასზე, კოლმეურნეობაში მუშაობისათვის კუთვნილ თანხებზე, საავტორო გასამრჯელოზე, პენსიაზე, სტიპენდიაზე. საკარმიდამო ნაკვეთიდან მიღებულ შე-

---

* იხ. დანართი ფორმა № 6.

მოსავალზე და სხვა თანხებზე, რომელთაგანაც დაშვებულია გადახდევინება. მუდმივი შემოსავლის უქონლობისას გადახდევინება ხდება მოვალის ქონებიდან.

**145.** ალიმენტის გადახდევინების გამო გადაწყვეტილების აღსრულებას სასამართლო აღმასრულებელი იწყებს სააღსრულებო ფურცლის მიღებისთანავე.

თუ მოვალის საცხოვრებელი და სამუშაო ადგილი ცნობილი არ არის, სასამართლო აღმასრულებელი ვალდებულია მოსამართლის წინაშე დააყენოს საკითხი მილიციის ორგანოების მეშვეობით მოვალის ძებნის გამოცხადების შესახებ და მოძებნის შემდეგ აღმასრულებელი ფურცელი გადაგზავნოს მისი მუშაობის ადგილზე, მიუთითოს დაკავების ოდენობა და გადამხდევინებლის მისამართი, რომლის მიხედვითაც უნდა გაიგზავნოს დაკავებული თანხები. მოპასუხის სამუშაო ადგილზე აღმასრულებელი ფურცლის გაგზავნის შესახებ სასამართლო აღმასრულებელი ატყობინებს გადამხდევინებელს.

მოვალის სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის დაუდგენლობის მოტივით სააღსრულებო ფურცლის გადამხდევინებლისათვის დაბრუნება არ შეიძლება.

**146.** პირებს, რომელთაც სურთ ალიმენტის ნებაყოფლობით გადახდა, შეუძლიათ სამუშაო ადგილის ან პენსიის, დახმარების, სტიპენდიისა და ა. შ. მიღების ადგილის მიხედვით საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას წერილობითი განცხადებით მიმართონ—დაუკავოს ალიმენტი და გადაუხადოს ან ფოსტით გადაუგზავნოს განცხადებაში მითითებულ პირს.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია მოვალეა შეტანილი განცხადების მიხედვით მოახდინოს ალიმენტის დაკავება იმავე წესით, როგორც ეს ხდება სააღსრულებო ფურცლით.

**147.** განცხადებაში, რომლითაც პირი გამოთქვამს ალიმენტის ნებაყოფლობით გადახდის სურვილს, უნდა აღინიშნოს:

განმცხადებლის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი, საცხოვრებელი ადგილი, თანამდებობა (რა სამუშაოს ასრულებს);

იმ პირის გვარი, სახელი, მამის სახელი და დაბადების თარიღი, რომლის შესანახადაც ხდება ალიმენტის დაკავება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ პირის გვარი, სახელი, მამის სახელი და მისამართი, რომელსაც უნდა მიეცეს ან ფოსტით გაეგზავნოს ალიმენტი.

განცხადებები ალიმენტის გადახდევინების, აგრეთვე მისი ოდენობის შეცვლის ან გადახდევინების შეწყვეტის შესახებ შენახულ უნდა იყოს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მიერ სააღსრულებო საბუთების შესანახად დადგენილი წესით და ასეთი განცხადების დაკარგვისათვის დამნაშავე პირი ისევე აგებს პასუხს, როგორც სააღსრულებო ფურცლის დაკარგვის შემთხვევაში.

**148.** პირს, რომლის პასპორტშიაც არის მილიციის აღნიშვნა (ჩანაწერი), რომ სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად მას ევალება ალიმენტის გადახდა, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, ადმინისტრაცია ვალდებულია აღმასრულებელი ფურცლის მიღებამდე დაუკავოს ალიმენტი პასპორტში აღნიშნულის (ჩანაწერის) შესაბამისად იმ წესით, რომელიც დადგენილია სააღსრულებო ფურცლით დაკავებისათვის და ამის შესახებ უნდა აცნობოს სასამართლო აღმასრულებელს.

თუ უცნობია მისამართი იმ პირისა, ვისაც ალიმენტს უხდიან, დაკავებულ თანხას გადარიცხავენ სახალხო სასამართლოს დეპოზიტურ ანგარიშზე. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია სასამართლო აღმასრულებლის წარდგინებით დამნაშავე თანამდებობის პირები დააჯარიმოს თანხით ათ მანეთამდე.

**149.** საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია ვალდებულია ალიმენტის გადამხდევინებლის წერილობითი განცხადების ან სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე ხელფასიდან, პენსიიდან, სტიპენდიიდან და სხვა თანხებიდან ყოველთვიურად დაკავოს ალიმენტი და ხელფასის, პენსიის, სტიპენდიის, და სხვა თანხების მიღებიდან არაუგვიანეს სამი დღისა გადაუხადოს ან ფოსტით გაუგზავნოს განცხადებაში ან სააღსრულებო ფურცელში მითითებულ პირს.

ალიმენტის გადახდევინება წარმოებს ალიმენტის გადამხდევინებლის ხელფასიდან (შემოსავლიდან) გადასახადების დაკავების შემდეგ კუთვნილი ხელფასის (შემოსავლის) თანხიდან.

**150.** მუშებსა და მოსამსახურეებს ალიმენტი ეკავებათ როგორც

ძირითადი, ისე შეთავსებითი სამუშაოს მიხედვით, ყველა სახის ხელფასიდან და დამატებითი გასამრჯელოდან, რაზედაც მოქმედი წესების მიხედვით ერიცხება სადაზღვევო შენატანები; მათ შორის:

ა) ძირითადი ხელფასიდან თანამდებობრივი განაკვეთების, სატარიფო სარგოების, სანარდო ფასდებებისა და ა. შ. მიხედვით;

ბ) ხელფასის ყველა სახის დანამატიდან და წანამატიდან;

გ) ფულადი და ნატურალური პრემიიდან;

დ) ზეგანაკვეთური მუშაობისათვის, აგრეთვე უქმე და დასვენების დღეებში მუშაობისათვის ანაზღაურებიდან;

ე) შვებულების დროს შენახული ხელფასიდან, აგრეთვე სამუშაოდან გათავისუფლებისას გამოუყენებელი შვებულების ანგარიშში მიღებული კომპენსაციიდან, როდესაც შეერთდება რამდენიმე წლის შვებულება;

ვ) სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებისას შენარჩუნებულ ხელფასიდან, კვალიფიკაციის ამაღლების პერიოდში და სხვა შემთხვევაში შენარჩუნებული საშუალო ხელფასიდან;

ზ) შორეული ჩრდილოეთის რაიონებში და მათთან გათანაბრებულ ადგილებში მუშაობის გამო ხელფასის წანამატებიდან;

თ) წელთა დამსახურებისათვის ერთდროული გასამრჯელოდან (პროცენტული დანამატიდან);

ი) საწარმოს, ორგანიზაციის მუშაობის საერთო წლიური შედეგების გამო გასამრჯელოდან;

კ) გაზეთების, ჟურნალების, საკდესის, ბეჭდვითი სიტყვის სააგენტო „ნოვოსტის", რადიოსა და ტელევიზიის შტატის ლიტერატურული ჰონორარის ფონდიდან, აგრეთვე იმ შტატგარეშე ლიტერატურული მუშაკებისათვის გადახდილი ჰონორარიდან, რომლებიც სახელმწიფო სოციალურ დაზღვევას ექვემდებარებიან;

დ) სხვა სახის ხელფასიდან, რომელსაც ერიცხება დაზღვევის შენატანები.

**151.** სასჯელის მოსახდელად საპატიმრო ადგილებში ან სამკურლო შრომით პროფილაქტორიუმებში მყოფი პირებისაგან ალიმენტის დაკავებისას მხედველობაში მიიღება მათთვის დარიცხული ხელფასი გადასახდელების გამოკლებით, ხოლო ალიმენტი დაეკავება ამ ხელფასიდან კვების, ტანსაცმლის, სპეციალური მკურნალობისა და შრო-

მის ხელფასის დადგენილი მინიმუმის პირად ბარათზე გადანარიცხის დაკავების შემდეგ დარჩენილი თანხიდან. ამ ინსტრუქციის 108 პუნ-ქტში ნაჩვენები წესები იმ ნაწილში, რომ ყველა პირობით შენახულ უნდა იქნას ხელფასის 50 %, ამ შემთხვევაში არ ვრცელდება, ამასთან პირებმა, რომლებიც სასჯელს იხდიან შრომა-გასწორებით კოლონია-დასახლებაში, დამოუკიდებლად ყველა დაკავებისა, უნდა მიიღონ ხელფასის საერთო თანხის არანაკლებ 50 პროცენტი.

**152.** იმ პირებს რომლებიც იხდიან გამასწორებელ სამუშაოს, აღმასრულებელი ფურცლების მიხედვით ალიმენტი გადახდებათ ხელფასის სრული თანხიდან განაჩენის მიხედვით დასაკავებელი თანხის მხედველობაში მიუღებლად.

**153.** სამხედრო მოსამსახურეებს, აგრეთვე შინაგან საქმეთა ორგანოების რიგითი და მეთაურთა შემადგენლობის პირებს ალიმენტი დაუკავდებათ თანამდებობრივი განაკვეთიდან, სამხედრო წოდების განაკვეთიდან, აგრეთვე განაკვეთზე პროცენტული წანამატიდან და მუდმივი ხასიათის გადასახდელებიდან. ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებს, რომელთაც ეძლევათ ფულადი ულუფა თვეში, 10 მანეთი და მეტი, ალიმენტი დაუკავდებათ საერთო წესით.

**154.** კოლმეურნეობის წევრებს ალიმენტი დაუკავდებათ იმ თანხიდან რასაც ღებულობენ კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობიდან (ნატურალური ანაზღაურების ღირებულების ჩათვლით).

**155.** მწერლებს, კომპოზიტორებს, მხატვრებს და სხვა შემოქმედებით მუშაკებს ალიმენტი დაუკავდებათ საავტორო ჰონორარიდან და გასამრჯელოდან, რაც ნაწარმოების საჯარო შესრულებისათვის ეძლევათ, ხოლო ვინც ხელფასს ღებულობს, აგრეთვე—ხელფასიდანაც; ადვოკატებს—ყოველგვარი სახის გამომუშავებიდან, რასაც ღებულობენ იურიდიულ კონსულტაციებში მუშაობისას, შტატგარეშე ლექტორებს — ლექციების წაკითხვისათვის მიღებული საზღაურიდან.

მასწავლებლებს, რომლებიც კერძო გაკვეთილებს იძლევიან და კერძო პრაქტიკის მქონე ექიმებს—მათი გამომუშავებიდან.

**156.** ალიმენტის დაკავება აგრეთვე ხდება:

ა) სახელმწიფო სოციალური დაზღვევის დახმარებიდან, ასევე დროებითი შრომისუუნარობის გამო კოლმეურნეობებში დადგენილი დახმარებიდან;

ბ) შორეულ ჩრდილოეთსა და შორეული ჩრდილოეთის რაიონებ-

თან გათანაბრებული ადგილების საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხარჯზე გადახდილი სახელმწიფო სოციალური დაზღვევის დახმარების დანამატიდან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) დასახიჩრებასთან ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებასთან დაკავშირებული შრომისუუნარობით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად გადახდილი თანხებიდან;

დ) ფაქტიურად მიღებული პენსიებიდან;

ე) უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში და კურსებზე სწავლის პერიოდში მიღებული სტიპენდიებიდან;

ვ) კუსტარულ-სახელოსნო სარეწებიდან და ერთპიროვნული მეურნეობიდან მიღებული შემოსავლიდან;

ზ) საკარმიდამო ნაკვეთის ან დამხმარე მეურნეობის შემოსავლის იმ წლიდან, რა ცალიმენტის გადამხდელს ეკუთვნის.

**157.** ალიმენტის დაკავება გადასახდელებიდან, რომელთა მიღება შესაბამის საანგარიშგებო პერიოდში ხდება, მაგალითად, ნამსახურობის გამო ერთდროული გასამრჯელოდან, წლის მანძილზე საწარმოს მუშაობის გამო მიღებული გასამრჯელოდან და ა. შ. ისეთ შემთხვევაში, როდესაც მათგან გადახდევინების დასაწყისი და დასასრული არ თანხვდება გასამრჯელოს გადახდის დროს, გადახდევინება მოხდება იმ დროის პროპორციულად, რომელიც ალიმენტის მიღების უფლებას იძლევა.

მაგალითად, მოვალემ, რომელიც ნამსახურობის გამო გასამრჯელოს ღებულობს. სააღსრულებო ფურცლის მიხედვით ალიმენტი უნდა გადაიხადოს შესაბამისი წლის ივნისიდან. მოვალისათვის ერთდროული გასამრჯელოს მიცემის შემთხვევაში ალიმენტი დაეკავება გასამრჯელოს იმ წილიდან, რაც მას დაერიცხა ივნისიდან დეკემბრამდე მუშაობის პერიოდისათვის.

სხვა შემთხვევაში, მოვალის მიერ, რომელსაც აქვს ერთდროული გასამრჯელოს მიღების უფლება, ალიმენტის გადახდევინების ვადა დამთავრდა შესაბამისი წლის აგვისტოში. ამ წლისათვის ერდროული გასამრჯელოს მიღებისას ალიმენტი უნდა დაუკავოს გასამრჯელოს იმ წილიდან, რაც მას დაერიცხება იანვრიდან აგვისტომდე, რვა თვის მანძილზე მუშაობისათვის.

ამ შემთხვევებში აღმასრულებელი ფურცელი გადახდევინების

დამთავრებამდე უნდა დარჩეს მოვალის სამუშაო ადგილის მიხედ-
ვით საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**158.** ალიმენტის გადახდევინება არ ხდება:

ა) სამუშაოდან დათხოვნისას მუშაკისათვის მიცემული გასახ-
ცელელი დახმარებიდან და მატერიალური დახმარების თანხებიდან;

ბ) ერთდროული პრემიიდან, რომელზედაც არ დაირიცხება სა-
დაზღვევო შენატანი;

გ) მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში თვალ-
საჩინო ნაშრომისათვის მინიჭებული პრემიიდან;

დ) გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადებისათვის
მიღებული ერთდროული გასამრჯელოდან;

ე) მივლინებისა და სხვა ადგილზე სამუშაოდ გადასვლასთან
დაკავშირებით მიღებული საკომპენსაციო თანხებიდან;

ვ) საველე საზრდოდან, შრომის ხელფასის დანამატიდან, დღი-
ურისა და ბინის ქირის სანაცვლოდ გაცემული სხვა თანხებიდან;

ზ) ინსტრუმენტის ამორტიზაციისა და ტანსაცმლის ცვეთის სა-
კომპენსაციოდ გადახდილი თანხებიდან;

თ) უფასოდ მიცემული ბინისა და კომუნალური მომსახურების
ღირებულებიდან;

ი) დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით მიყენე-
ბული ზარალის ანაზღაურებისას დაზარალებულის დამატებითი კვე-
ბისა, სანატორიულ-საკურორტო წყურნალობის, პროტეზირებისა
და მოვალისათვის გადახდილი თანხებიდან;

კ) პირველი ჯგუფის ინვალიდის მოსავლელად პენსიის დანამატი-
დან.

**159.** სამხედრო მოსამსახურეებს, აგრეთვე შინაგან საქმეთა ორ-
განოების რიგითი და მეთაურთა შემადგენლობის პირებს ალიმენტი
არ დაუკავდებათ გამოსასვლელი და ერთდროული დახმარებიდან,
რაც მათ ეძლევათ სამხედრო სამსახურიდან და შინაგან საქმეთა
ორგანოებიდან დათხოვნისას, აგრეთვე სხვა სახის იმ ფულადი ულუ-
ფიდან, რასაც მუდმივი ხასიათი არა აქვს, და რასაც სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო
კომიტეტთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებით განსაზ-
ღვრავენ სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრო, სსრ კავშირის მინის-

ტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო.

**160.** ალიმენტის გადახდევინება გამოუყენებელი შვებულების კომპენსაციიდან არ ხდება, მაგრამ პირს, რომელიც ალიმენტს იხდის, სამსახურიდან გათავისუფლების დროს რამდენიმე წლის გამოუყენებელი შვებულების შეერთების შემთხვევაში რამდენიმე თვის შვებულების კომპენსაციის მიღებისას ალიმენტი კომპენსაციის თანხიდან ავანსათ დაუკავდება შვებულების მთელი იმ პერიოდისათვის, რომლისათვისაც ხდება კომპენსაციის გადახდა.

ალიმენტის გადასახდელის ოდენობის გამოანგარიშება ამ შემთხვევაში მოხდება მოვალის საშუალო თვიური ხელფასიდან.

გადახდევინებული თანხები დაწესებულებამ ან საწარმომ უნდა შეიტანოს სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე, რომელმაც ეს თანხები გადამხდევინებელზე უნდა გასცეს სააღსრულებო ფურცელში მითითებულ ვადებში (ყოველთვიურად).

თუ ალიმენტის გადამხდელი პირი მიცემული შვებულების დამთავრებამდე შეუდგა მუშაობას, მაშინ სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშიდან ალიმენტის გადახდა შეწყდება ამის შესახებ მოვალის განცხადების საფუძველზე. ალიმენტის გადასახდევინებლად მორიგი დაკავება მოხდება ახალ სამუშაო ადგილზე მის მიერ მიღებული ხელფასიდან.

ასეთ შემთხვევაში სადეპოზიტო ანგარიშზე დარჩენილი თანხა სასამართლოს განჩინებით მოვალეს უნდა დაუბრუნდეს.

**161.** სააღსრულებო ფურცლით წარსული დროისათვის ალიმენტის გადახდევინება ხდება იმ სამი წლის ფარგლებში, რომლებიც წინ უსწრებენ აღსრულებისათვის სააღსრულებო ფურცლის წარდგენას.

თუ აღსრულებისათვის წარდგენილი სააღსრულებო ფურცლით გადახდევინება არ ხდებოდა მოვალის ძებნის გამო, ალიმენტის გადახდევინება მოხდება მთელი წინა პერიოდისათვის დადგენილი სამწლიანი ვადისა და იმ პირის სრულწლოვანობის მიღწევის მიუხედავად, რომლის შესანახადაც არის დაკისრებული ალიმენტი.

ალიმენტის გადახდისაგან გათავისუფლება ან დავალიანების შემცირება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.

**162.** გადაწყვეტილების აღსრულების ადგილის სასამართლო

აღმასრულებელი ალიმენტის დავალიანების ოდენობას განსაზღვრავს მტკიცე ფულადი თანხით, მიხედველობაში ღებულობს რა ფაქტიურ ხელფასს (შემოსავალს), რასაც მოვალე ღებულობდა იმ დროს, როდესაც ალიმენტის გადახდა არ ხდებოდა.

თუ მოვალე ამ პერიოდში არ მუშაობდა ან წარმოდგენილი არ არის მისი ხელფასის (შემოსავლის) დამადასტურებელი საბუთი, დავალიანება განისაზღვრება იმ ხელფასის (შემოსავლის) მიხედვით, რასაც მოვალე ღებულობს დავალიანების დაფარვის დროს.

დავალიანების ოდენობის სასამართლო აღმასრულებლის მიერ განსაზღვრისადმი დაუთანხმებლობის შემთხვევაში გადამხდევინებელს ან მოვალეს შეუძლიათ სასამართლო აღმასრულებლის მოქმედების თაობაზე საჩივრით მიმართონ სასამართლოს.

**163.** იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით მოვალემ უნდა გადაიხადოს სამი და მეტი ბავშვის შესანახი საზრდო, აგრეთვე წინა პერიოდისათვის ალიმენტის დავალიანებაც, სასამართლო აღმასრულებელი იძლევა მითითებას მოვალის ხელფასიდან 50 პროცენტის გადახდევინების შესახებ მიმდინარე გადასახდელების უზრუნველსაყოფად. დავალიანება წარსული დროისათვის, ასეთ შემთხვევაში, შეიძლება დაფარული იქნას მოვალის ქონებიდან გადახდევინების გზით.

**164.** მოვალის მიმართ სხვადასხვა გადამხდევინებლის მიერ ალიმენტის გადახდევინებაზე რამდენიმე სააღსრულებო ფურცლის წარდგენისას, რომელთა საერთო თანხა აღემატება მოვალის ხელფასის ორმოცდაათ პროცენტს, სასამართლო აღმასრულებელი მოვალეა გადაახდევინოს ხელფასის მხოლოდ ორმოცდაათი პროცენტი და გადახდევინებული თანხა გადამხდევინებელთა შორის გაანაწილოს გადასახდევინებელი თანხის წილობრივი პროპორციით. სასამართლო აღმასრულებლის მიერ შედგენილი წლობრივი გაანგარიშება დასამტკიეცბლად აუცილებლად უნდა წარედგინოს მოსამართლეს. იმავდროულად სასამართლო აღმასრულებელი მოვალეს განუმარტავს მის უფლებას გადამხდევინებლებს წარუდგინოს სარჩელი ალიმენტების საერთო ოდენობის შრომის, ხელფასის 50 პროცენტამდე შემცირების შესახებ.

**165.** თუ ერთსადაიმავე მოვალეს ალიმენტის გადახდევინების შესახებ წარედგინა რამდენიმე სააღსრულებო ფურეცლი, რომელთა

შორის ერთით დაკავებულ უნდა იქნას გარკვეული ფულადი თანხა, ხოლო მეორეთი ხელფასის წილი, მოვალის ხელფასიდან დაკავებული 50 პროცენტი კი არ არის საკმარისი ყველა გადამხდევინებლის დასაკმაყოფილებლად, სასამართლო აღმასრულებელმა დაკავებული თანხა უნდა გაანაწილოს თვითეული გადახდევინების თანაფარდობით.

მაგალითად, მოვალის ხელფასის ორმოცდაათი პროცენტი შეადგენს 45 მანეთს, მას წარდგენილი აქვს ორი აღმასრულებელი ფურცელი:

ა) ბავშვების შესანახად — ხელფასის 1/3, რაც 30 მანეთს შეადგენს, და ბ) მშობლების შესანახად — 20 მანეთი.

საერთო გადასახდევინებელი თანხა უდრის 50 მანეთს. თვითეულ მანეთზე მოდის — $\frac{45 \times 100}{50} = 90$ კაპიკი. ამრიგად, პირველი აღმასრულებელი ფურცლით გადახდევინებული უნდა იქნას 27, ხოლო მეორეთი — 18 მანეთი.

**166.** თუ მოვალეებს — კოლმეურნეობის წევრებს ანდა მუშებს და მოსამსახურეებს, რომლებსაც შემოსავალი აქვთ საკარმიდამო ნაკვეთზე დამხმარე მეურნეობიდანაც, და რომელთაც, გარდა კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობიდან მიღებული შემოსავლის წილიდან და შრომის ხელფასიდან გადასახდევინებელი ალიმენტისა, გარკვეული ფულადი თანხის გადახდა აგრეთვე დაკისრებული აქვთ საკარმიდამო ნაკვეთის შემოსავლიდანაც, მაშინ დაკისრებული თანხის გადახდევინება იწარმოებს ამ შემოსავლიდან, კოლმეურნეობაში მუშაობისათვის მიღებული შემოსავლიდან და მუშა-მოსამსახურის ხელფასიდან.

თუ დაკისრებული თანხის გადახდა შეუძლებელია შემოსავლიდან ან ხელფასიდან, გადახდევინება მოხდება მოვალის ქონებიდან.

**167.** იმ პირების მიმართ ალიმენტის გადახდევინებაზე სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისას, რომელთაც არა აქვთ ყოველთვიური ხელფასი და მათი გამომუშავება ცვალებადია (მწერლები, კომპოზიტორები, მხატვრები), სასამართლო აღმასრულებელი მოვალეს უგზავნის გაფრთხილებას, რომლითაც ავალებს დაკისრებული თანხა ნებაყოფლობით გადაუხადოს გადამხდევინებელს ან ეს თანხა შეიტანოს სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე.

ამ მოთხოვნის შეუსრულებლობისას სასამართლო აღმასრულებელმა აღსრულება უნდა მოახდინოს მოვალის ქონებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადამხდევინებელზე თანხების გაცემა ხდება სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშიდან ჩეკის საშუალებით ან ფოსტით გადაგზავნით
პოზიტო ანგარიშიდან ჩეკის საშუალებით ან ფოსტით გადაგზავნით.

**168.** თუ ალიმენტის გადახდევინება სხვადასხვა ადგილას ხდება სიდან ძირითად სამუშაოზე და შეთავსებით მუშაობისათვის, ხელფასიდან და დამხმარე მეურნეობიდან მიღებული შემოსავლიდან და ა. შ.), მაშინ შემოსავლის თვითეული სახიდან ალიმენტის დაკავება ხდება ცალკე საალსრულებო ფურცლით, რისთვისაც სასამართლო, საჭირო შემთხვევაში, ერთ საქმეზე გასეცმს რამდენიმე საალსრულებო ფურცელს.

**169.** საწარმოების, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციამ, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე ახდენს შვილებისათვის ალიმენტის დაკავებას, სამი დღის ვადაში უნდა აცნობოს გადაწყვეტილების აღსრულების ადგილის მიხედვით სასამართლო აღმასრულებელს და ალიმენტის მიმღებ პირს ალიმენტის გადამხდელის სამუშაოდან წასვლა, აგრეთვე მისი ახალი სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილი, თუ ეს მისთვის ცნობილია.

ის პირი, რომელსაც ალიმენტის გადახდა ევალება, ვალდებულია ამავე ვადაში შეატყობინოს სასამართლო აღმასრულებელს. სამუშაოს ან საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის, აგრეთვე დამატებითი გამომუშავების (შეთავსებითი სამუშაო და ა. შ.) შესახებ.

თუ ეს ცნობები არ იქნა წარმოდგენილი არასაპატიო მიზეზით, სასამართლოს შეუძლია, სასამართლო აღმასრულებლის წარდგინებით, ამაში დამნაშავე თანამდებობის პირები ან მოქალაქენი, მათ შორის ის პირიც, რომელსაც ალიმენტის გადახდა ევალება, დააჯარიმოს თანხით 10 მანეთამდე.

**170.** ალიმენტის გადასახდევინებელი თანხები არ შეიძლება ჩაითვალოს მოვალის შეგებებულ მოთხოვნაში.

## განაჩენებისა და გადაწყვეტილებების აღსრულება სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ნაწილში

**171.** დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სასამართლოს განაჩენები და გადაწყვეტილებები აღსრულდება დაუყოვნებლივ, კანონიერ ძალაში მათი შესვლისთანავე.

**172.** დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სააღსრულებო ფურცელი სასამართლო აღმასრულებელს გადაეცემა სახალხო სასამართლოს კანცელარიის მიერ, რაც უნდა ეცნობოს იმ ორგანიზაციას, რომლის სასარგებლოდაც ხდება გადახდევინება.

**173.** სააღსრულებო ფურცლის სასამართლო აღმასრულებლისათვის გადაცემის შესახებ განკარგულების გაცემამდე, სახალხო მოსამართლე მოვალეა შეამოწმოს ზიანის ასანაზღაურებლად პირველად შესულ აღმასრულებელ ფურცელს ერთვის თუ არა მოვალის ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტის ასლი, იმის მითითებით, თუ სად იმყოფება ეს ქონება, ცნობა შემნახველ სალაროში ანაბარის დაყადაღების შესახებ, აგრეთვე ცნობა ქონების, ფულადი და სხვა ფასეულობის შესახებ, რომლებიც ამოღებულია ნივთიერ მტკიცებულებათა სახით და ა. შ.

**174.** ვადის მთლიანად დაფარვისათვის მოვალის ქონების უკმარისობის შემთხვევაში, სასამართლოს უფლება აქვს მოვალის მიმართ გასცეს ორი სააღსრულებო ფურცელი, ერთ მათგანს კანცელარია გზავნის მოვალის სამუშაო ადგილზე ან სასჯელის მოხდის ადგილზე გამომუშავებიდან დაკავებისათვის, მეორეს კი—ქონებიდან გადახდევინებისათვის.

მოვალის ხელფასიდან გადახდევინებისათვის, თუ ზარალი მიყენებულია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებით, გადაგზავნილი სააღსრულებო ფურცლის თანდართულ წერილში მითითებულ უნდა იქნას, რომ დაკავება უნდა მოხდეს ხელფასის 50 პროცენტის ოდენობით. თანდართულ წერილს ხელს აწერს სახალხო მოსამართლე. ამ წერილის ასლები გაეგზავნებათ გადამხდევინებელსა და ზარალის ანაზღაურებაზე მუდმივი კონტროლის გან-

სახორციელებლად სახალხო სასამართლოს იმ რაიონში, სადაც მოვალე იხდის სასჯელს.

მეორე სააღსრულებო ფურცელზე კეთდება აღნიშვნა, რომ იგი გაცემულია მოვალის ქონებიდან ანაზღაურებისათვის, ხოლო თუ იგი აღსრულებისათვის სხვა სახალხო სასამართლოს გაეგზავნა, ამის შესახებ აღინიშნება თანდართულ წერილში.

მოვალის ქონების გამოვლინებისათვის ზომების მიღებისა და რეალიზაციის შემდეგ სააღსრულებო ფურცელი უბრუნდება განაჩენის ან გადაწყვეტილების დამდგენ სასამართლოს — ქონების რეალიზაციის შედეგად ანაზღაურებული ზარალის ოდენობის მითითებით.

მოვალის ქონებრივი მდგომარეობის შემოწმების აქტი ყველა შემთხვევაში უნდა შემოწმდეს და დადასტურდეს სახალხო მოსამართლის მიერ.

**175.** დაკისრებული თანხის ნებაყოფლობით ანაზღაურების შესახებ მოვალისათვის ან მისი ოჯახის წევრებისათვის გაფრთხილების ჩაბარებისთანავე სასამართლო აღმასრულებელი, ამ ინსტრუქციაში გადმოცემული წესების დაცვით, შეუდგება მოვალის ქონების აღწერას, დაყადაღებას და აუცილებელ შემთხვევაში ამოღებას.

დაზარალებული ორგანიზაციის წარმომადგენლებს სასამართლო აღმასრულებელი მიიწვევს მოვალის ქონების აღწერაზე დასასწრებად, ამასთან მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სააღსრულებო მოქმედებას.

**176.** სასამართლო აღმასრულებელი მოვალეა შეამოწმოს საგამომძიებლო ორგანოების მიერ აღწერაში შეტანილი მოვალის ქონება და მათზე მიაქციოს აღსრულება.

იმავდროულად სასამართლო აღმასრულებელი ღებულობს დამატებით ზომებს იმ ქონების გამოსავლინებლად, რომელიც შესაძლოა მოვალემ გადამალა აღწერის და დაყადაღების დროს. ამ საქმეში შეიძლება საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ჩაბმა.

**177.** იმ შემთხვევაში როდესაც განაჩენით ან გადაწყდვეტილებით გათვალისწინებულია მოვალეთა სოლიდარული პასუხისმგებლობა, სააღსრულებო ფურცელი ამოიწერება მოვალეთა რიცხვის მიხედვით, თვითეულ აღმასრულებელ ფურცელზე ასანაზღაურებელი საერთო თანხისა და ზარალის ანაზღაურებისათვის ვალდებული ყველა

პირის აუიცლებელი მითითებით. ერთ-ერთ სააღსრულებო ფურ-
ცელს მიეკუთვნება №1.

ზარალის ანაზღაურება ხდება თვითეული სააღსრულებო ფურ-
ცლით ყოველი სოლიდარული მოვალის მიმართ.

სასამართლო, რომელმაც დაადგინა გადაწყვეტილება ან განაჩენი, რაც სოლიდარულ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, დაკისრებუ-
ლი თანხის სრულ დაფარვამდე საქმეზე აწარმოებს სააღსრულებო წარმოების ჯუმლს. სასამართლო აღმასრულებლები, რომლებიც გა-
დაწყვეტილებას ან განაჩენს აღასრულებენ იმ პირთა მიმართ, რო-
მელთაც სოლიდარული პასუხისმგებლობა აქვთ დაკისრებული, არა-
უგვიანეს, ვიდრე კვარტალში ერთხელ, ზარალის ანაზღაურების გა-
მო აღსრულების შესახებ ატყობინებენ იმ სასამართლოს, რომელიც აწარმოებს სააღსრულებო წარმოების ჯუმლს.

**178.** სააღსრულებო წარმოების ჯუმლში უნდა იყოს:

1) სასამართლოს განაჩენის ან გადაწყვეტილების ასლი, ან მათ-
გან ამონაწერი ქონებრივი აღსრულების ნაწილში;

2) ცნობა იმის შესახებ, თუ სად გაიგზავნა აღმასრულებელი ფურცელი;

3) ცნობები იმ თანხებზე, რაც ამოღებულია ყველა სოლიდარუ-
ლი მოვალისაგან და თვითეული მათგანისაგან ცალ-ცალკე;

4) აღსრულებასთან დაკავშირებული სხვა საბუთები.

**179.** სახალხო სასამართლოში ერთი საქმის გამო მოვალეთა სო-
ლიდარული პასუხისმგებლობის შესახებ შემოსული რამდენიმე აღ-
მასრულებელი ფურცელი აღსრულებისათვის გადაეცემა ერთ სა-
სამართლო აღმასრულებელს.

**180.** დანაშაულით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად აღ-
წერილი და დაყადაღებული ქონების რეალიზაციას სასამართლო აღ-
მასრულებელი ახდენს იმ ინსტრუქციის 89—105 პუნქტით დად-
გენილი წესებით.

**181.** თუ მოვალის სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი უცნო-
ბია, სასამართლო აღმასრულებელი ამის გამო ადგენს აქტს, რასაც ამტკიცებს სახალხო მოსამართლე. აქტის დადასტურების შემდეგ აღმასრულებელი ფურცელი მილიციის ორგანოთა მეშვეობით მო-
ვალის ძებნის საკითხის გადაწყვეტისათვის უბრუნდება გადაწყვე-
ტილების ან განაჩენის დამდგენ სასამართლოს.

182. თუ აღსრულების დროს გამოირკვა, რომ ლიკვიდირებულია ორგანიზაცია, რომელსაც ზარალი აქვს მიყენებული, ხოლო უფლებამონაცვლეებმა თავის ბალანსზე არ მიიღეს ასანაზღაურებელი თანხები, სასამართლო აღმასრულებელმა საქმეზე გადაწყვეტილების დამდგენი სასამართლოს წინაშე უნდა დააყენოს საკითხი ამოღებული თანხების სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩარიცხვაზე განჩინების დადგენის შესახებ.

183. სასამართლო აღმასრულებელი მოვალეა პერიოდულად გადაამოწმოს აქტები მოვალის ქონების მოუნახველობის შესახებ, გადამოწმებაში ჩააბას სახალხო მსაჯულები, აგრეთვე საზოგადოებრიობისა და გადამხდევინებელთა წარმომადგენლები.

## სასამართლოს განაჩენის აღსულება ქონების კონფისკაციის ნაწილში

**184.** ქონების კონფისკაცია არის მსჯავრდებულის მთელი ან ნაწილი პირადი ქონების იძულებითი წესით უსასყიდლოდ ჩამორთმევა სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემით.

საკონფისკაციო ქონების გამოვლინებასა და აღრიცხვაზე აყვანას ახდენს სასამართლო აღმასრულებელი.

ქონების კონსფისკაციის ნაწილში განაჩენის, სასამართლოს ან საამისოდ უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების აღსრულებისას, სასამართლოს აღმასრულებელი იმ შემთხვევაში ახდენს ამ ქონების აღწერას წინასწარი შეფასებით, თუ საკონფისკაციო ქონება აღწერილი არ იყო წინასწარი გამოძიების დროს.

სასამართლო აღმასრულებლის მიერ ქონების აღწერილობის სიას ადასტურებს სახალხო მოსამართლე, რომლის მოქმედების რაიონშიც ხდება განაჩენის აღსრულება ქონების კონფისკაციის ნაწილში.

არ შეიძლება იმ ქონების კონფისკაცია, რომლიდანაც კანონით არ შეიძლება გადახდევინება.

**185.** სასამართლო აღმასრულებელი საკონფისკაციო ქონებას ნატურაში გადასცემს შესაბამის საფინანსო ორგანოს წარმომადგენელს.

ქონების გადაცემისას საფინანსო ორგანოს წარმომადგენელს ჩაბარდება წინასწარი გამოძიების პროცესში შედგენილი ქონების აღ-

წერილობის სიის ასლი ან სასამართლო აღმასრულებლის მიერ შედგენილი და მოსამართლის მიერ დამტკიცებული აღწერილობის სიის მეორე ეგზემპლარი. ქონების აღწერილობის სიას სასამართლო აღმასრულებელმა შეიძლება გაუკეთოს აღნიშვნა სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად აღწერილობის სიიდან ცალკეული საგნების ამორიცხვაზე, ქონების რეალიზაციაზე, თუ ასეთი რეალიზაცია მოხდა მოვალისათვის წარდგენილ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, აგრეთვე საფინანსო ორგანოს წარმომადგენლისათვის გადაცემის მომენტში საკონფისკაციო ქონების დაკარგვის ან დაზიანების შესახებ.

ქონების ნატურში მიღება და გადაცემა დადასტურდება აღწერის შესახებ აქტის ეგზემპლარებზე სასამართლო აღმასრულებლისა და საფინანსო ორგანოს წარმომადგენლის ხელმოწერებით.

**186.** საკონფისკაციო ქონების რეალიზაციას ახდენენ საფინანსო ორგანოები. სასამართლო აღმასრულებელს არა აქვს საკონფისკაციო ქონების სარეალიზაციოდ ზომების დამოუკიდებლად განხორციელების უფლება.

**187.** კონფისკაციის შესახებ განაჩენის საფუძველზე შეიძლება მოხდეს სახელმწიფოშრომითი შემნახველ სალაროებში და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში მოქალაქეთა ანაბრების კონფისკაცია.

**188.** სხვა პირებთან საერთო საკუთრებაში, მათ შორის საკოლმეურნეო კომლში და ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობაში მსჯავრდებულის წილს, რასაც კონფისკაცია უნდა გაუკეთდეს, სასამართლო აღმასრულებლის წარდგინებით განსაზღვრავს სასამართლო.

სახალხო სასამართლოს განჩინების ასლი სხვა პირებთან საერთო საკუთრების ქონებაში მსჯავრდებულის წილის დადგენის შესახებ გადაეგზავნება შესაბამის სასამართლო ორგანოს.

**189.** ქონების კონფისკაციის ნაწილში განაჩენის აღსრულებისას საფინანსო ორგანოს წარმომადგენლისათვის მოვალის ქონების გადაცემა წარმოებს მოვალის მიმართ წაყენებული ყველა იმ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ (დადგენილი რიგის დაცვით), რაც წარმოიშვა საგამომძიებლო ან სასამართლო ორგანოების მიერ მსჯავრდებულის ქონების დაყადაღებამდე.

**190.** მოთხოვნა ალიმენტის გადახდევინებისა და დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, ანდა მარჩენალის სიკვდილით გა-

მოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ დაკმაყოფილებულ უნდა იქნას იმ შემთხვევაშიც, თუ ისინი წარმოიშვა მსჯავრდებულის ქონების დაყადაღების შემდეგ.

**191.** თუ ასანაზღაურებელი ვალების დასაფარავად საკონფისკაციო ქონება მთლიანადაა რეალიზებული, სასამართლო აღმასრულებელმა ამის შესახებ უნდა აცნობოს საფინანსო ორგანოს.

**192.** ქონების კონფისკაციის შესახებ განაჩენის აღსრულების შემდეგ სასამართლო აღმასრულებელი აკეთებს შესაბამის აღნიშვნას და აღმასრულებელ ფურცელს უბრუნებს განაჩენის დამდგენ სასამართლოს.

განაჩენის დამდგენ სასამართლოს საფინანსო ორგანოები აწვდიან ცნობებს ქონების კონფისკაციის ნაწილში განაჩენის აღსრულების შესახებ (რეალიზებულ ქონებაზე — რეალიზაციით მიღებული თანხის შესახებ, ქონებაზე, რაც უსასყიდლოდაა გადაცემული—როდის და ვის გადაეცა.).

## გადაწყვეტილებათა აღსრულება საგინაო საქმეებზე

**193.** სასამართლო გადაწყვეტილებით გამოსახლებულ უნდა იქნან სააღსრულებო ფურეცლში მითითებული პირები. გამოსახლება, როგორც წესი, წარმოებს მოვალის თანდასწრებით. თუ მოვალე წინასწარი გაფრთხილებით იმალება ან ნებაყოფლობითი გასახლებისათვის მიცემული ვადის გასვლის მიუხედავად არ ასრულებს სასამართლო აღმასრულებლის მოთხოვნას სადგომის გათავისუფლების შესახებ, სასამართლო აღმასრულებელი იძულებითი წესით გამოსახლებას ახდენს ორი მოწმის თანდასწრებით, აუცილებელ შემთხვევაში—მილიციის, სახლმმართველობის, ხოლო სოფელ ადგილას — სასოფლო საბჭოს წარმომადგენლის თანდასწრებითაც.

**194.** იძულებითი გამოსახლების შესახებ სასამართლო აღმასრულებელი ადგენს აქტს, რასაც ხელს აწერენ სასამართლო აღმასრულებელი, მოწმეები და მოვალე, თუ იგი ესწრება აღსრულებას.

**195.** მოვალის არყოფნის შემთხვევაში გამოსახლებისას სასამართლო აღმასრულებელი ამ ინსტრუქციაში გადმოცემული წესების დაცვით ახდენს გამოსასახლებლის სადგომში არსებული ქონების აღწერასა და შეფასებას,

აღწერილი ქონება, აღწერილობის სიის ასლთან ერთად, შესა-

ნახად ჩაბარდება სახლმმართველობას ან პირს, რომელიც ქონების მცველად დაინიშნება, ხოლო სადგომი გადაეცემა სახლმმართველობას ან პირს, რომელსაც იგი გამოსაყენებლად მიეკუთვნა.

**196.** გადასახლების ან საცხოვრებელი ფართობის იძულებითი გაცვლის საქმეებზე სასამართლო აღმასრულებელი მხარეებს წინადადებას აძლევს მის მიერ დადგენილ კონკრეტულ ვადაში შეასრულონ გადაწყვეტილება. თუ ერთ-ერთმა მხარემ დადგენილ ვადაში არ შეასრულა გადაწყვეტილება, ან წინააღმდეგობა გაუწია გადაწყვეტილების აღსრულებას, სასამრთლო აღმასრულებელი ამ მხარეს დაკავებული სადგომიდან გაასახლებს იმ წესებით, რაც დადგენილია იძულებითი გამოსახლებისათვის.

**197.** თუ აღსრულებისას წარმოიშვა გარემოებანი, რაც ეწინააღმდეგება გამოსახლებას, სასამართლო აღმასრულებელი, არ მოახდენს რა გამოსახლებას, ვალდებულია სასამართლოს წინაშე დაუყოვნებლივ დააყენოს საკითხი გამოსახლების გადავადების ან შეჩერების შესახებ.

**198.** იმ შემთხვევაში, როდესაც გამოსასახლებელს უნდა მიეცეს სხვა საცხოვრებელი სადგომი, სასამართლო აღმასრულებელი შესაბამის საბინაო ორგანოს უგზავნის შეტყობინებას გადაწყვეტილების აღსრულების ვადის შესახებ.

თუ დადგენილი ვადისათვის სხვა საცხოვრებელი სადგომი არ იქნება გამოყოფილი, ამის შესახებ სასამართლოს აღმასრულებელი ადგენს აქტს და სახალხო სასამართლოს მიმართავს წარდგინებით გადაწყვეტილების შემდგომი აღსრულების წესის განსაზღვრის შესახებ.

## უცხოეთის სასამართლოებისა და არბიტრაჟების გადაწყვეტილებათა და გადახდევინებული ფულადი თანხების საზღვარგარეთ გადარიცხვის წესი.

**199.** სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეთა გამო სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ სსრ კავშირსა და რიგ სოციალისტურ ქვეყნებს შორის დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად სსრ კავშირის ტერიტორიაზე უცხოეთის სასა-

მართლოებისა და არბიტრაჟების გადაწყვეტილებათა იძულებითი აღსრულების გამო განჩინებას ადგენენ საოლქო, სამხარეო, საოკრუგო სასამართლოები ანდა ავტონომიური ან მოკავშირე (საოლქო დაყოფის გარეშე) რესპუბლიკების სასამართლოები მოვალის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. უცხოეთის სასამართლოს გადაწყვეტილებისა და მისი იძულებით აღსრულების შესახებ სასამართლოს განჩინების საფუძველზე, რომლებიც კანონიერ ძალაშია შესული, გაიცემა აღმასრულებელი ფურცელი, რაც ამ ინსტრუქციით დადგენილი წესების მიხედვით აღსრულებისათვის გადაეცემა იმ რაიონის სასამართლო აღმასრულებელს, რომლის სამოქმედო რაიონშიაც ცხოვრობს მოვალე.

**200.** საზღვარგარეთ სოციალისტურ ქვეყნებში მცხოვრები მოქალაქეებისათვის გადასახდელი თანხების გადარიცხვა ხდება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკისა და სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკის დაწესებულებათა მიერ იმ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების დავალებით, რომლებიც ამ თანხებს იხდიან ან აღმასრულებელი ფურცლებით აკავებენ.

იმ შემთხვევაში, თუ სახსრები გადაირიცხება სახალხო სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშიდან, გადარიცხვის დავალებას იძლევა სახალხო სასამართლო.*

**201.** საბჭოთა ორგანიზაციებისაგან ან მოქალაქეებისაგან გადახდევინებული თანხები იმ პირთა სასარგებლოდ, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ სხვა (გარდა სოციალისტურისა) ქვეყნებში, სახალხო სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე შეინახება გადამხდევინებელთა ნებართვის მიღებამდე იმის შესახებ, რომ ეს თანხები გადაირიცხოს საზღვარგარეთ ან ჩაირიცხოს შემნახველ სალაროებში ან სსრ კავშირის სხვა საკრედიტო დაწესებულებაში გადამხდევინებლის სახელზე გახსნილ ანგარიშზე.

---

* მოქალაქეებზე უცხოეთის ვალიუტის გაყიდვისა და მათი კუთვნილი ფულადი თანხების საზღვარგარეთ გადარიცხვის წესები, რაც დამტკიცებულია სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის მიერ 1966 წლის 22 დეკემბერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გადახდევინებული თანხების განაწილება გადამხდევინებელთა შორის

**202.** მოვალისაგან გადახდევინებული და მისი ქონების გაყიდვით ამოღებული თანხიდან პირველ რიგში უნდა დაიფაროს აღსრულებაზე გაწეული ხარჯები, დანარჩენი თანხა გაიცემა გადამხდევინებელთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ დარჩენილი თანხა დაუბრუნდება მოვალეს.

**203.** გადახდევინების წარმოებისას იმ პირებს, აგრეთვე დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ საალსრულებო საბუთები სხვა საქმეების გამო, შეუძლიათ შეუერთდნენ გადახდევინებას.

**204.** თუ მოვალისაგან გადახდევინებული თანხა საკმარისი არ არის გადამხდევინებელთა ყველა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მაშინ ეს თანხა გადამხდევინებელთა შორის განაწილდება რიგის დაცვით.

ყოველი მომდევნო რიგის გადამხდევინებელთა მოთხოვნები დაკმაყოფილებული იქნება წინა რიგის გადამხდევინებელთა მოთხოვნების მთლიანად დაფარვის შემდეგ. თუ გადახდევინებული თანხა საკმარისი არ არის ერთი რიგის ყველა მოთხოვნის მთლიანად დაკმაყოფილებისათვის, მაშინ ეს მოთხოვნები დაკმაყოფილებულ უნდა იქნას თვითეული გადამხდევინებლისათვის მიკუთვნებული თანხის პროპორციულად.

ამ შემთხვევაში სასამართლო აღმასრულებელმა უნდა აღრიცხოს და მის საფუძველზე შეადგინოს თვითეულ გადამხდევინებლისათვის კუთვნილ გადასახდელთა გაანგარიშება. მაგალითად: სასამართლო აღმასრულებელმა წარმოებაში მიიღო ერთი და იგივე რიგის 2 აღმასრულებელი ფურცელი, მათგან ერთი 140 მანეთის, მეორე — 210 მანეთის გადახდევინების შესახებ, ხოლო მოვალის ქონების რეალიზაციის შემდეგ სადეპოზიტო ანგარიშზე შესულია მხოლოდ 245 მანეთი.

მოცემულ შემთხვევაში ყოველ გადასახდევინებელ მანეთს მო-

უწევს $\frac{245}{140+210}=0,7$ მანეთი და პირველი აღმასრულებელი ფურ-
ცლით გაიეცმა $140\times0,7=98$ მან., მეორეთი — $210\times0,7=147$ მან.

**205.** მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპ-
როცესო კოდექსების შესაბამისი მუხლების საფუძველზე პირველ
რიგში დაკმაყოფილდება:

— მოთხოვნები ალიმენტის გადახდევინების შესახებ;

— შრომითი სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე
მუშა-მოსამსახურეთა მოთხოვნები;

— მოთხოვნები გასამრჯელოს შესახებ, რაც ავტორებს და მათს
მემკვიდრეებს ერგებათ საავტორო უფლების, აღმოჩენის უფლე-
ბის, საეტორო მოწმობით დადასტურებული გამოგონების უფლე-
ბისა და რაციონალიზატორული წინადადების გამოყენებისათვის;

— მოთხოვნები დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანე-
ბით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზარალის ანაზ-
ზაურების შესახებ.

აღნიშნულ მოთხოვნათა მთლიანად დაკმაყოფილების შემდეგ
უნდა დაკმაყოფილდეს სოციალური დაზღვევის მოთხოვნები.

**206.** მეორე რიგში დაკმაყოფილდება მოთხოვნები.

— ბიუჯეტში საერთო-სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახა-
დებზე და არასაგადასახადო გამოსაღებებზე;

— სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებისა სახელმწიფო (სავალ-
დებულო) დაზღვევის გამო.

**207.** მესამე რიგში დაკმაყოფილდება სახელმწიფო საკრედიტო
დაწესებულებათა მოთხოვნები, რომლებიც გამომდინარეობენ მა-
თი საკრედიტო ოპერაციებიდან და არ არიან უზრუნველყოფილი
გირაოთი, თუ კანონით არ არის დადგენილი ამ მოთხოვნათა დაკ-
მაყოფილების სხვა რიგი.

**208.** მეოთხე რიგში დაკმაყოფილდება სახელმწიფო დაწესებუ-
ლებების, საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა
და სხვა კოოპერაციული ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების
მოთხოვნები, რომლებიც არ არიან უზრუნველყოფილი გირაოთი.

**209.** მეხუთე რიგში დაკმაყოფილდება ყველა სხვა მოთხოვნა.

**210.** გადამხდევინებელთა შორის თანხების გასანაწილებლად სა-
სამართლო აღმასრულებელი, ამ ინსტრუქციის 205-209 პუნქტებში
გადმოცემული წესების დაცვით, ადგენს გაანგარიშებას და დასამ-

ტიცებლად წარუდგენს სახალხო მოსამართლეს, რის შემდეგ ფული გაიეცმა გადამხდევინებლებზე.

იმ მოკავშირე რესპუბლიკებში, რომლებშიც კანონმდებლობით დადგენილია აღმასრულებელის გაანგარიშების მიხედვით ფულის გაცემის სხვა წესები, ფული გაიცემა ამ წესების შესაბამისად.

**211.** დაგირავებული ქონებიდან გადახდევინება შეიძლება, თუ მოვალის დანარჩენი ქონება არ არის საკმარისი მის მიმართ წაყენებული ყველა იმ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომლებიც გირაოთი არ არის უზრუნველყოფილი.

დაგირავებული ქონებიდან გადახდევინება წარმოებს შემდეგი წესით:

1) სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებების მოთხოვნები, რომლები გირაოთია უზრუნველყოფილი, დაკმაყოფილდება პირველი რიგის გადახდევინებათა დაკმაყოფილების შემდეგ, თუ კანონით არ არის დადგენილი ასეთი მოთხოვნების სხვა რიგით დაკმაყოფილება;

2) გირაოთი უზრუნველყოფილი სხვა მოთხოვნები დაკმაყოფილდება მეორე და მესამე რიგის გადახდევინებათა დაკმაყოფილების შემდეგ.

მოგირავნე, რომელმაც თავისთვის დაიტოვა დაგირავებული ქონება, მოვალეა, დააკმაყოფილოს ის მოთხოვნები, რომლებსაც უპირატესობა აქვთ მის მოთხოვნასთან შედარებით, მაგრამ იმ ოდენობით, რაც არ აღემაეტება ამ ქონების ღირებულებას.

**212.** წესები დაკმაყოფილების რიგის შესახებ, რაც მოცემულია ამ ინსტრუქციის 205-209 პუნქტებში, არ გავრცელდება სატრანსპორტო ორგანიზაციების (რკინიგზა, ნაოსნობა, აეროფლოტი) მოთხოვნებზე სხვა გადამხდევინებელთა წინაშე მათ მიერ გადაზიდული ტვირთის ღირებულებიდან მათი მოთხოვნების უპირატეს დაკმაყოფილებაზე.

## სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების დროს გადამხდევინებლის, მოვალისა და სხვა პირთა უფლებების დაცვა

213. სასამართლო აღმასრულებლის მოქმედებაზე გადაწყვეტილების აღსრულების დროს ან მის მიერ ასეთი მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის გამო გადამხდევინებელს ან მოვალეს შეუძლიათ შეიტანონ საჩივარი, ხოლო პროკურორს — პროტესტი. საჩივარი ან პროტესტი შეიტანება სასამართლოში, რომელშიაც სასამართლო აღმასრულებელი ითვლება, იმ ვადაში, რაც მითითებულია მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში.

საჩივარი და პროტესტი სასამართლო აღმასრულებლის მოქმედების გამო განიხილება სამსჯავრო სხდომაზე. გადამხდევინებელს, მოვალეს და პროტესტის შემტან პროკურორს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ დააბრკოლებს სასამართლოს წინაშე დასმული საკითხის გადაწყვეტას.

სასამართლო აღმასრულებლის მოქმედების გამო სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის ან პროტესტის შეტანა.

214. ყოველ პირს, რომლის ქონებრივი ინტერესები აღსრულების შედეგად ილახება, შეუძლია გადამხდევინებლისა და მოვალის მიმართ წარადგინოს სარჩელი დარღვეული უფლების აღდგენის შესახებ.

215. სასამართლო აღმასრულებლები მოვალენი არიან სასამართლო აღმასრულებლის მოქმედების გასაჩივრების დადგენილი წესები განმარტონ ყველა შემთხვევაში, როდესაც დაინტერესებული პირები განაცხადებენ სასამართლო აღმასრულებლის მიერ ჩადენილი კონკრეტული სააღსრულებო მოქმედების უკანონობის შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## თავი VIII

## სააღსრულებო საგუთების აღრიცხვა და საქმის წარმოება სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების გამო

**216.** სასამართლოს კანცელარია სასამართლო აღმასრულებელს გადასცემს მხოლოდ იმ სააღსრულებო საბუთებს, რომელთა მიხედვითაც იძულებითი აღსრულების მოხდენა შეიძლება იმ რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე, რომელსაც მიცემული სასამართლო ემსახურება.

აღმასრულებელი ფურცლები, რომლებითაც აღსრულება სხვა რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზეა მოსახდენი, შესაბამის სასამართლოს ეგზავნება უშუალოდ რაიონული (ქალაქის) სახალხო სასამართლოს კანცელარიის მიერ.

**217.** ყველა სააღსრულებო დოკუმენტი, იმის მიუხედავად აღსრულებისათვის უშუალოდ სასამართლოს მიერაა გადაცემული. თუ გადამხდევინებელმა პირადად წარმოადგინა, ანდა სასამართლოს მიერ ფოსტითაა მიღებული, აგრეთვე დაბრუნებულია დაწესებულებების, საწარმოების, ორგანიზაციების, შრომაგასწორების დაწესებულებების მიერ, რომლების მიხედვითაც აღსრულება მოცემული სასამართლოს აღმასრულებელმა უნდა მოახდინოს, სასამართლოს მდივნის მიერ შემოსვლის რიგის მიხედვით აღირიცხება სასამართლო აღმასრულებელისათვის გადაცემული სააღსრულებო დოკუმენტების აღრიცხვის წიგნში.

**218.** თუ სასამართლოში რამდენიმე სასამართლო აღმასრულებელია, მაშინ სააღსრულებო დოკუმენტების აღრიცხვის წიგნი შეიძლება შემოღებულ იქნას თვითეულ მათგანზე. ამ შემთხვევაში თვითეულ სააღსრულებო საბუთზე, სარეგისტრაციო ბარათზე და წიგნში, გარდა რიგითი ნომრისა, უნდა აღინიშნოს თვითეული სასამართლო აღმასრულებლისათვის დადგენილი შესაბამისი ინდექსი.

წიგნი ინახება რაიონული (ქალაქის) სახალხო სასამართლოს მდივანთან. წიგნი უნდა იყოს დანომრილი, ზონარგაყრილი, დამოწმებული სახალხო მოსამართლის ხელის მოწერით და რაიონული (ქალაქის) სახალხო სასამართლოს ბეჭდით.

რაიონული (ქალაქის) სახალხო სასამართოს მდივანი მოვალეა ყოველ სააღსრულებო საბუთზე აღნიშნოს სასამართლოში მისი შემოსვლის თარიღი და რიგითი ნომერი აღრიცხვის წიგნის მიხედვით და სასამართლო აღმასრულებელს გადასცეს წიგნში ხელის მოწერით.

**219.** სასამართლო აღმასრულებლისათვის გადაცემულ ყოველ სააღსრულებო საბუთზე სასამართლოს კანცელარია ადგენს სააღსრულებო წარმოებას იმავე ნომრით, რომლითაც აღრიცხულია ეს დოკუმენტი, და შეადგენს სააღრიცხვო-სტატისტიკურ ბარათს. გარდა ამისა, ყველა სააღსრულებო დოკუმენტი ჩაიწერება საალფაბეტო წიგნში, რაც სახალხო სასამართლოს კანცელარიაში ინახება.

**220.** სასამართლო აღმასრულებელი სააღსრულებო წარმოებაში დაწვრილებით აღნიშნავს ჩატარებულ ყველა მოქმედებას, როგორიცაა: მოვალისათვის წინადადების გაგზავნა სახელმწიფო ბანკში ან სასამართლო აღმასრულებელთან მოვალის მიერ ფულის შეტანის შესახებ, სადეპოზიტო ანგარიშიდან ფულის მისაღებად გადამხდევინებელზე ჩეკის გაცემა, მხარეთა განცხადებები, აღმასრულებელი საბუთის გაგზავნა აღსრულებისათვის სხვა დაწესებულებაში, საწარმოში ან გადაწყვეტილების (აღსრულების გამო) დამგენ სასამართლოში, გადამხდევინებლისათვის სააღსრულებო საბუთის დაბრუნება, სასამართლოს მიერ აღსრულების შეჩერება და ა. შ.

სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების გამო სასამართლო აღმასრულებელთან შესული ყველა საბუთი ინახება შესაბამის სააღსრულებო წარმოებაში, ფულადი საბუთები ინახება ცალკე განსაკუთრებულ განრიგში.

**221.** სასამართლო აღმასრულებლის მოქმედების გამო ყველა განცხადება, შეკითხვა და საჩივარი აღირიცხება სახალხო სასამართლოს მდივნის მიერ.

რეგისტრირების შემდეგ საჩივრები გადაეცემა სახალხო მოსამართლეს, ხოლო სახალხო სასამართლოსათვის გადაგზავნილი განცხადებები და შეკითხვები არაუგვიანეს შემდგომი დღისა ხელმოწერით გადაეცემა შესაბამს სასამართლო აღმასრულებელს.

შეკითხვებსა და განცხადებებზე, რომლებიც დამატებით შემოწმებას არ საჭიროობენ, სასამართლო აღმასრულებელმა უნდა უპა-

სუხოს არა უგვიანეს 15 დღის ვადისა, ხოლო იმ საჩივრებზე და განცხადებებზე, რომელთა გამო მოხდა შემოწმება, პასუხი უნდა გაიცეს არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა.

**222.** გასაგზავნ სააღსრულებო საბუთებს სასამართლო აღმასრულებელი სააღსრულებო წარმოებაზე ხელის მოწერით გადასცემს სახალხო სასამართლოს მდივანს, სააღსრულებო საბუთების აღრიცხვის წიგნში გადაცემის შესახებ აუცილებელი აღნიშვნით.

**223.** სასამართლო აღმასრულებლის მიერ გადამხდევინებლისათვის დაბრუნებულ სააღსრულებო საბუთებზე ყველა შემთხვევაში კეთდება შესაბამისი წარწერა საბუთის დაბრუნების მიზეზების შესახებ. წარწერა უნდა დამოწმდეს სახალხო მოსამართლის და სასამართლო აღმასრულებლის ხელის მოწერით, სასამართლოს ბეჭდით და აღინიშნოს საბუთის დაბრუნების დრო.

იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოს სასარგებლოდ ჯარიმის, სახბაჟის და სხვა თანხების გადახდევინებაზე სააღსრულებო საბუთი აღსრულების შემდეგ საქმეზე მისათვისებლად უბრუნდება გადაწყვეტილების დამდგენ სახალხო სასამართლოს, სააღსრულებო საბუთში კეთდება ცნობა სახელმწიფოს სასარგებლოდ ბანკში ფულის შეტანის ქვითრის ნომრის აღნიშვნით. ცნობა დამოწმდება სახალხო მოსამართლის ხელმოწერით და ბეჭდის დასმით.

**224.** სასამართლო მდივანი, რომელმაც ადრესატისათვის გასაგზავნად სასამართლო აღმასრულებლისაგან მიიღო სააღსრულებო საბუთია სააღსრულებო საბუთების აღრიცხვის წიგნში აღნიშნავს საბუთის მიღების თარიღს, ადრესატის დასახელებასა და სამყოფელ ადგილს.

აღმასრულებელი ფურცელი, რაც გაცემულია იმ სახალხო სასამართლოს მიერ, რომელშიაც ითვლება სასამართლო აღმასრულებელი, აღსრულების შემდეგ დაერთვის შესაბამის საქმეს, რის შესახებ სააღსრულებო წარმოებაში და სააღსრულებო საბუთების აღრიცხვის წიგნში გაკეთდება აღნიშვნა იმ საქმის ნომრის მითითებით, რომელსაც დაერთო აღმასრულებელი ფურცელი. აღმასრულებელ ფურცელში კეთდება აღნიშვნა გადახდევინებული თანხის ბანკში შეტანის ქვითრების ნომრების მითითებით. აღნიშვნა დამოწმდება სახალხო მოსამართლის მიერ.

**225.** დამთავრებულ საქმეებზე სააღსრულებო წარმოებას არ-

ქივში შესანახად სასამართლო **აღმასრულებელი** აბარებს სასამართლოს მდივანს. ჩაბარება ხდება სიებით ყოველკვარტალურად სასამართლო აღმასრულებლის მიერ სტატისტიკური ანგარიშის შედგენის შესახებ. არქივში ჩაბარებულ სააღსრულებო წარმოებათა სიები სასამართლოს მდივნის ხელმოწერით ინახება განრიგში სასამართლო აღმასრულებლის მუშაობის შემოწმებაზე აქტებთან ერთად.

ამ წესით გადაიცემა სააღსრულებო წარმოებანი, რომელთა მიხედვით:

ა) სასამართლო გადაწყვეტილება აღსრულდა;

ბ) სააღსრულებო საბუთი აღსრულების გარეშეა დაბრუნებული ამ საბუთის გამცემი სასამართლოს მოთხოვნით;

გ) სააღსრულებო საბუთი გადამხდევინებელს დაუბრუნდა მოვალის მოუძებნელობის ან ისეთი ქონების მოუნახველობის გამო, რომლიდანაც კანონის მიხედვით შეიძლება გადახდევინება;

დ) სააღსრულებო საბუთი დაბრუნებულია აღსრულების გარეშე გადამხდევინებლის მოთხოვნით.

ე) სააღსრულებო საბუთი გადაეცა დაწესებულებას, საწარმოს, ორგანიზაციას მოვალის ხელფასიდან პერიოდული დაკავებისათვის.

ყოველ დამთავრებულ სააღსრულებო წარმოებაზე, რაც შესანახად არქივს გადაეცემა, უნდა იყოს მოსამართლის ვიზა, რაც ყველა საბუთის გულმოდგინე შემოწმების შემდეგ იძლევა არქივისათვის სააღსრულებო წარმოების გადაცემის უფლებას. ასეთი ვიზის გარეშე სასამართლოს მდივანი სასამართლო აღმასრულებლისაგან ვერ მიიღებს სააღსრულებო წარმოებას.

დამთავრებული სააღსრულებო წარმოება რაონულ (ქალაქის) სახალხო სასამართლოს არქივში ინახება ნომრების მიხედვით ასეულობით შეკრულებში, ამასთან აუცილებლად უნდა გაკეთდეს ჩაბარებულ წარმოებათა ნუსხები.

**226.** სასამართლო აღმასრულებელი აწარმოებს:

ა) სააღსრულებო წარმოებას;

ბ) ფულადი გამამართლებელი საბუთების განრიგს;

გ) განრიგს დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციები-

სათვის გადაცემული აღმასრულებელი ფურცლების მიხედვით გადახდევინების სისწორის შემოწმების აქტებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) განრიგს ისეთი სააღსრულებო მიმოწერისათვის, რაც არ ეხება მასთან არსებულ სააღსრულებო წარმოებებს.

**227.** არაუგვიანეს საანგარიშო კვარტალის მომდევნო თვის 2 რიცხვისა, სასამართლო აღმასრულებელი დადგენილი ფორმის მიხედვით ადგენს სტატისტიკურ ანგარიშს თავისი მუშაობის შესახებ, რასაც ამოწმებს და ხელს აწერს სახალხო მოსამართლე.

## თავი IX

## სასამართლო აღმასრულებლის მიერ ფულადი თანხების მილებისა და გადამხდევინებლებზე მათი გაცემის წესები

### სასამართლო აღმასრულებლის მიერ ფულადი თანხების მიღება და ანგარიშგება ამ თანხების გამო

**228.** მოვალეებისაგან გადახდევინებული და გადამხდევინებლებზე გასაცემი თანხები, გარდა სახელმწიფოს სასარგებლოდ გადახდევინებისა, სასამართლო აღმასრულებლის მიერ ან მისი მოთხოვნით თვით მოვალეების მიერ შეიტანება ანდა საკრედიტო დაწესებულებათა მიერ გადაირიცხება იმ სახალხო სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე, რომელშიაც სასამართლო აღმასრულებელი ითვლება და შემდგომ გაიცემა გადამხდევინებლებზე ჩეკით ან გადაეგზავნებათ ფოსტით.

სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩასარიცხი თანხები სასამართლო აღმასრულებლის ან უშუალოდ მოვალის მიერ შეიტანება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის შესაბამის დაწესებულებაში, სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე ეს თანხები არ უნდა ჩაირიცხოს.

სხვა დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების სასარგებლოდ დაწესებულებებისათვის, საწარმოებისათვის და ორგანიზაციებისათვის დაკისრებული ფულადი თანხები გადამხდევინებლის ანგარიშზე შეიტანება სახელმწიფო ბანკის დაწესებულებაში ან ბანკის მიერ მოვალის ანგარიშიდან გადაირიცხება გადამხდევინებლის ანგარიშზე.

**229.** სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში სასამართლო აღმასრულებელს შეუძლია იმ ადგილას მცხოვრები მოვალეებისაგან, სადაც არ არის სახელმწიფო ბანკის დაწესებულება, ფულადი თანხები მიიღოს განუსაზღვრელი ოდენობით, ხოლო სხვა პირობებში — იმ საალსრულებო საბუთებით, რომელთა მიხედვით გადასახდევინებელი თანხა 10 მანეთს არ აღემატება.

ყოველ ცალკე შემთხვევაში სახალხო მოსამართლის ნებართვით სასამრთლო აღმასრულებელს შეუძლია 10 მანეთზე მეტი თანხის მიღებაც.

**230.** აღნიშნულ შემთხვევებში სასამართლო აღმასრულებელი ფულად თანხებს მიიღებს მხოლოდ დადგენილი ფორმის ქვითრით, რომელიც გადასაღები ქაღალდის მეშვეობით ორ პირად შეივსება ქიმიური ფანქრით.

სასამართლო აღმასრულებლის ხელმოწერილი ქვითარი გადაეცემა გადამხდელს მისი ხელის მოწერით. ქვითარში რაიმე შესწორება, თანხების, თარიღების, ან გადამხდელთა გვარების რაიმე გადასწორება არ დაიშვება. არასწორად შევსებული ქვითარი და მისი ყუა გაუქმდება მათზე წარწერით „წახდენილია“ და აღრიცხვის მიზნით დარჩება საქვითრო წიგნაკში.

**231.** სასამართლო აღმასრულებელს კატეგორიულად ეკრძალებათ ფულის მიღება საალსრულებო საბუთებზე, დაწესებულებათა სალაროს ორდერებზე და ა. შ. მიწერილი ყოველგვარი ხელწერილებით, ე. ი. დადგენილი ფორმით ქვითრის გამოწერისა და გაცემის გარეშე.

**232.** ქვითრის წიგნაკით მიღებული თანხები სასამართლო აღმასრულებელმა სადეპოზიტო ანგარიშზე ბანკში უნდა შეიტანოს არაუგვიანეს მათი მიღების მეორე დღისა.

სასამართლო აღმასრულებლებს კატეგორიულად ეკრალებათ მათ მიერ შეგროვილი თანხების გადამხდევინებლებზე გაცემა ან გადაგზავნა სახალხო სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშისათვის გვერდის ავლით.

სასამართლო აღმასრულებლების მიერ მიღებული ნაღდი ფული, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა ჩაირიცხოს, მათ მიერ უშუალოდ, სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშისათვის გვერდის ავლით, ჩაბარდება ბანკში, რის შესახებ საქვითრო წიგნა-

კის ყდის შიგნითა მხარეზე კეთდება წარწერა თარიღის, ბანკის ქვითრის ნომრისა და თანხის აღნიშვნით.

**233.** საქვითრო წიგნაკი სასამართლო აღმასრულებელს ეძლევა რაიონული (ქალაქის) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის ან სახალხო მოსამართლის განკარგულებით საქვითრო წიგნაკების აღრიცხვის სპეციალური უწყისით და ამ უწყისზე მისი ხელის მოწერით, გაცემის თარიღისა და წიგნაკში არსებული ნომრების მითითებით.

**234.** ყოველ გამოყენებულ (დამთავრებულ) საქვითრო წიგნაკს სასამართლო აღმასრულებელი აბარებს რაიონულ (ქალაქის) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს ან სახალხო მოსამართლეს.

**235.** სასამართლო აღმასრულებელს ახალი საქვითრო წიგნაკი მიეცემა ხოლოდ მოსამართლის მიერ სასამართლო აღმასრულებელის მიერ შეგროვილი თანხების სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანის ან სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ჩარიცხვის სისწორის შემოწმების შემდეგ, აღნიშნული მოხდება საქვითრო წიგნაკის ყუების მიხედვით სასამართლო აღმასრულებლის მიერ შეგროვილი თანხების დაანგარიშებისა და მათი ბანკში შეტანის ქვითრებთან, სახელმწიფო ბანკის საკონტოკორენტო ამონაწერთან და სადეპოზიტო ანგარიშის აღრიცხვის წიგნის ჩანაწერებთან შედარების გზით.

გამოყენებული (დამთავრებული) საქვითრო წიგნაკები ინახება რაიონული (ქალაქის) სახალხო სასამართლოს არქივში მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების შენახვის წესების დაცვით.

**236.** ერთი სასამართლო აღმასრულებლის მიერ მეორისათვის საქმეთა გადაბარებისას სასამართლო აღმასრულებელი სახალხო მოსამართლეს აბარებს დაუმთავრებელ საქვითრო წიგნაკს და ქვითრებს სასამართლოს საღეპოზიტო ანგარიშზე ან სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ შეტანილ ფულად თანხებზე. შეგროვილი თანხების სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე ან სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ შეტანის სისრულისა და სისწორის სახალხო მოსამართლის მიერ შემოწმების შემდეგ საქვითრო წიგნაკის გამოუყენებელი ბლანკები გაუქმდება თვითეულ ბარათზე წარწერით—„გაუქმებულია“ და სახალხო მოსამართლის ხელმოწერით.

## სადეპოზიტო თანხების აღრიცხვისა და გადამხდევინებლებზე ფულადი თანხების გაცემის წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

**237.** ბანკში სადეპოზიტო ანგარიშის მდგომარეობაზე მეთვალყურეობისა და შემოწმებისათვის და შენახული ფულადი თანხების კუთვნილების განსაზღვრისათვის, სასამართლო აღმასრულებელი ვალდებულია აწარმოოს ბანკში რაიონული (ქალაქის) სახალხო სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშის თანხების ანგარიშგება სადეპოზიტო წიგნის მიხედვით.

რაიონულ (ქალაქის) სახალხო სასამართლოებში, სადაც რამდენიმე სასამართლო აღმასრულებელია, აგრეთვე შემოიღება სადეპოზიტო თანხების აღრიცხვის ერთი წიგნი, რომელსაც აწარმოებს ყველაზე უფრო მომზადებული სასამართლო აღმასრულებელი. სადეპოზიტო თანხების აღრიცხვის წიგნი შემოღებულ უნდა იქნას მთელი წლისათვის.

რაიონული (ქალაქის) სახალხო სასამართლოებზე გაცემამდე იუსტაციის შესაბამისი განყოფილების მიერ იგი უნდა დაინომროს, ზონარი გაეყაროს და ლუქის ბეჭდით დამოწმდეს.

**238.** სასამართლო გადაწყვეტილებათა მიხედვით, გადამხდევინებლებისათვის კუთვნილი ფულადი თანხების გაცემის ყველა ოპერაცია ხდება მხოლოდ სადეპოზიტო ანგარიშიდან რაიონული (ქალაქის) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის ან სახალხო მოსამართლის მიერ გადამხდევინებლის სახელზე სახელობითი ჩეკის გაცემის ან დაწესებულებისა და ორგანიზაციებისათვის კუთვნილი თანხების გადარიცხვაზე დავალების ამოწერის გზით. ფულადი თანხების სადეპოზიტო ანგარიშიდან ფოსტით გადაგზავნისას მოსამართლე ამოწერს დავალებას, რომელსაც უნდა დაერთოს გადამხდევინებელთა სია მათი მისამართებისა და გზავნილის თანხის მითითებით.

**შენიშვნა:** სახელობითი ჩეკი გაიცემა პირადად გადამხდევინებელზე ან პირებზე, რომელთაც ფულის მისაღებად მისი მინდობილობა ექნებათ, მხოლოდ პასპორტის ან პირადობის დამდგენელი სხვა საბუთის წარდგენის შემთხვევაში, რის შესახებ აღნიშვნა კეთდება ჩეკის ყდის მეორე გვერდზე საბუთის ნომრის, მისი გაცემის თარიღისა და გამცემის მითითებით.

ჩეკსა და დავალებას ხელს აწერენ რაიონული (ქალაქის) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ან სახალხო მოსამართლე (პირველი ხელმოწერა) და სასამართლო აღმასრულებელი (მეორე ხელმოწერა).

წარმომდგენზე, აგრეთვე სასამართლო აღმასრულებელზე ან სასამართლოს სხვა მუშაკზე ჩეკის გაწერა კატეგორიულადაა აკრძალული, გარდა სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1971 წლის 27 ივნისის № 5982-რ განკარგულების შესაბამისად სასამართლო აღმასრულებლისათვის კუთვნილი პრემიალური საზღაურის გაცემისას.

**239.** სადეპოზიტო თანხების აღრიცხვის წიგნის შემოღებისას მასში შეიტანება ბანკში, რაიონული (ქალაქის) სახალხო სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე ნაშთად ჩარიცხული ყველა თანხა. ბანკის ავიზოს მიღების მიხედვით შეიტანება ჩანაწერები მიმდინარე პერიოდზე. სადეპოზიტო თანხების აღრიცხვის წიგნი არაუგვიანეს, ვიდრე თვეში ერთხელ, მოწმდება რაიონული (ქალაქის) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის ან სახალხო მოსამართლის მიერ შემოსული თანხებისა და ბანკის კონტოკორენტულია მონაწერის მიხედვით გაცემული თანხების გაანგარიშებისა და შედარების გზით, რის შედეგად ყოველი თვის პირველი რიცხვისათვის ნაშთი უნდა უდრიდეს ბანკში სადეპოზიტო ანგარიშის ნაშთს საკონტოკორენტო ამონაწერის მიხედვით.

სადეპოზიტო თანხების ნაშთის შემოწმების შესახებ მოსამართლე აკეთებს წარწერას — „შემოწმებულია“ და ამ წარწერას დაამოწმებს თავისი ხელმოწერით.

**240.** თანხები, რა ც ახალი წლის პირველი იანვრისათვის დარჩება ბანკში სადეპოზიტო ანგარიშზე, გადიტანება ახალ წიგნში ყოველი ცალკეული თანხის სრული დასახელებითა და იმის მითითებით, ვისაც ეკუთვნის. სადეპოზიტო თანხების აღრიცხვის წიგნში ახალი წლის პირველი იანვრისათვის გადასული ნარჩენები ჩაიწერება სვეტში — „ნაშთი“.

**241.** ბანკში სადეპოზიტო ანგარიში იხსნება რაიონული (ქალაქის) სახალხო სასამართლო სახელზე.

**242.** რაიონულ (ქალაქის) სახალხო სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანილი ფულადი თანხები ინახება.

ა) მოქალაქეებზე გასაცემი სადეპოზიტო თანხები—სამი წლის განმავლობაში;

ბ) სამეურნეო ანგარიშზე მყოფ სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებზე, კოოპერაციულსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე გასაცემი სადეპოზიტო თანხები—ერთი წლის განმავლობაში;

გ) სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სახელმწიფო დაწესებულებებზე გასაცემი სადეპოზიტო თანხები — შეტანის წლის 31 დეკემბრამდე, ხოლო გადაუწყვეტელ საქმეთა გამო დეპოზიტზე შეტანილი თანხები შეინახება იმ წლის 31 დეკემბრამდე, რომელშიც სასამართლოს გადაწყვეტილება დადგინდა.

**243.** იმ თანხებისათვის, რომლებიც სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანილია გადაუწყვეტელ საქმეთა გამო, 242-ე პუნქტში აღნიშნული ვადების დინება განისაზღვრება სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების დადგენის დღიდან, სხვა შემთხვევებში კი—იმ პირის ან ორგანიზაციისათვის შეტყობინების გაგზავნის დღიდან, ვის სახელზედაც სადეპოზიტო თანხებია შეტანილი.

ეს წესები არ ვრცელდება გირაოზე, სამოქალაქო სარჩელის უზრუნველსაყოფად სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანილ ფულად თანხებზ ე და კრედიტორებზე გასანაწილებელ ფულად თანხებზე.

ამ თანხების შენახვის ვადა აღირიცხება კუთვნილებისამებრ მათი გაცემის შესახებ მოსამართლის განკარგულების მიცემის გამო მოსარჩელისათვის შეტყობინების გაგზავნის დღიდან.

**244.** გარდა რაიონული (ქალაქის) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის ან სახალხო მოსამართლისა, რომლებიც სადეპოზიტო ანგარიშის განმკარგულები არიან, არავის არ შეუძლია მისცეს სადეპოზიტო ანგარიშიდან ფულადი თანხების გაცემის ან ჩამოწერის განკარგულება.

245. საჩივრები სადეპოზიტო თანხების გაცემაზე უარის თქმის შესახებ, არაჯეროვან პირზე მათი გაცემის შესახებ, ბიუჯეტის სასარგებლოდ სადეპოზიტო თანხების ნაადრევად გადარიცხვის შესახებ და ა. შ. შეიტანება და განიხილება ამ ინსტრუქციის 113-ე პუნქტით დადგენილი წესებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გაფლანგვა-გატაცებით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლადფულადი თანხების გადახდევინებისათვის სასამართლო აღმასრულებლებზე პრემიალური გასამრჯელოს გაცემა

**246.** გაფლანგვა-გატაცების საქმეებზე ზარალის ასანაზღაურებლად სახელმწიფო, კოოპერციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სასარგებლოდ და სახელმწიფო შემოსავალში გადახდევინებული თანხებიდან სასამართლო აღმასრულებელზე გაიცემა პრემიალური გასამრჯელო გადახდევინებული თანხის ხუთი პროცენტის ოდენობით.

**247.** გაფლანგვა-გატაცებით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად აღმასრულებელი ფურცლების გაცემისას სახალხო სასამართლოები მოვალენი არიან მიუთითონ აღმასრულებელ ფურცლებში, რომ გადახდევინება ხდება გაფლანგვითა და გატაცებით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად, აგრეთვე აღნიშნონ სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, რომლითაც დამნაშავეა მსჯავრდებული.

**248.** სასამართლო აღმასრულებლებზე პრემიალური გასამრჯელო გაიცემა თანხებიდან, რაც მათ მიერაა გადახდევინებული სისხლის სამართლის საქმეებზე ზარალის ანაზღაურების ნაწილში განაჩენთა აღსრულების დროს იმ დანაშაულთა გამო, რაც გათვალისწინებულია რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 89—93[1] მუხლებითა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსთა შესაბამისი მუხლებით.[1]

**249.** სასამართლო აღმასრულებლებს პრემიალური გასამრჯელო მიეცემათ იმ სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა აღსრულების გამოც, რომლებიც გამომდინარეობენ სისხლის სამართლის საქმეებიდან, როდესაც სისხლის სამართლის პროცესში სამოქალაქო სარჩელი ღიად იქნა დატოვებული, აგრეთვე რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 6—9 მუხლებით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსრკ შესაბამისი მუხლებით[2] გათვალისწინებუ-

---

[1] საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 91—96[1] მუხლები.

[2] საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 6—9 მუხლები.

ლი საფუძვლებით სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტასთან დაკავშირებით სამოქალაქო წესით სარჩელის წარდგენისას.

**250.** სასამართლო აღმასრულებლის მიერ გადამხდევინებლისათვის ქონების ნატურით ჩაბარებისას გადამხდევინებელს პრემიალური გასამრჯელოს გასაცემად სახალხო სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე შეაქვს ფულადი თანხები გადაცემული ქონების ღირებულების ხუთი პროცენტის ოდენობით.

იმ შემთხვევაში, როდესაც ქონება საგამომძიებლო ორგანოების მიერ იყო დაყადაღებული, ხოლო გაიყიდა სასამართლო აღმასრულებლის მიერ, ამ უკანასკნელს აქვს გაყიდვით მიღებული თანხიდან პრემიალური გასამრჯელოს მიღების უფლება.

**251.** შემნახველ სალაროში ფულადი ანაბრიდან გადახდევინების შემთხვევაში სასამართლო აღმასრულებელს პრემიალური გასამრჯელოს მიღების უფლება მარტო იმ შემთხვევაში აქვს, როდესაც ანაბარი გამოვლენილია თვით სასამართლოს აღმასრულებლის მიერ.

**252.** სასამართლო აღმასრულებლებს პრემიალური გასამრჯელო არ მიეცემათ საგამომძიებლო ორგანოების მიერ სამოქალაქო სარჩელის უზრუნველსაყოფად ბრალდებულთაგან ამოღებული ნაღდი ფულადი თანხებიდან და ფასეულობიდან, მათ შორის შემნახველ სალაროებში არსებული თანხებიდან, თუ შემნახველ სალაროს წიგნაკები ამოღებული იქნა საგამომძიებლო ორგანოების მიერ.

**253.** გაფლანგვითა და გატაცებით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად გადახდევინებული ფულადი თანხებისა და იმ თანხების აღრიცხვას, რასაც სასამართლო აღმასრულებელი ღებულობს, მოსამართლე აწარმოებს სპეციალური უწყისებით.

უწყისები ინახება მოსამართლესთან, როგორც მკაცრი აღრიცხვის ფულადი დოკუმენტები.

ფულადი თანხები, რაც სასამართლო აღმასრულებელს ეკუთვნის პრემიალური გასამრჯელოს სახით, გაიცემა რაიონული (ქალაქის) სახალხო სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშიდან მოსამართლის ხელმოწერით სასამართლო აღმასრულებლის სახელზე გაცემული ჩეკით.

**254.** სასამართლო აღმასრულებლებზე პრემიალური გასამრჯელოს გაცემის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ რაიონული

(ქალაქის) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეებს და სახალხო მოსამართლეებს.

**255.** სასამართლო აღმასრულებელზე პრემიალური გასმრჯელოს გაცემის შესახებ უარის თქმა შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამისად მშრომელთა დეპუტატების საოლქო, სამხარეო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილების უფროსთან ანდა ავტონომიური ან მოკავშირე (საოლქო დაყოფის გარეშე) რესპუბლიკების იუსტიციის მინისტრთან. საჩივართა გამო ამ თანამდებობის პირთა გადაწყვეტილება საბოლოოა.

**256.** პრემიალური გასამრჯელო, რაც სასამართლო აღმასრულებელმა მიიღო კანონიერ ძალაში შესული, მაგრამ შემდგომში ზედამხედველობის წესით გაუქმებული ანდა შეცვლილი განაჩენის ან გადაწყვეტილების აღსრულების გამო, უკუგადახდევინებას არ ექვემდებარება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნიმუშები

## სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების გამო საქმისწარმოების ფორმებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სააღსრულებო წარმოება № _____ 197 წელი

ქვითარი № _____ მან _____ კაპიკზე

„_____" _____ 197 წ.

_____ სახალხო სასამართლოს სასამართლო
(სახ. სასამართლოს დასახელება)

აღმასრულებელმა _____
(გვარი სახელი, მამის სახელი)

№ _____ საფუძველზე
სააღსრულებო საბუთის დასახელება

რაც გაცემულია
(სააღსრულებო საბუთის გაცემის თარიღი)

_____ მანეთისა და _____ კაპიკის ასანაზღაურებლად _____
(მოვალის)

_____ საგან _____
(დასახელება) (გადამხდევინებლის ხელმოწერა)

სასარგებლოდ მივიღე _____ საგან.
(ფაქტიური გადამხდევინებლის გვარი, სახელი, მამის სახელი)

მცხოვრების _____
(გადამხდელის მისამართი)

_____ მანეთი და კაპ.
(თანხა სიტყვიერად)

სასამართლო აღმასრულებლის
ხელმოწერა _____

ბ. ა. გადამხდელის ხელმოწერა _____

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქვითრო წიგნაკის ყდის შიგნითა მხარე

| მიღებულია | | | | შეტანილია | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბიუჯეტი, ოჯ. წევრი | ქვითრის ნომერი | თანხა | | თარიღი | ქვითრის ნომერი | თანხა | |
| | | მან | კაპ. | | | მან. | კაპ. |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წიგნი

_____ ოლქის _____ რაიონის

## რაიონული ქალაქის სახალხო სასამართლოს საფეპოზიტო თანხების აღრიცხვისათვის

| ს ა ქ მ ი ს № | ბანკის მიერ საფეპოზიტო ანგარიშზე ჩარიცხვის თარიღი | გადამხდელის (მოვალის) გვარი, სახელი, მამის სახელი | ვალის (გადასახდელის) დანიშნულება | შემოსული თანხა | | მიღების (გადამხდელ-ვალის) გვარი, სახელი, მამის სახელი | გაიცა | | ნაშთი | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | მან. | კაპ. | | ჩეკის № ან დასახელების № | | მან. | კაპ. |
| | | | | | | | | | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

_____ რაიონის. (ქალაქის) სახალხო სასამართლოს
სასამართლო აღმასრულებლისა

_____ სასამართლოს 197 წლის

„_____“ _____ გადაწყვეტილების საფუძველზე _____
_____ გადახდევინების შესახებ წინადადება გეძლევათ
შეიტანოთ მითითებული თანხა (ან შეასრულოთ სასამართლოს გა-
დაწყვეტილება) არაუგვიანეს _____ 197 წლისა სახელ-
მწიფო ბანკის _____
განყოფილებაში _____

_____ ჩასარიცხად.

მითითებულ ვადაში თქვენს მიერ ამ წინადადების შეუსრულებ-
ლობისას ძიღებულ იქნება ზომები სასამართლო გადაწყვეტილების
იძულებით აღსრულებისათვის და მასთან დაკავშირებული ხარჯები
თქვენ დაგეკისრებათ.

სასამართლო აღმასრულებელი _____
(ხელმოწერა)

ჩაბარების თარიღი _____

## მ ე ო რ ე მ ხ ა რ ე

სად _____
_____

ვის _____
_____

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმა №4

_____ რაიონული (ქალაქის)

სახალხო სასამართლო

197——წლის „ “ _____

№ _____

მისამართი: ვის _____

სად _____

ასლი: ვის _____

სად _____

## წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

გეგზავნებათ _____

(სააღსრულებო საბუთის დასახელება,

_____

(მისი ნომერი, ვინ გასცა და გაცემის დრო)

_____

მოქ _____ მიერ გადახდევინების შესახებ.

წინადადება გეძლევათ მოვალისათვის გადასახადთა დაქვითვის შემდეგ კუთვნილი ყველა სახის ხელფასიდან ყოველთვიურად დაუკავოთ _____

_____

დაკავებული თანხა ხელზე გაეცით ან მოვალის ხელფასის ოდენობისა და თანხის გადახდევინების პერიოდის მითითებით ფოსტით გადაუგზავნეთ _____

(გადამხდელის ვინაობა)

თანხების დაკავება და გაცემა მოახდინეთ რეგულარულად გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახდევინებელი თანხის დაფარვამდე ან პერიოდული გადასახდელის (ალიმენტი და ა. შ.) ვადის დამთავრებამდე.

სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად თქვენს მიერ მიღებული ზომების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეთ სახალხო სასამართლოს.

სამუშაოდან მოვალის დათხოვნისთანავე აღმასრულებელი ფურცელი, ბუღალტერის ხელმოწერითა და ბეჭდის დარტყვით დამოწმებული, მომხდარ დაკავებათა აღნიშვნით, დაუყოვნებლივ დააბრუნეთ სახალხო სასამართლოში, რის შესახებაც აცნობეთ გადამხდევინებელსაც. იმავდროულად სასამართლოს შეატყობინეთ მოვალის ახალი სამუშაო ადგილი, თუ თქვენთვის იგი ცნობილია.

აღნიშნული განკარგულების შეუსრულებლობაში დამნაშავე პირი დაჯარიმდება 10 მანეთამდე თანხით.

**სახალხო მოსამართლე:** ■

**სასამართლო აღმასრულებელი:**

---

უკუშეტყობინება №

(დაუყოვნებლივ უნდა დაბრუნდეს)

_____ რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლოს აღმასრულებელს

---

აღმასრულებელი ფურცელი № _____ სასამართლოსი _____ საგან გადახდევინების შესახებ მიღებულია

(გვარი და ინიციალები)

---

დაწესებულება, ორგანიზაცია და ა. შ.

_____ მთავარი ბაღალტერი: _____

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აქტი

ქონების აღწერისა და დაყადაღების შესახებ

197 წლის „———“ ——— —საათი და ———წუთი

(აქტის შედგენის ადგილი: ქალაქი, დასახლებული პუნქტი, ქუჩა, სახლი, ბინა)

——— რესპუბლიკის ———

რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლოს აღმასრულებელმა ———

(აღმასრულებლის გვარი, სახელი, მამის სახელი)

თანდასწრებით თანამოწმეებისა (გვარი, სახელი, მამის სახელი და მისამართი):

1. ———

2. ———

აღმასრულებელი საბუთის დასახელება საფუძველზე რაც გაცემულია

——— მიერ

(საბუთების გამცემი ორგანოს დასახელება)

——— საგან ———

(მოვალის დასახელება) (გადამხდევინებლის დასახელება)

——— სასარგებლოდ ———

(აღსრულების საგანი)

მოახდინე მოვალის კუთვნილი ქონების აღწერა.

აღწერას დაესწრნენ: ———

(აღწერაზე დამსწრე პირები და მათი დამოიდებულება მხარეებთან: მოვალე, მისი წარმომადგენელი, მისი ოჯახის წევრები; გადამხდევინებელი, მისი წარმომადგენელი და სხვ.)

———

აღიწერა და დაყადაღებულია შემდეგი ქონება:

(ფორმა №5-ის გაგრძელება)

| №№ რიგზე | დაყადაღებული საგნების დასახელება და აღწერილობა | ანგარიში ზოგი წინ | თითეული საგნის შეფასება | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | მან. | კაპ. | ნიშნები |
| 1. | | | | | |
| 2. | | | | | |
| 3. | | | | | |
| 4. | | | | | |
| 5. | | | | | |
| 6. | | | | | |
| 7. | | | | | |

და ა. შ.

გარდა ამისა მოვალესა და მის ოჯახს დაეტოვა:

1.
2.
3.

და ა. შ.

აღწერასთან და მის გამო სასამართლო აღმასრულებლის განკარგულებებთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებათა და შენიშვნათა შინაარსი. აღნიშვნა სასამართლო აღმასრულებლის მოქმედებათა გასაჩივრების წესისა და ვადების განმარტების შესახებ.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ე ბ ი სასამართლო აღმასრულებლის, თანამოწმეების და აღწერაზე დამსწრე პირებისა.

მოცემულ აქტში მითითებული ქონება ჩაბარდა შენახვისათვის. ჩაბარებული ქონების გაფლანგვის, გასხვისების ან გადამალვისათვის პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებულია

ხელმოწერა: .....

(შენახველის ხელმოწერა, მისი მისამართი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აქტი

შოვალისაგან იმ საგნების ამოღებაზე, რაც გადამხდევინებელს მიეკუთვნება

197—— წლის „———“ ——————————

—————————— რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლოს

აღმასრულებელმა ——————————თანდასწრებით მოწმეებისა:
(სასამართლო აღმასრულებლის გვარი

——————————————————————————
(გვარი, სახელი, მამის სახელი, მისამართი)

——————————————————————————
(გვარი, სახელი, მამის სახელი, მისამართი)

——————————————————————————

—————————————————— მიერ გაცემული
(სააღსრულებო საბუთის გამცემი ორგანოს დასახელება)

—————————————————— საფუძველზე
(სააღსრულებო საბუთის დასახელება)

შოვახდინე ამოღება იმ საგნებისა, რაც მიკუთვნებული აქვს მოქალაქე ——————————

——————————————————————————
(გვარი, სახელი, მამის სახელი, მისამართი)

ამასთან ამოღებულ იქნა შემდეგი საგნები

| № რიგზე | საგნების დასახელება და მოკლე დახასიათება |
|---|---|
| 1. | |
| 2. | |
| 3. | |
| 4. | |

და ა. შ.

ამ აღწერილობაში მითითებული საგნები ჩავიბარე ——————————
(გადამხდელის დასახელება)

სასამართლო აღმასრულებლის ხელმოწერა ——————————

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აქტი

## გადახდევინების შეუძლებლობის შესახებ

197——— წლის „———“ ———————————

——————— ოლქის, ასსრ (ხაზი გაესვას) ———————————

რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლოს სასამართლო აღმასრულებელმა

———————————————————————————

(სასამართლო აღმასრულებლის გვარი)

——————————————————— საფუძველზე

———————————————————————————

(საღსრულებო დოკუმენტის დასახელება)

——————————————————— გან

——————————————— სასარგებლოდ გადახდევინების შესახებ თანდასწრებით მოწმეებისა:

———————————————————————————

———————————————————————————

———————————————————————————

———————————————————————————

———————————————————————————

(გვარი, სახელი, მამის სახელი, თანამდებობა)

——————————————————— მონაწილეობით,

ადგილზე მისვლით შევამოწმე გადახდევინების შესაძლებლობა შემოწმებით დადგინდა, რომ ———————————

(მითითებული იქნას აღსრულების შეუძლებლობის გარე-

———————————————————————————

მოებანი: ქონებისა და შემოსავლის უქონლობა, მითითებულ მისამართზე მოვალის

———————————————————————————

არყოფნა და ა. შ.)

სასამართლო აღმასრულებელი ———————————

ხელმოწერები: მოწმენი ———————————

და სხვა პირები: ———————————

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმა №6

# აქტი

საჯარო ვაჭრობით საცხოვრებელი სახლის გაყიდვის შესახებ

197——— წლის „——“ ———————————

——————————————— (ოლქის, ასსრ) ———————

რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლოს სასამართლო აღმასრულებელმა

———————————————————

(სასამართლო აღმასრულებლის გვარი, სახელი, მამის სახელი)

საჯარო ვაჭრობით გავყიდე ———————————————

———————————————————

(შენობის ან მისი ნაწილის

———————————————————

მოკლე დახასიათება და მისამართი)

რაც ეკუთვნოდა მოქალაქე ———————————————

(მოვალის გვარი, სახელი, მამის სახელი)

ვაჭრობაში მონაწილეობდნენ:

| № № | გვარი, სახელი, მამის სახელი | მისამართი |
|---|---|---|
| 1. | | |
| 2. | | |
| 3. | | |
| 4. | | |
| 5. | | |

ჩამოთვლილმა პირებმა სასამართლო აღმასრულებელთან შეიტანეს შენობის შეფასების 10 % ——————— მან. თანხით და მისცეს ხელწერილი მასზე, რომ საჯარო ვაჭრობით შენობის შეძენაში დაბრკოლება არა აქვთ.

ვაჭრობა დაიწყო ——————— საათსა და ——— წუთზე შენობის პირველადი შეფასებით ———————————

(შენობის შეფასებითი ღირებულება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ფორმა № 8-ის გაგრძელება)

ვაჭრობის დროს შემოძლეულ იქნა შემდეგი ფასი

| №№ | გვარი, სახელი, მამის სახელი | ფ ა ს ი |
|---|---|---|
| 1. | | |
| 2. | | |
| 3. | | |
| 4. | | |
| 5. | | |

მოქალაქე _____ ის მიერ შემოძლეული
(გვარი, სახელი, მამის სახელი)

ფასის შემდეგ ვაჭრობის არც ერთ მონაწილეს წანამატი არ გაუ-
კეთებია.

შენობა მიეყიდა მოქ. _____
(გვარი, სახელი, მამის სახელი)

ღირებულებით _____
(თანხა სიტყვიერად)

ნაყიდი შენობის ღირებულება მთლიანადაა შემოტანილი

197 —— წლის „——“ ——

ხელმოწერა სასამართლო აღმასრულებლისა.

სახალხო სასამართლოს ბეჭედი

შენიშვნა: აქტი შედგება 3 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი
ჩაბარდება მყიდველს, მეორე-მოვალეს, მესამე რჩება სა-
სამართლო აღმასრულებელთან სააღსრულებო წარმოებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმა №9

# სააღსრულებო წარმოება

№ _____

_____ სახალხო სასამართლოსი

_____

(მოვალე)

_____

(მოვალის მისამართი)

_____

(გადამხდევინებელი)

_____

(გადამხდევინებლის მისამართი)

_____

(გადახდევინების არსი)

_____

_____

დაიწყო 197 წლის „ “ _____

დამთავრდა 197 წლის „ “ _____

აღსრულების შედეგი:
(ხაზი გაესვას)

აღსრულდა რეალურად,

აქტით გადახდევინების შეუძლებლობის შესახებ,

გაიგზავნა სამუშაო ადგილზე,

გაიგზავნა პატიმრობის ადგილზე,

დაბრუნებულია შეუსრულებლად

„არქივში“ 197 წლის „ “ _____

სახალხო მოსამართლე _____
(ხელმოწერა)

## სააღსრულებო წარმოების ყდის მეორე მხარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

| №№ რიგზე | თარიღი | სააღსრულებო მოქმედებათა აღნიშვნა |
|---|---|---|
| | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმა №

## სააღრიცხვო — სტატისტიკური ბარათი

197 წლის „——“ —— № ——სააღსრულებო წარმოებაზე

დასახელება სააღსრულებო საბუთისა, ვის მიერ და რა ნომრითაა

გაცემული ——

——

გადაწყვეტილების ან განაჩენის დადგენის თარიღი ——

| | | |
|---|---|---|
| რა წესით შემოვიდა სააღსრულებო ბარათი (ხაზი გაესვას) | სისხლის სამართლის საქმეზე სსრკ მუხლი —— | სტატისტიკური ანგარიშის ფორმა №4-ის „ბ“ კარში სტრიქონის № —— |
| | სოლიდარულ მოპასუხეზე აღმასრულებელი ფურცლის № —— | „დ“ კარში № —— |
| 1. წარმოდგენილია აღსრულების პირველად | მოვალე —— | |
| ა) ქონების წინასწარი აღწერით თანხით —— | | |
| ბ) წინასწარი აღწერის გარეშე | გადამხდევინებელი —— | |
| 2) დაბრუნებულია დაწესებულების, საწარმოს, კოლმეურნეობის, პატიმრობის ადგილის და სხვა გადამხდევინებელი ორგანიზაციის მიერ | მოთხოვნილების არსი, გადასახდელი თანხა | |
| 3, დაბრუნებულია გადამხდევინებლის მიერ | | |
| 4. დაბრუნებულია სასამართლოს მიერ | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | შესრულების შედეგები | |
|---|---|---|
| სააღსრულებო საბუთების მოძრაობა | ხაზი გაესვას | მითითებულ იქნას თანხები:<br>ა) საქმეებზე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის გატაცებით ან სხვა დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურების გამო;<br>ბ) სამოქალაქო საქმეებზე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სასარგებლოდ. |
| 1 | 2 | 3 |
| სასამართლო აღმასრულებელთან შემოვიდა<br>197—— წ „ “ ——<br>დაბრუნებულია (გაგზავნილია)<br>197 წ. „ “ ——<br>(ვის, სად) | აღსრულდა რეალურად სასამართლო აღმასრულებლის მიერ<br>აღსრულებისათვის გადაეცა საწარმოებს, დაწესებულებებს, კოლმეურნეობებს, საპატიმრო ადგილებს, სახბანკს და სხვა ოგანიზაციებს<br>დაუბრუნდათ: გადამხდევინებლებს მოვალის ქონების მოუნახველობის გამო<br>გადამხდევინებლებს ან სასამარბლოებს მოვალის საცხოვრებელი დგილის დაუდგენლობის გამო<br>გადამხდევინებლებს ან სასამართლოებს მათი მოთხოვნით<br>სასამართლოებს თანამოპასუხის მიერ ვალის დაფარვის გამო | |
| რამდენი დღე იყო წარმოებაში სააღსრულებო საბუთი —— | | |

| 1 | 2 | 3 |
|---|---|---|
| აღნიშვნები შეჩერებაზე | სხვა მიზეზების გამო | |
| | გადაეცა სხვა სასამართლოებს ტერიტორიული ქვემდებარეობით | |
| | სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის ვიყენებული ზრალის ანაზღაურება: | |
| | ა) უზრუნველყოფილი იყო წინასწარი გამოძიების ორგანოების მიერ | |
| | ბ) აღსრულდა მოვალისათვის ქონების მოუნახველობის აქტების გადამოწმების შედეგად | |

სააღსრულებო წარმოება ჩაბარდება არქივს

197 წლის „ “ _____

(ფორმა № 11)

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწყისი ინახება რიონულ (ქალაქის)

სახალხო სასამართლოში, როგორც მკაცრი ფულადი ანგარიშგების საბუთი

# უწყისი

გაფლანგვითა და გატაცებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების საქმეთა გამო სასამართლო აღმასრულებლებისათვის პრემიალური გასამრჯელოს გადახდის შესახებ

197 წლის ———————— თვეში

| № № რიგზე | საღსრ. საბუთის შემოსვლის თარიღი | საღსრულებელი წარმოების № № | მხარეთა დასახელება | | სამართლის კოდექსის მუხლები | გადასახდევინებელი თანხები | | ფაქტიურად გადახდილი თანხა | | სასამართლო აღმასრულებელზე გასაცემი თანხა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | მოვალე | გადამხდევინებელი | | მან. | კაპ. | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |

ჯამი: ————————

———————— რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ან სახალხო მოსამართლე

ხელმოწერა ————————

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეკვ. 3599 ტირ. 1000

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა
და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის
მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 5
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 11.

Типография № 5 Государственного комитета
Совета Министров Грузинской ССР по делам издательств,
полиграфии и книжной торговли.
г. Кутаиси пр. И. Чавчавадзе, 11.

F102·333
3